ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali-Taoba

შაბათი-კვირა

ბრუკ შილდსი — სექსს მოწყურებული და ნორმალურ ოჯახს მონატრებული ქალიშვილი

გვ.9



გვ.16

ასტროპროგნოზი

TV პროგრამა

გვ.13

22 — 23 იანვარი, 2011 №18 (5403) ფასი: 30 თეთრი



გვ.6

## ნაციონალებში დიდი დაპირისპირებაა მოსალოდნელი

საპარლამენტო არჩევნები ვადაზე ადრე ჩატარდება

## შალვა ნათელაშვილმა მეკარედ დამაყენა

გვ.3





უკრაინელებს არყის ნაცვლად მჟავე წყალი გავატანეთ

## უშბა „ზალოგში“ მაქვს ჩადებული



გვ.4

როგორი დედაა ნესტან კირთა ე

## ადამიანმა ჯვარი არასდროს არ უნდა მოიხსნას

ჯვარი სულიერი თვალსაზრისით არის ხმალი



გვ.7

3090

sms განცხადებები „ახალ თაობაში“

თუ გსურთ ბინის, ავტომანქანის ან სხვა რამის ყიდვა ან გაყიდვა, აკრიფეთ თქვენს მობილურ ტელეფონში შესაბამისი ტექსტი და გააგზავნეთ sms ნომერზე 3090 მაგთიდან და ჯეოსელიდან.

თქვენი განცხადება გამოქვეყნდება გაზეთ „ახალი თაობის“ უახლოეს ნომერში.

განცხადებები, რომლებშიც საკუთარი ტელეფონის ნომერი არ იქნება, არ დაიბეჭდება!

1 sms-ის ფასია 50 თეთრი

## საოცნებო როლი არა მაქვს

ბაჩო ქაჯაია ტაქისისტობით კმაყოფილია

გვ.8



ISSN 1987-9385

## გიორგი ასანიძე მასწავლებლებს სკამზე წებოს უსხამდა

გვ.12



## კვირის ქრონიკა







გვ.2









## კვეზერელმა დაიბარა, პური ჯერ არ გაძვირდებაო

საქართველოში ფასებმა ყველაფერზე მოიმატა. გავრცელებული ინფორმაციით, ახლო მომავალში პურიც გაძვირდება. ამ ინფორმაციას ხელისუფლება კატეგორიულად უარყოფს.



საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრ ბაკურ კვეზერელის განცხადებით, ქვეყანაში პურის გაძვირება უახლოეს მომავალში მოსალოდნელი არ არის.

— ამ ეტაპზე კომენტარის გაკეთება რთულია, თუმცა უახლოეს მომავალში პურის ღირებულების ზრდას არ უნდა ველოდოთ, რადგან ხორბლის სოლიდური, სამი თვის მარაგია შექმნილი, — ამბობს სოფლის მეურნეობის მინისტრი.

რაც შეეხება საქართველოსათვის უკრაინული ხორბლის მიწოდების შესაძლო შეზღუდვაზე გავრცელებულ ინფორმაციას, კვეზერელის თქმით, იგი ხვალ ბერლინში დაგეგმილ მინისტერიალზე თავის უკრაინელ კოლეგას შეხვდება. ამ კითხვაზე პასუხი მომავალი კვირისთვის გახდება ცნობილი.

ხორბლის მსხვილი იმპორტიორების პროგნოზით, საერთაშორისო ბაზარზე ხორბლის ფასის ზრდის ტენდენციის შენარჩუნების შემთხვევაში პურის გაძვირება საქართველოშიც იქნება მოსალოდნელი.

პურზე ფასის გაზრდის თაობაზე ინფორმაცია შარშან შემოდგომაზეც გავრცელდა. ხელისუფლებამ და კვეზერელმა მაშინაც თქვეს, პური არ გაძვირდებაო, მაგრამ გაძვირდა.

## კახეთში შაქრის დეფიციტია

ხელისუფლება იმით იწონებს თავს, რომ საქართველოში არაფრის დეფიციტი არ არის და ცხოვრება საამურია. ამ საამური ცხოვრების პირობებში ალბათ მეხის გავარდნასავით გაისმებოდა ცნობა იმის შესახებ, რომ ქვეყანაში შაქრის დეფიციტია.



საქართველოში შაქარი უკვე სერიოზულად გაძვირდა. კახეთის რეგიონში კი შაქარი დეფიციტური გახდა.

კახეთის საინფორმაციო ცენტრის ცნობით, კახეთში თელავის, გურჯაანის, სიღნაღისა და ყვარლის სასურსათო მაღაზიებში შაქრის დეფიციტია. იქ შაქარი უკვე 2 ლარი და 50 თეთრი ღირს.

მაღაზიების მენეჯერების განცხადებით, დილიდან შაქარზე რიგები იდგა, ბევრმა ადამიანმა შაქარი ტომრებით იყიდა, რამაც დეფიციტი გამოიწვია.

სოფლის მეურნეობის მინისტრი ბაკურ კვეზერელი საქართველოში შაქრის დეფიციტს უარყოფს. როგორც მინისტრმა მთავრობის სხდომის დაწყებამდე განაცხადა, ქვეყანაში ყველა პროდუქტის საკმარისი მარაგია.

## ოპოზიციამ სკოლების დაფინანსების წესი დაიწუნა

პოლიტიკურმა გაერთიანებამ „ახალმა მემარჯვენეებმა" ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების დაფინანსების ახალ მოდელში ხარვეზები გამოავლინა. როგორც გაერთიანების განცხადებაშია ნათქვამი, ლაპარაკია პრემიერ-მინისტრის ბრძანებით 1 იანვრიდან ამოქმედებულ დოკუმენტზე, რომელიც, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მტკიცებით, მაღალმთიანი სოფლებისა და დიდი ქალაქების სკოლებს თანაბარ პირობებში აყენებს.

„ახალი მემარჯვენეების" მოსაზრებით, უპირველესად, არასწორია დაფინანსების სისტემის შეცვლა სასწავლო წლის შუა პერიოდში, როცა სკოლებში საათების გადანაწილება, პედაგოგთა დატვირთვა, კლასების დაყოფა და სხვა წესები უკვე ოთხი თვეა დადგენილია და სასწავლო პროცესიც ამის მიხედვით მიმდინარეობს. სასწავლო წლის შუა პერიოდში დაფინანსების წესის შეცვლამ სკოლების უმეტესობა მძიმე მდგომარეობაში ჩააყენა: მათ პედაგოგთა საათობრივი დატვირთვის ხელახლა გადანაწილება და ცალკეული მასწავლებლების დათხოვნა მოუხდათ, რაც განათლების ხარისხზე უარყოფითად აისახება.



— განსაკუთრებით მიუღებელია ის, რომ ვაუჩერების რაოდენობა და სკოლების დაფინანსების წესი ქვეყნის მთავარი ფინანსური დოკუმენტის — ბიუჯეტის მიღებიდან სულ რაღაც ერთ თვეში იცვლება. სკოლების დაფინანსების შეცვლაზე პარლამენტში საუბარი თვით ბიუჯეტის განხილვის დროსაც არ ყოფილა. ლაპარაკია განათლების სამინისტროს შიდა რესურსების ხარჯზე მათი დაფინანსების 44 მილიონი ლარით ზრდაზე. სამინისტროს საბიუჯეტო ასიგნებების შიგნით ასეთი სოლიდური თანხის სრულიად გაუმჭვირვალე გადანაცვლება საზოგადოებაში უამრავ კითხვასა და ეჭვს ბადებს, — ნათქვამია განცხადებაში.

„ახალი მემარჯვენეები" პარლამენტისაგან ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების დაფინანსების ახალი წესის ფართო განხილვას ითხოვენ, რათა საზოგადოებამ სკოლებში მიმდინარე პროცესებზე ზუსტი და დაწვრილებითი ინფორმაცია მიიღოს.

## სახალხო დამცველი დევნილებს გამოესარჩლა

ამ კვირაში ხელისუფლებამ დევნილებზე იერიში კიდევ ერთხელ მიიტანა. ამ ფაქტთან დაკავშირებით ოპოზიციამ თავი კიდევ ერთხელ გაიპერვიულა, ხელისუფლება კი ამტკიცებს, რომ ოპოზიცია დეზინფორმაციას ავრცელებს.



დევნილების გამოსახლებასთან დაკავშირებით საგანგებო განცხადება გააკეთა საქართველოს სახალხო დამცველმა.

2011 წლის 20 იანვარს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრომ თბილისში მდებარე 22 ობიექტიდან დევნილების გამოსახლების პროცესი დაიწყო. სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციით, აღნიშნული შენობები არ წარმოადგენს იძულებით გადაადგილებულ პირთა კოლექტიური განსახლების ობიექტებს. დევნილთა გამოსახლების პროცესი ჯერ კიდევ აგვისტოში დაიწყო, თუმცა გამოსახლებისას დევნილთა უფლებების დარღვევისა და სპეციალური პროცედურების არარსებობის გამო პროცესი შეჩერდა.

მოცემული 22 ობიექტიდან დევნილების გამოსახლება საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს განმარტებით, სტანდარტული ოპერაციული პროცედურების შესაბამისად მიმდინარეობს, რომლებიც სამუშაო ჯგუფის მიერ 2010 წლის სექტემბერში იქნა შემუშავებული და მოგვიანებით დამტკიცდა სამეთვალყურეო საბჭოს მიერ.

2011 წლის 20 იანვარს ბაგების სტუდქალაქის 1-ლი, მე-2 და მე-3 კორპუსებიდან დევნილთა გამოსახლება დაიწყო 07:50 სთ-ზე. დევნილთა განცხადებით, გასახლების თარიღის შესახებ მათ ერთი დღით ადრე შეატყობინეს. 08:45 საათზე დაიწყო კორპუსების დაცლა საყოფაცხოვრებო და სხვა სახის ნივთებისაგან.

პოლიციასა და დევნილთა კოალიციის წარმომადგენელთა შორის დაპირისპირებასა და ფიზიკურ შეხლა-შემოხლას ადგილი ჰქონდა მას შემდეგ, რაც კოალიციის წარმომადგენლებს არ მისცეს უფლება, გადაელახათ პოლიციის კორდონი. ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, დაპირისპირების შედეგად დააკავეს დევნილთა კოალიციის 2 წარმომადგენელი და 3 დევნილი ქალბატონი.

„დევნილთა სამოქალაქო მოძრაობის" ლიდერ მანუჩარ სიგუასა და „თავისუფალი საქართველოს" წევრ გია ყრუაშვილს 14-დღიანი ადმინისტრაციული პატიმრობა შეეფარდათ, ირინა ფირცხელიანს, ბელა ხერგიანსა და ჯულიეტა ცინდელიანს კი — 400-ლარიანი ადმინისტრაციული ჯარიმა. ამ ფაქტის კანონიერების საკითხს სახალხო დამცველი ცალკე შეისწავლის.

გამოსახლებისას დევნილები აცხადებდნენ, რომ ისინი ყოველგვარი ალტერნატიული თავშესაფრისა და კოტეჯის სანაცვლო კომპენსაციის გარეშე გამოიყვანეს დაკავებული ფართიდან.

გიორგი ტუღუშის თქმით, აუცილებელია დადგინდეს, ჰქონდა თუ არა ადგილი მსგავს ფაქტს. 2010 წლის აგვისტოში განხორციელებული გამოსახლებების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანეს პრობლემას სწორედ 2008 წლის აგვისტოს კონფლიქტის შემდგომ იმ იძულებით გადაადგილებული პირების შენობებიდან გამოყვანა წარმოადგენდა, რომელთაც არ ჰქონდათ მიღებული კოტეჯის სანაცვლო საკომპენსაციო თანხა. ამჟამად მიმდინარეობს აღნიშნული ინფორმაციის გადამოწმება, რადგან მსგავსი ფაქტის არსებობა წარმოადგენს დევნილთა გამოსახლების ოპერაციული პროცედურის მოთხოვნათა უხეშ დარღვევას, რაც ცალსახად ხდება დევნილთა უფლებების შელახვის მიზეზი.

სახალხო დამცველს მიაჩნია, რომ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს დევნილთათვის გამოსახლებამდე უნდა ეცნობებინა გამოსახლების ზუსტი თარიღები, რადგან პროცედურა რამდენჯერმე გადაიდო, მით უფრო, რომ 2010 წლის აგვისტოს გამოსახლებების შეჩერების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიზეზი სწორედ დევნილთათვის გამოსახლების პროცედურისათვის მიცემული არასაკმარისი დრო გახდა. გარდა ამისა, 2011 წლის იანვარში სახალხო დამცველმა დამატებით განახორციელა დევნილთათვის ალტერნატივების სახით შეთავაზებული საცხოვრებლების მონიტორინგი. შედეგად აშკარაა, რომ სახეზე გვაქვს არაერთი პრობლემა, რომლებიც შეიძლება დევნილთა მდგომარეობაზე უარყოფითად აისახოს.

## უფლებადამცველები ვეტერანთა მხარდასაჭერად გაერთიანდნენ

სამოქალაქო მოძრაობა „სოლიდარობა უკანონო პატიმრებს" გამოეხმაურა ომის ვეტერანთა მოწოდებას უფლებადამცველების მიმართ და მხარი დაუჭირა მათ მოთხოვნას სააპელაციო სასამართლოს მიერ მათ მიმართ გამოტანილი გადაწყვეტილების გაუქმების თაობაზე.

სამოქალაქო მოძრაობას „სოლიდარობა უკანონო პატიმრებს" ვეტერანთა მხარდასაჭერად შემდეგი უფლებადამცველები და ჟურნალისტები შეუერთდნენ: დამოუკიდებელ ექსპერტთა კლუბის პრეზიდენტი სოსო ცისკარიშვილი, ეკა ბესელია, „სამართალი და თავისუფლების" ხელმძღვანელი ირაკლი სესიაშვილი, „კანონი ხალხისათვის" ხელმძღვანელი ზაქარია ქუცნაშვილი, „კონსტიტუციის 42-ე მუხლი", „ადამიანის უფლებათა ცენტრი", ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე ზაზა ხატიაშვილი, მოძრაობა „არა".



უფლებადამცველებმა სპეციალური განცხადებით სააპელაციო სასამართლოს მიმართეს. ისინი უკანონოდ მიიჩნევენ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლე თეა თადაშვილის მიერ ვეტერანთა აქციის 11 მონაწილის სამართალდამრღვევად გამოცხადებას და მათ დაჯარიმებას. უფლებადამცველები მოითხოვენ, გაუქმდეს სააპელაციო სასამართლოს მიერ მოსამართლე თეა თადაშვილის მიერ უკანონოდ გამოტანილი გადაწყვეტილება ვეტერანთა დაჯარიმების თაობაზე და შესაბამისი სამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისროთ 2011 წლის 3 იანვარს შეკრების უკანონოდ დაშლასა და ძალადობაზე პასუხისმგებელ სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებს.

ეკა ბესელიას განცხადებით, სააპელაციო სასამართლოს მიერ მათი მოთხოვნების დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში ისინი სარჩელს ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოში შეიტანენ.

## გილაური არაბ ინვესტორებს ელოდება



საქართველოს პრემიერ-მინისტრი ნიკა გილაური ოფიციალური და საპატიო ვიზიტით არაბეთის გაერთიანებულ საემიროებში იმყოფებოდა. არაბეთიდან გილაური კმაყოფილი დაბრუნდა. თავისი ვიზიტის შესახებ მან განცხადებები მთავრობის სხდომაზე გააკეთა.

გილაურის განცხადებით, ვიზიტის ფარგლებში გამართული ენერგეტიკული კონფერენცია საკმაოდ წარმომადგენლობითი იყო. განსაკუთრებული ყურადღება ისეთ ალტერნატიულ ენერგეტიკულ წყაროებს დაეთმო, როგორიც ჰიდრორესურსებია.

შეხვედრისას კიდევ ერთხელ გაესვა ხაზი იმას, რომ საქართველო ჰიდრორესურსების დიდი პოტენციალის მქონე ქვეყანაა რეგიონში. ამ სფეროში დამატებითი ინვესტიციის მოზიდვა მნიშვნელოვანია.

როგორც პრემიერი აცხადებს, საქართველოში ხუთი ახალი ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა უკვე მიმდინარეობს, წლის განმავლობაში კი კიდევ ხუთის მშენებლობა დაიწყება.

— იმედია, ამ ვიზიტის შემდეგ საქართველოში არაბეთის გაერთიანებული საემიროებიდან ახალი ინვესტორები შემოვლენ, რომლებიც ჰესების მშენებლობაში მონაწილეობის სურვილს გამოთქვამენ. ეს ქვეყანა დღეისათვის ყველაზე მსხვილი ინვესტორია, მათი კაპიტალი ფოთის პორტში ტურისტულ ინფრასტრუქტურაში საბანკო და სატელეკომუნიკაციო სექტორებშია დაბანდებული. იმედია, მათი ინვესტიციის მოცულობა კიდევ უფრო გაიზრდება, — აღნიშნა ნიკა გილაურმა.

## სააკაშვილი ბირჟების წინააღმდეგ



ამერიკამოვლილი მიხეილ სააკაშვილი ამ კვირაში სოფელ ჯუგაანს ეწვია და, ოპოზიციის მტკიცებით, მაგარი სახალისო განცხადებები გააკეთა. სოფელში პრეზიდენტი ახალი სკოლის გახსნაზე ჩავიდა. ჯუგაანში მიმავალმა ქვეყნის პირველმა პირმა, ბუნებრივია, სოფლის ბირჟებიც შეამჩნია. კახეთი ასეთი ბირჟების გარეშე წარმოუდგენელია. მავანისთვის რომანტიკული სოფლის ბირჟა მიხეილ სააკაშვილმა დაიწუნა.

— სოფლებში ბირჟაზე მდგომი ხალხი მიწას უნდა მივამაგროთ. მსოფლიოში ფასების ზრდის გათვალისწინებით, საქართველომ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის რაოდენობა უნდა გაზარდოს. მთავარია, რომ მსოფლიოში ფასების ზრდას მომზადებულები დავხვდეთ. ხელი უნდა გამოვილოთ და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტის რაოდენობა უნდა გავზარდოთ. ამისთვის ჩამოვიტანეთ ახალი თესლი და ჯიშები. კახეთში ისეთი მიწაა, სულ გვალვა რომ იყოს, მაინც იხარებს. ახლა გამოვიარე და ვნახე, რომ ჯერ კიდევ ბევრი ხალხი დგას ქუჩაში — ჩვენ ბირჟაზე მდგომი ხალხი მიწას უნდა მივამაგროთ. კიდევ სწავლა გვჭირდება, ბევრი რამე ჩვენ თვითონ უნდა გამოვიგონოთ, — განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა.

შორენა მარსაგიშვილი

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 84-92-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი, №89/24,
თბილქალაქპროექტის მაღლივი კორპუსი, მე-11 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 95-25-89
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება.
რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია.
სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი.
საავტორო უფლებები დაცულია.

# უშბა „ზალოგში“ მაქვს ჩადებული

## უკრაინელებს არყის ნაცვლად მჟავე წყალი გავატანეთ

თეა მარხვაი

**იანვრის დასაწყისში ხელისუფლებამ მესტიაში ახალი სათხილამურო ტრასის პრეზენტაცია მოაწყო. ეს პრეზენტაცია რატომღაც უკრაინელმა აკრობატებმა და მოცეკვავეებმა გაალამაზეს, თან ჩვენი ხელისუფლების თხოვნითა და რჩევით სვანეთში უკრაინული არაყი და ლორიც ჩაიტანეს.**

როგორ შეხვდა მესტია უკრაინულ არაყსა და შაშხს, სად აპირებენ სვანები „ლილეოს“ მღერას, რისთვის დებდნენ უშბას „ზალოგში“, ამის შესახებ „ახალ თაობას“ ყოფილი ვიცე-პრემიერი ავთანდილ მარგიანი ესაუბრება.

**ავთანდილ მარგიანი:**

— სვანეთში და საერთოდ მთაში სტუმარს დიდ პატივს სცემენ. ან რატომ მარტო მთაში, საქართველოში სტუმარი ღვთისააო, ყველგან ასე ამბობენ. სვანეთში ასე იწყებენ — მიგიღებენ გარეარსით გაგაცილებენ შინაარსით. უკრაინელი სტუმრებიც ასე მიიღეს. ყველას ძალიან გაგვიხარდა, უკრაინიდან ამდენი სტუმარი რომ ჩამოვიდა. ოღონდ, ერთი რამე ვერ გავიგეთ — რატომ ჩამოიტანეს აქ თავიანთი ლორი და არაყი. სვანებს არც ერთი გვაკლია და არც მეორე. ამის გამო ცოტა გავბრაზდი. მერე საქმის ვითარება ამიხსნეს და ცოტა დავწყნარდი.

***— რა ვითარება აგიხსნეს?***

— უკრაინელებმა ქართული არ იციან. რუსულად გაზრდილი ხალხია. უთხრეს, მესტიაში უნდა წავიდეთო. მესტია თარგმნეს, როგორც ადგილი. მესტია წარმოიდგინეს, როგორც მესტო. ვერ გაიგეს გეოგრაფია. ამიტომაც წამოიღეს თავიანთი შაშხი და რაღაცები.

***— სვანებს მოეწონათ უკრაინული ლორი?***

— არ გაუსინჯავთ. შეუხვიეს და უკან გაატანეს.

***— რატომ გაატანეს, დაიწუნეს?***

— არ დაუწუნებიათ. სვანები წუნია ხალხი არა ვართ. უბრალოდ, წესია ასეთი. რა გვჭირს სვანებს და საერთოდ ქართველებს საიმისო, რომ სტუმრის მოტანილი პურმარილი ვჭამოთ, ანდა მათი ჩამოტანილი არაყი დავლიოთ. ამიტომაც უკან გაატანეს.

***— არ დააინტერესათ მაინც იმან, რანაირია უკრაინული არაყი?***

— სვანებს მოგზაურობა უყვართ. მათ დიდ ნაწილს უკრაინული არაყი უკრაინაში აქვს გასინჯული. კიდევ დალევენ, ოღონდ, როცა უკრაინაში ჩავლენ.

***— თქვენ არაფერი გაატანეთ უკრაინელ სტუმრებს? მხოლოდ თავიანთი ჩამოტანილი ნუგბარით გაუშვით უკან?***

— ამდენი ხანია სვანებზე წერთ და უნდა იცოდეთ, რომ სვანეთში ასეთი რამეები არ ეშლებათ. როგორ არ გაატანეს, სტუმარს ასე ვინ გაუშვებდა. უკრაინელებს გაატანეს სვანური ღორის შაშხი, ანწლის არაყი... არა, არაყი ვერ გაატანეს.

***— რატომ ვერ გაატანეს?***

— გულით უნდოდათ, რომ გაეტანებინათ, მაგრამ შეცდომა მოუვიდათ. შეეშალათ და არაყის ნაცვლად მჟავე წყალი გაუტანებიათ.

***— თავი მოგვეჭრა ქართველებს. რას იფიქრებენ ახლა უკრაინელები ჩვენზე?***

— როგორ გეკადრებათ, თავი სულაც არ მოგვჭრია, პირიქით.

***— ეს რას ნიშნავს, იმათ მოეჭრათ თავი?***

— არც იმათ მოსჭრიათ თავი, იძახდნენ, რა რბილი არაყი ჰქონიათ ამ სვანებსო. მაგათ ცოლებს უთქვამთ, იმიტომ არიან ქართველები მაგრები, ასეთ რბილ არაყს რომ სვამენო.

***— დიდი ზარ-ზეიმი რომ ატყდა ამ სათხილამურო ტრასის გახსნის გამო, ადრე სვანეთში სათხილამურო კურორტი არ იყო?***

— სათხილამურო კურორტი? მსოფლიოში ყველაზე კარგი სათხილამურო კურორტი სვანეთშია. ასეთ ფერდობებს ვერსად ნახავთ. დაკვეთით ასეთი რამეები არ კეთდება. ძალიან ლამაზი ადგილები გვაქვს საქართველოში. თუ კარგად და ჭკვიანურად მოვუვლით, ყველაფერი კარგად იქნება. ყველამ ჩვენს კუთხეს უნდა მივხედოთ და საქართველო კიდევ უფრო გავალამაზოთ. ღმერთმა ისედაც ლამაზი ადგილები გვარგუნა, ცოტა ხელი ჩვენც ხომ უნდა გავანძრიოთ. ცოტა ხნის წინ ერთი ლექსი წავიკითხე და ძალიან მაგრად მომხვდა გულზე. ეს ლექსი, ემზარი რომ არის, კვიციანი, იმას დაუწერია თურმე.

***— რომელ ემზარ კვიციანს?***

— კოდორის ხეობაში რწმუნებული რომ იყო, ჩვენი ბაბაჯო. ეგ ხომ დროებით არის გაქცეული საქართველოდან. ეტყობა, ძალიან მოენატრა აქაურობა და ლექსი დაწერა.

***— ვინ წარმოიდგენდა, ლექსებსაც თუ წერდა.***

— მთლად არა წერს. უფრო გადაკეთება უყვარს ლექსების. ამჯერად აბაშიძის ლექსი გადააკეთა. გადაეცით ყველა სვანებს, მათი წმინდა ვალი არის, მოკვდეს, მაგრამ მკერდით შეკრას კოდორი და დარიალი. ეს ლექსი რუსულ გაზეთში დაიწერა. ყველას აუჩუყდა გული, მათ შორის, რუსებსაც. კარგი ქვეყანა გვაქვს და კარგი ხალხი ვცხოვრობთ საქართველოში. ამიტომაც უხარიათ სტუმრებს აქ ჩამოსვლა. სტუმრები ჩვენც გვიყვარს, დაე, იხარონ და იბედნიერონ. თუ რამეს მოგვიწყობენ იქაურობაში, ჩვენც პატივს ვცემთ, მაგრამ, რაც არ უნდა გააკეთონ, უშბასა და თეთნულდს ვერსად წაიღებენ.

***— უშბის განათებას აპირებენო. ამაზე რას იტყვით?***

— უშბის გამნათებელს თავად ტვინი აქვს გაუნათებელი. ისე, რომ იცოდეთ, ხორბალი რომ ძალიან ჭირდა, მე უშბა „ზალოგში“ ჩავდე.

***— ეგ ანეკდოტია, ბატონო ავთანდილ?***

— არა, რა ანეკდოტი. მართლა ჩავდე უშბა 50 ათასი ტონა ხორბლის სანაცვლოდ.

***— და თურქებმაც დაიტოვეს უშბა „ზალოგში“?***

— თავიდან იტოვებდნენ. მე მოლაპარაკებას ვაწარმოებდი თურქეთის პურ-პროდუქტების პრეზიდენტთან. იმან მითხრა, რა უნდა ჩადოთ ქართველებმა ხორბალშიო.

***— ყიდვა არ შეგეძლოთ?***

— სად გვქონდა მაშინ ხორბლის საყიდელი ფული. რომ მკითხა, რას ჩადებო, გადმოვუღე ალბომი სახელწოდებით „სვანეთის ცის ქვეშ“, ვაჩვენე უშბა. ვუთხარი, ეს არის მსოფლიოში ყველაზე ლამაზი მწვერვალი. ამასთან, ყველაზე რთული მწვერვალია. 900 მეტრი უარყოფითი კედელი აქვს. 56 ალპინისტია დაღუპული იქ. ბოლოს იქ ასვლა მხოლოდ 9 სვანმა შეძლო. მაშინ თურქეთის პრემიერი იყო თანსუნ ჩილერი. ეს მაგარი ქალი იყო, ჩვენი და. ეუბნება თურქულად ეს კაცი, ქართველები უშბას გვიდებენ ხორბალშიო. თანსუმ უთხრა, იმას ყურმილი მიეცი, ვინც უშბას „ზალოგში“ დებსოო. მითხრა, 56 დაიღუპა და გინდა, 57-ე დაიღუპოსო. იმას კიდევ უთხრა, მეტი ჭკუა არა გაქვთ სვანებს, უშბას რომ ადებინებთ „ზალოგშიო“.

***— თქვენ თქვით, რომ უშბამ ბევრი ალპინისტი შეიწირა. რისი ბრალია ეს?***

— უარყოფითი კედელი აქვს დიდი, 900 მეტრი. ბოლოს ამ მთაზე ავიდა მიხეილ ხერგიანი თავისი 8 კაცით.

***— იმათ მერე არავინ ასულა?***

— არ ასულა. რაც შეეხება თეთნულდს, იქ დილით მზე გადმოდის. ეს სასწაული სანახავია. ამას ადამიანი ოცნებაშიც კი ვერ წარმოიდგენს. ტურისტი მოვიდეს და ნახოს. ოღონდ გადაჭარბებები არ გვინდა. ჩვენი შექმნილი რომ იყოს, მესმის, მაგრამ, ღმერთმა გვაჩუქა და ასევე უნდა მოვუაროთ. ძალიან დიდი გამოყენება შეიძლება არა მარტო ტურიზმისთვის. ამის გარდა, მოსავალი მოდის უშბის ფერდობზე.

***— რა მოსავალი, ბატონო ავთანდილ?***

— თივა. ტყეებია. მჟავე წყლებია. მესტიაში არის 50 სახის მჟავე წყალი, რომელსაც დედამიწის ზურგზე ვერაფერი შეედრება.

***— და მერე ამ მჟავე წყალს უკრაინელებში არყად ასაღებთ ხოლმე...***

— ეგ შეცდომა იყო.

***— მიუხედავად იმისა, რომ სვანეთში ასეთი კარგი პირობებია სათხილამურო სპორტისთვის, ეს სფერო განვითარებული არ არის.***

— როგორ გეკადრებათ. ყველაზე მეტი მოთხილამურე პროცენტულად სვანეთშია. ჩვენთან ბავშვი რომ იბადება, უკვე მოთხილამურეა. ოღონდ, ეგ არის, თხილამურები ჭირს. შეიძლება ითქვას, რომ თხილამურები არ გვაქვს.

***— აბა, როგორ სრიალებდით?***

— პირდაპირ ქალამნებით. აბა, თუ ყოჩაღია, სხვებმა ისრიალონ უთხილამუროდ. ასეთ რამეს ვერც გუდაურში და ვერც ბაკურიანში ვერ შეხვდება კაცი.

***— ისე, თქვენ რატომღაც უფრო გუდაურში და ბაკურიანში დადიხართ თხილამურებით სასრიალოდ. უკეთესი კურორტებია თუ რაშია საქმე?***

— იმიტომ რომ გუდაური თბილისთან ძალიან ახლოს არის. სხვათა შორის, გუდაური ჩემი მშობლიური მხარეა. რძალი მყავს იქაური. ბაკურიანში ადრე დავდიოდი. მე საბჭოთა კავშირის ვერცხლის პრიზიორი ვარ. არის ასეთი მოხევე კაცი, სოსო ავსაჯანიშვილი. კარგი მოთხილამურეა. მთელ ჩვენს ხელისუფლებას მან ასწავლა თხილამურებზე სრიალი. სოსო ერთ-ერთ საუკეთესო სპეციალისტად ითვლება. თხილამურებზე დგომა მას მე ვასწავლე. სვანებს ეს ნიჭი დაბადებიდან გვაქვს. სვანეთში 2 კვირაც რომ დარჩე და სულ „ბასანოშკებით“ იარო, სრიალს ავტომატურად ისწავლი.

***— სნოუბორდზე სრიალი თუ დაამხეცეს სვანეთში?***

— ეგ რაღა უბედურებაა? გამახსენდა, ერთი ფიცრით რომ სრიალებენ. ასეთ რაღაცას სვანები არ იღებენ.

***— რატომ?***

— ასეთი წესი გვაქვს, სანამ არ მოვაქართულებთ, არაფერს ვიღებთ. ჩვენთან უცხოური ტერმინოლოგიებით არ საუბრობენ. ყველაფერს ქართული შესატყვისი უნდა მოუძებნო. ის კი არა, სვანმა ტექნიკური დასახელებაც არ მიიღო.

***— მაგალითად?***

— ლამპოჩკა. მას მანათობელს ეძახიან. სვანები გულუბრყვილოებიც ვართ და უკულმართობებიც არ ვიცით. ერთხელ სოსო ჯაჭვლიანი ზუგდიდში იყო. იქიდან ვილაცებთან ერთად წავიდა ანაკლიაში საბანაოდ. როცა დაბრუნდნენ, ერთმა ვაჟკაცმა მეგრელმა ბიჭმა ისინი გვერდზე გაიყვანა და ერთზე უთხრა, მაგასთან ერთად არ წახვიდეთო. ამათ ჰკითხეს, რატომო. იმან უპასუხა, ისა აქვს მიცემულიო, ჰომოსექსუალისტური ორგანო რომ არისო. სოსო გადაირია, რას მიჰქარავ, როგორ აქვს მიცემული, რომ ცურავდა, ზედ ჰქონდაო. ვერ წარმოედგინა, ასეთი რამე თუ შეიძლებოდა. ასეთი სუფთა ხალხი ვართ სვანები.

***— ინტერნეტს როგორ უყურებენ სვანები?***

— ინტერნეტზე უთხრეს სვანებს და გაგიჟდნენ, ბოლო ინტერნატი დაიხურა და რას ბოდავენო.

***— კომპიუტერები არა აქვთ?***

— როგორ არა აქვთ, მაგრამ ისე რა უყურებენ. სვანებს თავიანთი მეხსიერებაც კარგი აქვთ. იგი არ ითხოვს, არ სჭირდება ოქროს ფული მას, შრომაში იხვეჭს იგი ჯილდოს სიყვარულისას. სვანებზე რომ ვსაუბრობ, სულ ეს სტროფი მახსენდება და რომ არ ვთქვა, არ შემიძლია: ისევაც დაიზრდებიან, ისევ იმძლავრებს ბეთქილი, ისევ იქუხებს ლილეო, გულიდან ამოხეთქილი.

***— „ლილეო“ ულამაზესი სიმღერაა. რატომ არ უმღერეთ უკრაინელ სტუმრებს?***

— ძალად ხომ არ ვუმღერებდით. ვინც ისინი ჩამოიყვანა, იმათთვის ქართველი უკრაინულია. სვანები სხვაგან ვუმღერებთ სტუმრებს ქართულ სიმღერებს.

***— უკრაინაში ხომ არ წახვალთ კარპატებში?***

— არა. ეს მოხდება კოდორში. როცა აფხაზეთს დავიბრუნებთ, კოდორში დიდ ზეიმს გადავიხდით. დავპატიჟებთ ყველას და გავაგებინებთ, რა ლამაზია ქართული სიმღერა. მერე სიმღერის მეტი რა გვაქვს. თანაც რა სიმღერები.... სადაც „მრავალჟამიერი“ არ იქნება, იქ არც კონცერტს აქვს ფასი და არც სხვა რამეს. დამიჯერეთ, ჩვენ აუცილებლად ვიმღერებთ „მრავალჟამიერს“ სოხუმში აფხაზებთან და ცხინვალში ოსებთან ერთად. საქართველო აუცილებლად გამთლიანდება. ამაზე არავინ შემომედავოს.

***— როდის გამთლიანდება?***

— ძალიან, ძალიან მალე.

***— ყველა ამის პირობას გვაძლევს, მაგრამ საქართველოს გამთლიანებას ჯერ პირი არ უჩანს.***

— სხვები რას გპირდებიან, არ ვიცი. მე რომ გეუბნებით, გამთლიანდება-მეთქი, ეს ნიშნავს, რომ გამთლიანდება, თანაც ამის თაობაზე პატრიარქმაც რამდენჯერმე განაცხადა. პატრიარქის ხომ გჯერათ? შეუძლებელია, მისი არ დავიჯეროთ. როგორც ის იტყვის, ისე იქნება.





# შალვა ნათელაშვილმა მეკარედ დამაყენა

შორენა კოწოწაშვილი

**— გოგი დოლი ემ გამცა. ის მამაჩემის მეგობარი იყო. მეგობარს სოლიდარობა გამოუცხადა და უთხრა: დალუპულია, ლევან, შენი საქმე. შენი შვილი ნამდვილად არტისტი ხდებაო. ამას მოჰყვა მამაჩემის სიმულაცია ინფარქტის შეტევების, რომ შეი ლება ამას გადაჰყვეს. შემდეგ იყო დედაჩემის მონოგამოსვლები იმასთან დაკავშირებით, რომ მე ეს პასუხისმგებლობა მთელი ცხოვრება გამყვებოდა; რომ მე ამ ახირების გამო შეი ლება მამა დავკარგო და ა.შ. ბოლოს მითხრეს, რაზეც გინდა, იმაზე ჩააბარე, ოღონდ არა თეატრალურ ინსტიტუტში. ყველაზე მეტად მეჯავრებოდა ისტორია. ამიტომ პროტესტის ნიშნად ჩავაბარე ისტორიის ფაკულტეტზე. ამავე დროს მეორე საპროტესტო დემარში გავაკეთე ოჯახის წინააღმდეგ — გავთხოვდი, — აცხადებს პროფესორი ნესტან კირთა ე, რომელიც არ მალავს, რომ ბავშვობაში ოჯახს არცხვენდა და რომ ალიან მ იმე ხასიათი აქვს.**

რა არის კირთაძის მთავარი შეცდომა, რას აღიარებს, ვინ ატარებს თავის ჭკუაზე, რატომ ჩაიცვა მოკლე კაბა და ვისთვის გამოეწყო ნესტანი ბებია თინეიჯერულად? — ამ და სხვა საინტერესო კითხვებს პასუხობს ნესტან კირთაძე.

***— ქალბატონო ნესტან, საკუთარ ბავშვობას როგორ გაიხსენებდით?***

— დავიბადე ქუთაისში. მამაჩემი ლევან კირთაძე წლების მანძილზე იყო ქალაქის ერთ-ერთი ხელმძღვანელი, დედა ქეთევანი მთელ ქალაქში გამოირჩეოდა განსაკუთრებული მიმზიდველობით, იყო ღვთიურად ლამაზი და სტუმართმოყვარე ადამიანი. ოჯახში ვიყავით ძალიან ბევრნი, 4 დედმამიშვილი. უფროსი ძმა ძალიან ადრე გარდაგვეცვალა,თუმცა მერე უმცროსი ძმა შემოგვემატა. ვიყავით 3 და და ერთი ძმა. ბავშვობა გვქონდა ძალიან ლაღი და საინტერესო. კარგად ვსწავლობდით. მე ვიყავი ძალიან გამორჩეული მოსწავლე როგორც სწავლით, ასევე საზოგადოებრივი აქტიურობით. პატარაობიდანვე ვიყავი ლიდერი ბავშვი, თანაც ძალიან ცელქი.

***— ანუ, საბჭოთა ბავშვობა მძიმედ არ გახსენდებათ.***

— არა, პირიქით. მახსენდება ყველაზე ლაღ პერიოდად. ჩვენს ოჯახში იყო ასეთი დამოკიდებულება: შვილები უნდა გაზრდილიყვნენ თავისუფალნი, ლაღნი, მაგრამ აუცილებლად განსწავლულები უნდა ყოფილიყვნენ. იმ დროისთვის ძალიან კარგი განათლება მივიღეთ. აქ იყო რამდენიმე შტრიხი. მე ვიყავი, ცოტა არ იყოს, თამამი. ვთამაშობდი ფეხბურთს, დავქროდი ველოსიპედით, ვმეგობრობდი მარტო ბიჭებთან და ბავშვობიდან მყავდა შეყვარებული. მაგრამ ჩუმი შეყვარებული კი არა, საკმაოდ გამოფენილი შეყვარებული მყავდა, რომლის შესახებაც იცოდა არა მხოლოდ ჩემმა ოჯახმა, არამედ მთელმა ქალაქმა.

***— თუკი ველოსიპედით დაქროდით და ფეხბურთს თამაშობდით, გამოდის, ხშირად „სინიაკებიც“ გქონდათ?***

— სხვათა შორის, კი. უფრო მეტსაც გეტყვით: მახსოვს, როცა სამეგრელოში ბებიასთან სტუმრად ჩავედი, ჩაის მეურნეობაში ცხენს შემოვახტი და ბევრი ვიჯირითე, მაგრამ ჯირითის შემდეგ ორი კვირის განმავლობაში ძალიან მძიმედ ვიყავი. როგორც ჩანს, ალკაზმულობის გარეშე დავჯექი ამ ცხენზე და ვერ დავდიოდი. ეს იყო კვალი ჩემი ანცობის.

***— ვინ იყო თქვენი პირველი რჩეული და რა ასაკში შეგიყვარდათ?***

— ის, ვინც ახლა ჩემი მეუღლეა. პირდაპირ მინდა გითხრათ, მე და ჩემი მეუღლე საბავშვო ბაღშიც ერთად ვსწავლობდით, სკოლაშიც და უნივერსიტეტშიც, ანუ მთელი ცხოვრება ერთად ვართ.

***— თქვენ ორიდან პირველს რომელს შეუყვარდა?***

— როდესაც ვეკითხებით, ვინ, როგორ, აღმოჩნდა, რომ ეს იყო ერთდროული თვალის დადგმა. სინამდვილეში კი ასე მოხდა: მე ვიყავი რაზმეულის საბჭოს თავმჯდომარე, ძალიან კეკლუცი, მოკლეკაბიანი ანცი მოსწავლე, ამავდროულად, ვიყავი წარჩინებული და ამითაც ვიქცევდი ყურადღებას. ჩემი მეუღლე ზურა მაშინ იყო კომკავშირის მდივანი, ანუ იმ სკოლაში გამორჩეული ბავშვები ვიყავით. ისე გამოვიდა, რომ ერთდროულად შევავლეთ თვალი ერთმანეთს. მას შემდეგ თვალშევლებულები დავდივართ.

***— გამოდის, თამამმა კირთაძემ გასაქანი არ მისცა კომკავშირის მდივან ზურა რეხვიაშვილს. ასეა?***

— სხვათა შორის, ასე არ იყო.



**როგორი დედაა ნესტან კირთა ე**

***— რატომ, იმერელი ქალები ხომ ძალიან აქტიურები არიან...***

— თუ კუთხურობას მივაქცევთ ყურადღებას, ჩემი ქმარი რაჭული წარმოშობისაა, თუმცა ბევრად უფრო იმერული ხასიათის, ვიდრე დინჯი რაჭველი. ისე, არც მე მაქვს მაინცდამაინც იმერული წარმოშობა. ჩემში მეგრული სისხლიც ურევია, თან ჩემში უფრო მეგრული გამჭრიახობა ჭარბობს, მაგრამ ეს რეხვიაშვილთან არ არის დაკავშირებული. ყველაფერი ერთმა გარემოებამ განაპირობა. კერძოდ, ჩემი დროის მოწაფეები ემზადებოდნენ ორი სპეციალობის მისაღებად. მაშინ მოდაში იყო სამედიცინო ინსტიტუტი. თუ სამედიცინოზე ვერ ჩაირიცხებოდა, აუცილებლად უნდა ყოფილიყო ან ტექნოლოგი, ან იურისტი. მაგრამ ყველა ხუთოსანი მოსწავლე სამედიცინოს კონტინგენტი იყო. ასე ფიქრობდნენ ჩემი მშობლებიც. მაგრამ ეს ანცი და დაუდგრომელი კირთაძე ასე სულაც არ ფიქრობდა და მან თვალი გაუსწორა თბილისის თეატრალურ ინსტიტუტს, როგორც არაჩვეულებრივი მეტყველების უნარის მქონე ბავშვმა, არაჩვეულებრივად ლექსის წამკითხველმა, არაჩვეულებრივად მთხრობელმა და ყველაფერმა, გადავწყვიტე, გამოვსულიყავი, არც მეტი, არც ნაკლები, არტისტი. წარმოიდგინეთ, ჩემს სახლში რა ხდება. ერთი მხრივ, მშობლები გვზრდიან, რომ ვიყოთ ლაღნი, თავისუფალნი და, მეორე მხრივ, უკვე დიქტატის მარწუხები მოემართებიან ჩემი სურვილების საწინააღმდეგოდ. მოკლედ, მიაგნეს გამოსავალს. თეატრალურ ინსტიტუტში გამოცდების ჩაბარება ხდებოდა ორი თვით ადრე, ვიდრე ჩვეულებრივ უმაღლეს სკოლაში, ანუ ივნისში. დედამიწის ზურგზე თეატრალურში ჩაბარების დროს მყავდა ერთადერთი გულშემატკივარი. ეს გახლდათ ხელოვნებათმცოდნე გოგი დოლიძე — თეატრალური ინსტიტუტის პროფესორი. მან ზუსტად იცოდა, რომ მე უნდა გავმხდარიყავი არტისტი. როდესაც მამაჩემა და დედაჩემა თბილისში ჩამომიყვანეს და თქვეს, რომ მაინც ვერ ჩააბარებს ან, თუ ჩააბარებს, მერე რაღაც ზემოქმედების გზით, აგერ არ არის აგვისტო? ექიმი აგვისტოშიც შეიძლება გახდესო. ამიტომ, ასე ვთქვათ, ვნებებზე მიმიშვეს და საარტისტო არენაზეც შევედი. მისაღებ გამოცდებზე არაჩვეულებრივად შემაფასეს, ანუ ვიყავი მომავალი დიდი ვარსკვლავი. იმ წელს თუმანიშვილის სახელოსნოში ხდებოდა სტუდენტების მიღება. აბარებდნენ ნინელი ჭანკვეტაძე და სხვ. ეს თაობა. როგორც მითხრეს, ბაბულია ნიკოლაიშვილი, რომელიც გახლდათ უდიდესი მცოდნე ქართული მეტყველებისა, იმდენად მოხიბლული დარჩა ჩემი მეტყველებით, რომ უთქვამს, ეს უკვე მსახიობიაო. გოგი დოლიძემ გამცა. მამაჩემის მეგობარი იყო, მეგობარს სოლიდარობა გამოუცხადა და უთხრა: დალუპულია, ლევან, შენი საქმე, შენი შვილი ნამდვილად არტისტი ხდებაო. ამას მოჰყვა მამაჩემის სიმულაცია ინფარქტის შეტევების, რომ შეიძლება ამას გადაჰყვეს. შემდეგ იყო დედაჩემის მონოგამოსვლები იმასთან დაკავშირებით, რომ მე ეს პასუხისმგებლობა მთელი ცხოვრება გამყვებოდა; რომ ამ ახირების გამო შეიძლება მამა დავკარგო და ა.შ. ბოლოს მითხრეს, რაზეც გინდა, იმაზე ჩააბარე, ოღონდ არა თეატრალურ ინსტიტუტშიო. ყველაზე მეტად მეჯავრებოდა ისტორია, იმიტომ რომ ბებია მყავდა ძალიან განათლებული ქალი და იყო ცნობილი ეროვნულ-დემოკრატების ოჯახიშვილი. ის სრულიად სხვა რამეს მიყვებოდა და სინამდვილეში სრულიად სხვა რამე ხდებოდა. ვთვლიდი, რომ ეს იყო უდიდესი ფარსი, ამიტომ პროტესტის ნიშნად ჩავაბარე ისტორიის ფაკულტეტზე, სადაც, ჩემდა სამწუხაროდ, ოთხივე საგანში ხუთიანი მივიღე და ჩავირიცხე. ამავე დროს მეორე საპროტესტო დემარში გავაკეთე ოჯახის წინააღმდეგ — გავთხოვდი. ეს იყო ზუსტად 16 წლის ასაკში.

***— რადგან თეატრალურ ინსტიტუტში არ გაგიშვეს, ოჯახი დასაჯეთ?***

— კი. ორი საპროტესტო აქცია ჩავიდინე: ჩავაბარე ისტორიის ფაკულტეტზე და გავთხოვდი. აი, ჩემი და ზურა რეხვიაშვილის შეუღლების ნაყოფი გახლავთ ქალბატონი ანა, ერთადერთი და განუმეორებელი.

საუბრიდან გამომდინარე, ჩვენც შემდეგი კითხვით ნესტან კირთაძის ქალიშვილს ანი რეხვიაშვილს მივმართეთ, რომელიც საშობაო არდადაგებზე იყო ჩამოსული მოსკოვიდან.

***— ანი, შეინარჩუნა დედამ ყველა ის თვისება, რომელიც ბავშვობაში ჰქონდა და ახლა ღიმილით ყვება?***

— აუცილებლად. ყველა თვისება აქვს შენარჩუნებული. მართლაც ძალიან თამამი, თავისუფალი, ლაღი ადამიანია. ამასთან, შეუძლია იყოს ძალიან მკაცრი. მკაცრია შეფასებებში, თან ობიექტურია. ამას თან სდევს სიმკაცრეც. ამავე დროს, ნესტანი არის ძალიან თავისუფალი და ანცი.

***— შენს ბავშვობაშიც ავლენდა დედა სიმკაცრეს, იგივე სწავლის მიმართ?***

— კი. მომეთხოვებოდა, რომ უნდა ვყოფილიყავი ძალიან ნასწავლი, განათლებული, უნდა მესწავლა კარგად. დაკავებული ვიყავი ყველანაირი წრით, რაც არსებობდა. დამატარებდნენ ყველგან, რადგან თვლიდნენ, რომ უნდა ვყოფილიყავი აქტიური, ყველაფერში ჩართული. დავდიოდი ცეკვაზე, პარალელურად — კალათბურთზე, ჭადრაკზე.

***— ნესტანი შვილსაც სჯიდა?***

— კი. ერთ მშვენიერ დღეს ოთხიანი მივიღე ქართული წერაში, რადგან საშინელი კალიგრაფია მქონდა. არ მახსოვს, რომელ კლასში ვიყავი. ამის გამო დავისაჯე. დასჯა იყო ასეთი: ერთი თვის განმავლობაში უნდა წამეკითხა და ჩამებარებინა 7 წიგნი. დასჯის საკმაოდ კარგი ხერხი იყო. იყო შემთხვევა, როცა დედა დაიბარეს სკოლაში, რადგან ასევე ცელქი ვიყავი. ეს ალბათ გენეტიკური იყო. მეც ვთამაშობდი ფეხბურთს. სულ რაღაცას ვაშავებდი. მე ვიყავი პიონერი. კომკავშირლობას ვეღარ მოვესწარი, რადგან ეროვნული მოძრაობა დაიწყო. მაშინვე ყელსახვევი მოვიხსენი და ყველას ჩამოვხსენი. დაიბარეს ნესტანი სკოლაში და უთხრეს, ძალიან ანცია, ფიზკულტურის გაკვეთილებს არ ესწრებაო. ფიზკულტურაში სამიანი დამიწერეს. სახლში რომ მოვედი, მითქმა-მოთქმა იყო, როგორ უნდა დავესაჯე. მახსოვს, ნესტანმა მითხრა, თუ კარგად არ ისწავლი, ამ ოჯახში არ იცხოვრებ და უპატრონო ბავშვთა სახლში გაგიშვებო. დღესაც მახსოვს, როგორ ვტიროდი. რეალურად დარეკა ანუ მე მოვისმინე, როგორ დარეკა ბავშვთა სახლში. მე მომასმენინა, რომ გამოიძახა. 15 წუთში ჩემი შვილი თუ ხელწერილს არ დაწერს, თქვენ ჩემგან, როგორც დედისგან, გეძლევათ უფლება, რომ ბავშვი წაიყვანოთო. ბავშვის ფანტაზია ხომ მდიდარია. ყურში მესმოდა კანარეიკის ხმა, რომ მოდიოდნენ, ბადეში გამხვევდნენ და წამიყვანდნენ. ეს დღე არასდროს დამავიწყდება. როგორც წესი, მახსოვს, მუხლებზე დაჩოქილი ვწერდი ხელწერილს: მე, ანი ზურაბის ასული რეხვიაშვილი, ვდებ პირობას, რომ დღეიდან აღარ ჩავიდენ ამას, ამას, ვიქნები სანიმუშო, ვივლი ფიზკულტურაზე. როგორც კი ხელწერილის დავამთავრე, მახსოვს, როგორ ვეხვეწებოდი ნესტანს, დარეკე, სანამ არ მოსულან და გამოძახება გააუქმე-მეთქი. დარეკა და უთხრა, აღარ მოხვიდეთ, ოჯახში დავიტოვებთო. ასეთი ხელწერილის დაწერა კიდევ მომიხდა. ისე, კარგა ხანს ნამდვილად ვიყავი ამის გამო შეშინებული. მაგრამ ზოგადად ძალიან კარგი ბავშვობა მქონდა. ბებიებით და ბაბუებით განებივრებული ვიყავი. თავიდანვე სულ მესმოდა, ეს არის ლევან კირთაძის შვილიშვილი. ეს არის პროფესორ მიხეილ რეხვიაშვილის შვილიშვილი. ეს ძალიან მანებივრებდა. ყველა კარი ღია მქონდა.

***— ანუ პოპულარობა გხიბლავდა?***

— ნამდვილად მხიბლავდა.

***— როცა ნესტანი დაკავებული იყო, თავს მარტო, მიტოვებულად ხომ არ გრძნობდი?***

— დედის ნაკლებობას ნამდვილად არ განვიცდიდი. კი, იყო მომენტები, როცა წასული იყო, მაგრამ მე ამას ვაცნობიერებდი. ვხვდებოდი, რომ ეს აუცილებელი იყო. თუმცა მახსოვს, თუ შესაძლებლობა ჰქონდა, ყველგან თან დავყავდი. მე ვიყავი სოხუმშიც, თანაც რამდენჯერმე. შევარდნაძესთან ერთად გავფრინდით. თვითმფრინავში კიდევ იყო რამდენიმე ადამიანი, ჟურნალისტები და მე. სადაც შესაძლებლობა იყო, დედას ყველგან მივყავდი, ყველა შეხვედრაზე. ეს იყო რუსეთი, საფრანგეთი. როცა ინგლისში დედოფალთან იყვნენ შეხვედრაზე, იქაც ვიყავი. ბავშვობიდანვე ვხედავდი ამ ყველაფერს და ძალიან მიზიდავდა.

გაგრძელება მე-5 გვერდზე

# შალვა ნათელაშვილმა მეკარედ დამაყენა

დასაწყისი მე-4 გვერდზე

*ნესტან კირთაძე:*

— ანი მართლაც ყველგან დამყავდა, ამას ყველა მიჩვეული იყო — პარლამენტი, შევარდნაძის აპარატი. ანი რომ გამიჩნდა, 17 წლის ვიყავი, ძალიან პატარა. ღვთის წინაშე დავიფიცე, რომ ყველაფერს გავაკეთებდი დედაჩემის გასახარებლად, თან ყველაფერს ვაკეთებდი ანისათვის, ანუ მთელი ჩემი მოღვაწეობა, სამეცნიერო მუშაობა, ყველა ჩემი წიგნი და ყველა ჩემი წარმატება მივუძღვენი ამ ორ ადამიანს — დედაჩემსა და ანის. ვცდილობდი, ანი ყველგან ჩემ გვერდით ყოფილიყო. ისევე, როგორც ჩემი მშობლები ცდილობდნენ, მათი პატარა შვილები დიდებთან ერთად აღზრდილიყვნენ, მოესმინათ დიდების საუბარი, რომ ღვთისგან მინიჭებული და არჩევნის თავისუფლება არავის წაერთმია მათთვის; რომ არავინ ჩარეულიყო მათ ცხოვრებაში უდიერად. მე ვცდილობდი, დედაჩემის ეს მეთოდოლოგია ჩემი შვილისთვისაც მიმეცა. ამიტომ ანი ყველგან დამყავდა. ყველა მიჩვეული იყო, რომ როცა მივლინებით უცხოეთში მივდიოდი, ანიც თან დამყავდა. ყველაზე სასაცილო იყო ერთი მომენტი — როდესაც ჩავედით რუსეთის დუმაში. ანი პატარაა. შევედით დუმაში და მოვახერხეთ ისე, რომ საშვი ანისთვისაც დავუშვით. მე შევდიოდი უკვე შეხვედრებზე სპიკერთან, ვიცე-სპიკერთან, კომიტეტის თავმჯდომარეებთან. ანი მოსაცდელში მელოდებოდა ხოლმე ჩემს რამდენიმე მეგობართან ერთად, რომლებიც იქ იყვნენ. ეს ამბავი მისულა ჟირინოვსკის ყურამდე. როდესაც ჟირინოვსკისთან შეხვედრა დაინიშნა, ჟირინოვსკი შემოვიდა შემოსასვლელში და თქვა: გდე ანია. ია ბეზ ანი ნე ნაჩნუ. ანუ ანიც ესწრებოდა ამ შეხვედრას. ეს იყო მართლაც გასაოცარი რაღაც. მე მაშინ იმდენად ახალგაზრდა ვიყავი, იმდენად თავისუფლად აღზრდილი, რომ ეს კომპლექსები მაინცდამაინც არ მაწუხებდა. ასე რომ, სახელმწიფოებრივად მნიშვნელოვანი საკითხების განხილვას ანიც ესწრებოდა. ანი ასევე ესწრებოდა, სიამოვნებდა თუ არა, კლასიკური მუსიკის კონცერტებს, სპექტაკლებს, ანუ მუდმივად იყო ჩემ გვერდით.

***— ქალბატონო ნესტან, ყველაზე საინტერესო რომელი ეტაპი იყო თქვენს ცხოვრებაში?***

— ზოგადად, ცხოვრება ძალიან საინტერესოა. ყველა ეტაპი საინტერესოა. ჩემთვის, მით უმეტეს, ასჯერ საინტერესო იყო, იმიტომ რომ ორი სხვადასხვა სისტემის შვილი გახლდით. ვიყავი ჯერ საბჭოთა სისტემის შვილი, სადაც ყველაფერი იყო რეგლამენტირებული, მათ შორის, ჩასუნთქვა და ამოსუნთქვაც. მაგრამ ამ სისტემაშიც იყო რაღაც სილაღე, რომელიც მაშინ ყველა ბავშვს არ ჰქონდა. მე რატომ ვარ მუდმივად ქედმოდრეკილი ჩემი მშობლების წინაშე? იმიტომ რომ, მიუხედავად ამ ფუფუნებისა, თუნდაც დავარქვათ ამას რაღაცნაირი მოწესრიგებულობა, იმიტომ რომ სანიმუშობის განსახიერება უნდა ყოფილიყო ოჯახი. იქ იყო სილაღე, თავისუფლება, ბავშვობა იყო სრულიად საოცნებო, მით უმეტეს, როცა ბავშვი ხარ და ურთიერთობის საშუალება გეძლევა შენი ქვეყნის საუკეთესო ადამიანებთან. სულ პატარა ვიყავი, როცა სერგო ზაქარიაძეს შევხვდი და ლექსი ვუთხარი. იმდენად მოეწონა ლექსის წაკითხვის კულტურა, მან მითხრა, შენ კარგი მსახიობი იქნებიო. ვხედავდი ანა კალანდაძეს, არაერთ მსახიობსა და პოეტს. ეს ზრდიდა ჩემს შინაგან კულტურას. სტუდენტობა მთელი სილაღით არ განმიცდია, რადგან პატარა ანის არავის ვანდობდი. ვცდილობდი, კარგი დედა ვყოფილიყავი, ამავე დროს — კარგი სტუდენტი. ასპირანტურის პერიოდი იყო ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული. განსაკუთრებით უნივერსიტეტის წინ მდებარე ჩაის სახლი მახსენდება. ეს იყო ნამდვილი მოაზროვნეთა კლუბი. ბევრი ჩემი ჩაის სახლელი ნაცნობი და მეგობარი ზვიად გამსახურდიას პარლამენტის წევრი გახდა. ჩვენ ისე ვაგრძელებდით ასპირანტურაში მოღვაწეობას, მაგრამ, როდესაც საქართველოში დაიწყო გაორება, ისტებისა და იზმების დაპირისპირება ერთმანეთს შორის, ჩაის სახლი აერთიანებდა ყველას, იმიტომ რომ ჩვენ მეგობრები ვიყავით. ეს იყო პერიოდი, როცა ძველი და ახალი სისტემა ერთმანეთს ეთხოვებოდა. რაც შეეხება ჩემს შვილს, მართალია, ის ძველი სისტემის დროს დაიბადა, მაგრამ უკვე თავისუფალი და დამოუკიდებელი საქართველოს პირმშო იყო. მაგრამ მან დამოუკიდებელი საქართველო სიძნელეებით აღბეჭდა თავის ცხოვრებაში: უშუქობით, ომებით, დაპირისპირებებით. ხედავდა, რუსთაველზე როგორ იბრძოდნენ ტანკები, როგორ იწვოდა ჩვენი სახლი და მიმდებარე ტერიტორია. ანი დამყავდა მოლაპარაკებებზე, სადაც საუბარი იყო ზავზე, ომზე, მშვიდობაზე და ამ თემებზე. ასე რომ, ეს ძალიან რთული პერიოდი იყო, მაგრამ — უსაზღვროდ საინტერესო.

***— ქალბატონო ნესტან, თუნდაც მეორე შვილი რატომ არ გააჩინეთ, ერთით რატომ დაკმაყოფილდით?***

— ეს არის ჩემი ყველაზე დიდი უგუნურება. არა იმიტომ, რომ არ გვეძლეოდა შვილი. ეს არის უგუნურებისა და ყალბი ტრადიციის შედეგი, რომ ამას დავამთავრებ და მერე გავაჩენ მეორე შვილს, მერე — დისერტაციას დავიცავ და მერე გავაჩენ და ა.შ. ვიმეორებ, ეს არის უგუნურება, რასაც ხმამაღლა ვამბობ და ძალიან ვნანობ. ეს არის ჩემი უდიდესი სინანული. მე ვიცი, რა არის ბევრი დედმამიშვილის ფასი.

***— პიროვნულ თვისებებზე რას იტყვით, რამდენად რთული ადამიანი ხართ?***

— ვაღიარებ, ძალიან რთული ადამიანი ვარ. ჩემს სირთულეს იწვევს ერთადერთი გარემოება: ვერ ვიტან სიყალბეს და უსამართლობას. იმის მიუხედავად, რომ პოლიტიკა არ არის ანგელოზთა საკრებულო, არ არის სუფთა, მე რეალისტი ადამიანი ვარ და არა გულუბრყვილო. ჩემთან სირთულე წარმოიქმნება სწორედ ამ სიყალბის, გაუთავებელი პრიმიტიული თამაშების გამო. ყველა და ყველაფერი წააგებს ასეთი



მდარე პოლიტიკური თამაშების გამო. რთული ვარ იმ დროს, როცა არის სიყალბე.

***— ქუთაისური ენაკვიმატობა მოგყვებათ?***

— ენაკვიმატობა და იუმორი უფრო ჩემი მეუღლისა და ქალიშვილისთვის არის დამახასიათებელი. ჩემთვის, პირიქით, შენიშვნებიც კი მოუციათ, სად არის იუმორი, ნესტან?! ჩემში იუმორი არ არის, მაგრამ ბევრად ჭარბობს ცინიზმი. ეს ერთადერთი იარაღია იმ დროს, როცა მომაბეზრებელ სიყალბეს ხედავ. ცინიკური შეფასება გამიკეთებია როგორც სხვების, ისე საკუთარი თავის მიმართ. კიდევ ერთხელ ვამბობ, ვარ ძალიან რთული, მაგრამ საოცრად გახსნილი ყველას მიმართ. ჩემი ყველაზე სუსტი წერტილია ჟურნალისტები. ვინაიდან ანის პირველი პროფესია ჟურნალისტობაა, ყველაში ჩემს შვილს ვხედავ და ვცდილობ, უპასუხოდ და უყურადღებოდ არავინ დავტოვო. მეორე ჩემი სისუსტეა ჩემი შვილი. მაგრამ მთავარი სისუსტე შვილიშვილი თემოა, რომელმაც ნაადრევად გამხადა ბებია.

***— ამბობენ, შვილიშვილი უფრო საყვარელია, ვიდრე შვილიო.***

— ვერ დაგიმალავთ, უძლიერესი გრძნობაა და უძლიერესი განცდა. ერთადერთი ადამიანი, ვისაც შეუძლია, თავის ჭკუაზე მატაროს და თავდაყირა დამაყენოს, ჩემი შვილიშვილია.

***— თქვით, ლექსებს კარგად ვკითხულობდიო. შეყვარებულს თუ უკითხავდით ლექსებს და როგორი იყო შეყვარებული კირთაძე?***

— არა, ლექსებს ნამდვილად არ ვუკითხავდი, არც თავშეკავებული შეყვარებული ვიყავი. სხვათა შორის, მე და ზურა ერთმანეთს ქუჩაში ვკოცნიდით, როცა მე სკოლის მოსწავლე ვიყავი, ზურა კი — უკვე სტუდენტი. ზურას მეგობრებმა თქვეს, ნესტანმა და ზურამ ქუთაისი პარიზად აქციესო.

***— კი მაგრამ, ასეთი საქციელით მთლად საბჭოთა პერიოდში სანიმუშო ოჯახს არ არცხვენდით?***

— კი, ვარცხვენდი, მაგრამ ამას ისე თამამად ვაკეთებდი, რომ სირცხვილის განცდა არა, მაგრამ ჩემს მშობლებში გალიზიანება ნამდვილად იყო. სასტიკად არ უყვარდათ ზურა, განსაკუთრებით — ბებიაჩემს.

***— კურიოზს ან საინტერესო დეტალს ხომ ვერ გაიხსენებდით თუნდაც რომელიმე ვიზიტთან დაკავშირებით?***

— როცა ანიმ მოსკოვში სწავლა გადაწყვიტა, მთხოვა, გამყევიო. გავყევი და, რა თქმა უნდა, გამოცდაზეც წავყევი. ჩავიცვი ვიწრო და მოკლე კაბა. თმა გავიკეთე თინეიჯერულად, იმიტომ რომ მინდოდა, გამოცდების დროს იქვე ახლოს ვყოფილიყავი. გაუგებარი იქნებოდა მოსკოვის დიპლომატიური აკადემიის პროფესორისთვის, დედა მოვიდა და ის არის გულშემატკივარიო. ამიტომ შევეცადე, ძალიან თინეიჯერული ვყოფილიყავი. მაგრამ ძალიან დიდი ნერვიულობა დამეწყო. ვინც შევიდა გამოცდაზე, ყველა გამოვიდა, ანის გარდა. იქიდან გამოსულ პროფესორს ვკითხე, ქართველი რომ შევიდა, რატომ არ უშვებენ-მეთქი? თქვენ ვინ ბრძანდებითო, მკითხა. ვუთხარი, დედა ვარ-მეთქი. უცებ იყვირა, კაკაია მამა! იმდენად თინეიჯერულად ვიყავი ჩაცმული, ვერ დაიჯერა, თან ომი ახალი დამთავრებული იყო და ეს იყო შოკი იმ კედლებში. გამომსვლელები ამბობდნენ ანიზე, ის ქართველი ძალიან კარგად მომზადებული იყოო.

***— მართლა თამაშობთ ხოლმე შალვა ნათელაშვილის ბაზალეთის აგარაკზე პარტიის ლიდერთან ერთად ფეხბურთს?***

— არა. ეს იყო ერთი შემთხვევა. შალვამ თემო დაპატიჟა ბაზალეთზე. ჩვენც წავედით. იცით, რომ თემოს მამა, რატი ალექსიძე, ძალიან ცნობილი ფეხბურთელია. თემომ ჰკითხა, შალვა, ფეხბურთის თამაში იციო? მამაშენივით არ ვთამაშობ, მაგრამ ცოტა მეც ვიცი. თემომაც, დავაი, ვითამაშოთო. შალვამაც, დავაი, ვითამაშოთო. ასე განვლაგდით: შალვა იყო გუნდის კაპიტანი, თემო — თავდამსხმელი, ბექა ნათელაშვილი — დაცვა, მე კი კარში დამაყენეს. ჯერ კარგად ვიგერიებდი ბურთებს. ბოლოს ისე შევიდნენ ეშხში, რომ მე იმ ბურთის მომგერიებელი ვერ ვიქნებოდი. უცებ თემო ყვირის: გავუტანოთ ნესტანს ბურთიო. შალვა ეუბნება, არაო. თემო მიუბრუნდა და ეუბნება: რას შვრები, ბიჭო, შენ ეს პოლიტიკა ხომ არ გგონია, ეს ფეხბურთია, ძმაო, ფეხბურთიო. შალვა ეუბნება, წარმოიდგინე, ქართველებმა საკუთარ კარში რომ გაიტანონ ბურთი, როგორი იქნებაო. და უცებ ყველას შერცხვა. მე ვარ საქართველო და საქართველოს კარი და 11-მეტრიანი საჯარიმოც კი არ დაარტყეს საქართველოს კარში. ასეთი იყო შალვას პოლიტიკა.

***— ანგარიში როგორი იყო საბოლოოდ?***

— გაიმარჯვა საქართველომ. დამარცხდა ნათელაშვილი, ალექსიძეც და კიდევ სხვები. ასე რომ, ფეხბურთს ვთამაშობ, ველოსიპედით აღარ დავდივარ, ცხენზე იმის შემდეგ არ დავმჯდარვარ. მანქანით არ დავდივარ. სამაგიეროდ, მე და თემო ვსეირნობთ ხოლმე.

......

ქალბატონი ნესტანის შემდეგ ანის გავესაუბრეთ, რომელიც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ სხვადასხვა დროს სწავლობდა დიდი ბრიტანეთის კემბრიჯის უნივერსიტეტის ენების აკადემიაში, ლონდონში ახალგაზრდა ლიდერთა აკადემიაში. ამჟამად სწავლობს მოსკოვის დიპლომატიურ აკადემიაში. გასულ წელს ჩამოაყალიბა ახალგაზრდული მოძრაობა „ივერიელი“, რომელიც მიზნად ისახავს საქართველოს პოპულარიზაციას მთელ მსოფლიოში.

***— ანი, თავისუფალი იყავი პროფესიის არჩევაში თუ დედის ინტერესები გაითვალისწინე?***

— პირველი პროფესიით ჟურნალისტი ვარ. როცა ის დრო დადგა, რომ პროფესია უნდა ამერჩია, ვთქვი, აუცილებლად ჟურნალისტი უნდა გავხდე-მეთქი. მითხრეს, როგორც გინდაო. მაგრამ მაშინ ანგარიში გავუწიე უმცროს დეიდას, რომელსაც ძალიან უნდოდა, რომ ფილოსოფოსი ვყოფილიყავი. მეუბნებოდა, შენ ძალიან კარგად აზროვნებ და აუცილებლად კარგი ფილოსოფოსი დადგებიო. მეც უნივერსიტეტში ფილოსოფიის ფაკულტეტზე ჩავაბარე, სადაც ორი წელი ვსწავლობდი. ძალიან მომწონდა ზოგიერთი ლექცია. ზოგს პროტესტის ნიშნად არ ვესწრებოდი, პარალელურად მუშაობა დავიწყე პრაქტიკისთვის მეორე არხზე, ნატო ონიანთან, რომელიც საინფორმაციო სამსახურს ხელმძღვანელობდა. ამის შემდეგ გადავედი ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე.

***— დღეს, როგორც ვიცი, მოსკოვში დიპლომატიურ აკადემიაში სწავლობ.***

— კი, ჩემი მეორე პროფესიაა დიპლომატია. მანამდე ვსწავლობდი ინგლისში პოლიტიკის ფაკულტეტზე. ეს არავისთვის გასაკვირი არ იყო, რადგან მთელი ბავშვობა ამ სფეროში ვტრიალებდი. მინდოდა, რომ მეც, როგორც ქართველი, რომელშიც ბავშვობიდანვე იყო ჩადებული, სამშობლოს გამოვდგომოდი, ამიტომ გადავწყვიტე, ჩამებარებინა პოლიტიკის ფაკულტეტზე. თუმცა მერე უკვე ამ ყველაფერმა, პრაქტიკამ ბრიუსელში, სადაც ახალგაზრდა დიპლომატთა სკოლაა, განაპირობა, რომ მივხვდი, აუცილებლად დიპლომატი უნდა გავმხდარიყავი. მერე იყო 2008 წლის აგვისტოს ომი, რომელმაც უკვე განსაზღვრა ჩემი მომავალი პროფესია. მაშინ გადავწყვიტე, რომ უნდა წავსულიყავი აუცილებლად რუსეთში და აუცილებლად მოსკოვის დიპლომატიური აკადემია უნდა დამემთავრებინა. ეს იქნებოდა ასევე წინაპირობა იმისა, რომ რაღაცით ჩემი წვლილი შემეტანა დიალოგებში, ურთიერთობებში.

***— უპრობლემოდ ცხოვრობთ რუსეთში ეთნიკურად ქართველი ომის შემდგომ?***

— აბსოლუტურად უპრობლემოდ, პირიქით, ძალიან საინტერესო ხალხთან მაქვს ურთიერთობა, მიუხედავად იმისა, რომ ჩემს ჯგუფში ბევრია აფხაზი და ოსი. ერთი თაობის ადამიანები ვართ და ერთად ვაწყობთ გეგმებს, როგორ უნდა განვითარდეს სამომავლოდ ურთიერთობები. ძალიან ბევრი ინიციატივა გვაქვს. ახლა ვაპირებ აფხაზეთსა და ცხინვალში წასვლას. ძალიან საინტერესოდ მიდის ცხოვრება. რეალურად არსებობს უკვე შესაძლებლობები ურთიერთობის აღდგენის, დიალოგის. აქედან გამომდინარე, კიდევ ერთხელ ვამბობ, რომ ნამდვილად არ შევმცდარვარ არჩევანში. სხვათა შორის, როცა იგებენ, რომ ქართველი ვარ, ჩემ მიმართ სხვა მოწიწებას ვგრძნობ.

***— რაზე მიანიშნებთ, რომ აგვისტოს ომმა ვერ წაშალა რუს და ქართველ ერებს შორის არსებული კარგი ურთიერთობა?***

— ნამდვილად ვერ წაშალა. პოლიტიკა პოლიტიკოსებმა უნდა აკეთონ. ეს არ აისახა ადამიანურ ურთიერთობებზე. ჩვენ გამაერთიანებელი რაც გვაქვს, ეს არის მართლმადიდებლობა. სანამ მოსკოვში წავიდოდი, პატრიარქისგან კურთხევა ავილე. ძალიან დიდხანს ვისაუბრეთ, რჩევა ვკითხე. ამ გზაზე პატრიარქის კურთხევით წავედი. პატრიარქმა მითხრა, რომ ეს არის ძალიან რთული, მაგრამ ძალიან კარგი გადაწყვეტილება. ძალიან დიდი პასუხისმგებლობაც არის, როც დღეს რუსეთში პატრიარქის კურთხევით ხარ. ეს არის შენი ქვეყნისთვის ღვაწლი. ნებისმიერი პატარა სიძნელის დროს სულ მახსენდება, რომ პატრიარქის კურთხევით ვარ წასული. ამიტომ ზუსტად ვიცი, რომ ჩემი იქ ყოფნა ნაყოფიერი უნდა იყოს.

***— შვილის გარეშე მოსკოვში ცხოვრება არ გიჭირთ?***

— მიჭირს, მაგრამ ვცდილობ, ხშირად ვნახო. როცა საშუალება არის და სკოლიდან დათხოვილია, დედას თემო მოსკოვში ჩამოჰყავს.

***— შენც პატარა ასაკში გათხოვდი?***

— მე ვიყავი 22 წლის. მთლად ნესტანის რეკორდი ვერ მოვხსენი, თუმცა დიდი სიყვარულით გავთხოვდი, თანაც ნამდვილად არაფერი მქონდა ოჯახში საპროტესტო. ძალიან მიყვარს თავისუფალი დროის ნესტანთან ერთად გატარება. გავდივართ სადმე და მივირთმევთ ჩვენს საყვარელ სალათ ცეზარს და ყავა კაპუჩინოს. ვსხედვართ მშვიდად და ვჭორაობთ. ასევე ერთად დავდივართ ფიტნესზე, როცა ამის საშუალება გვაქვს. ნესტანი კარგად ცურავს. სამწუხაროდ, მე ცურვა არ ვიცი.

***— ნესტანმა თქვა, სოხუმშიც მყავდაო. რაიმეს ხომ არ გაიხსენებდით სოხუმთან დაკავშირებით?***

— რა გითხრათ, მოვფრინავდით სოხუმიდან. ეს იყო ომის პერიოდი. სოხუმიდან მოდის დელეგაცია: შევარდნაძე, დიპლომატები, ჟურნალისტები და იქ იყო ავიაციის მაშინდელი ხელმძღვანელი ზურა ჭანკოტაძე. ყველა ძალიან განერვიულებულია და ყველას ძალიან შია. თვითმფრინავი მოდის ავარიულ რეჟიმში. უცხოელი დიპლომატები პირჯვარს იწერენ, ოღონდ თბილისამდე ჩავიდეთო. შევარდნაძე ზის ოლიმპიური სიმშვიდით. ყველას შია. უცებ ვაფიქსირებ, რომ ვიღაც გამოვიდა მფრინავის კაბინიდან, მოიწმინდა პირი და დაჯდა. შემდეგ გავიდა მეორე, როცა გამოვიდა, მანაც პირი მოიწმინდა და დაჯდა. ბოლოს ზურა ჭანკოტაძე მეძახის, მოდიო. ყველაზე პატარა მე ვიყავი. წავედი. ვხედავ, გაზეთია გაშლილი, რომელზეც ალაგია ხაჭაპურები, მოხარშული ქათამი. მითხრა, ეს შევარდნაძისთვის გამოგვატანესო. გაზეთით ხომ არ მივართმევთ, მაინც არ მიირთმევსო. შევარდნაძე უყურებს ამას, მიხვდა, რაშიც არის საქმე და იყვირა, კი მაგრამ, ამ ჩემს ნადავლს რომ მიირთმევთ, ერთი ფრთა მაინც გამასინჯეთ, ხალხი არა ხართო? ამას დაემატა კიდევ ერთი. უკვე ძალიან ავარიული რეჟიმი გვაქვს. აცხადებენ, დაჯდება ან ვერ დაჯდება თვითმფრინავი, გაფუჭდა. პანიკაა. უცებ შევარდნაძემ მიმართა მფრინავს, მაინც საზოგადო მოღვაწეები ვართ, პირდაპირ მთაწმინდაზე დაეშვიო. თვითმფრინავში ყველას გაეცინა.

# ნაციონალებში დიდი დაპირისპირება მოსალოდნელი

## საპარლამენტო არჩევნები ვადაზე ადრე ჩატარდება

ნონა ცაბა ე

### ინტერვიუ კონსერვატიული პარტიის ლიდერ ზვიად ძიძიგურთან

***— ბატონო ზვიად, ისედაც მძიმე სოციალური ფონია ქვეყანაში,ამ ყველაფერს კი დევნილების გამოსახლების ახალი ეტაპი ემატება. თქვენ თვალს ადევნებდით ამ პროცესებს, რა ხდება, ჩნდება განცდა, რომ მიზანმიმართულ ქმედებებს ეწევა ხელისუფლება, თქვენ რას ფიქრობთ ამასთან დაკავშირებით?***

— ხელისუფლებამ მოახერხა,ძველი იმპერიული პრინციპის თანახმად, დაეყო სოციალური ფენები ცალცალკე და შემდეგ ცალკე აღებულს ამარცხებს ძალიან იოლად. თვითონ დევნილებშიც კი არის ასეთი ტიპის პრობლემა, მე არაერთხელ დამიფიქსირებია კონსერვატორების, ეროვნული საბჭოს პოზიცია დევნილებთან მიმართებაში, რომ 90 ათასი დევნილია მხოლოდ თბილისში, თუკი დევნილები ერთმანეთის მიმართ იქნებიან სოლიდარულები, ხელისუფლება ამას ვერ გაბედავს, მაგრამ ეს სოლიდარობა ვერ ხერხდება. ეს ერთიანობა ვერ ხერხდება, არის მხოლოდ ცალკეული ჯგუფები აქტიური დევნილებისა, რომლებიც ასე ვთქვათ, იბრძვიან რაც შეუძლიათ, ვაჟკაცურად იბრძვიან, თავგანწირვით იბრძვიან თავიანთი უფლებების და თავიანთი თანამოძმეების უფლებების დასაცავად, მაგრამ ეს საკმარისი არ არის. ჩვენ მიგვაჩნია, რომ დევნილთა ორგანიზაციებმა, რომლებიც არსებობს საკმაოდ მრავლად, მოახერხონ ერთმანეთს შორის კოორდინაცია, იმდენად, რომ საერთო საპროტესტო აქციები განახორციელონ. 90 ათასი დევნილის 20% რომ გამოვიდეს თბილისში პარლამენტის წინ, ან დევნილთა სამინისტროსთან და დააფიქსიროს თავისი პროტესტი იმასთან დაკავშირებით, რაც ხდება, ეს ყველაფერი შეწყდება. მე მინდა ვისარგებლო და თქვენი გაზეთის ფურცლებიდანაც მოვუწოდო დევნილებს, რომ გამოიჩინონ ამ მძიმე წუთებში კეთილგონიერება, მე მათზე მაქვს საუბარი, ვინც სახლში ზის და ჰგონია მას არ შეეხება ეს პრობლემები. აუცილებლად შეეხება ყველას, როდესაც ერთ კატეგორიას გაასახლებენ თბილისიდან, შემდეგ მიადგებიან მეორე ნაწილს, უკვე ნაკლებად პრესტიჟულ ადგილებში და ნაკლებად საინტერესო ფართებში დასახლებულ დევნილებს, მიადგებიან აუცილებლად. ეს ჩვენ უკვე ვნახეთ. ეს წელი მთლიანად, 2011 წელი იქნება სწორედ დევნილებისათვის მძიმე წელი, ვინაიდან 2012 წელი უკვე საარჩევნო წელია და ასეთი ტიპის ღონისძიებებს ხელისუფლებები საარჩევნო წლის დროს არ ახორციელებენ. ამიტომაც ჩვენ ეროვნულ საბჭოს გვაქვს გადაწყვეტილი, რომ სოციალური ტიპის აქციების ორგანიზება დავიწყოთ, სადაც არა მარტო დევნილების კოორდინებისა და სოლიდარობის საკითხი იქნება, არამედ ყველა დაჩაგრული სოციალური ფენა უნდა გავხადოთ ერთმანეთის მიმართ სოლიდარული; ასეთ შემთხვევაში იქნება ამ პრობლემების მოგვარება შესაძლებელი. რაც შეეხება იმას, ხელისუფლება თუ რატომ აკეთებს ამას — მგელი იმის მგელია, რომ მგლობას უნდა შვრებოდეს. ესენი არიან მტაცებლები და იქცევიან ისე, როგორც მტაცებლები. მათი მხრიდან ეს გასაკვირი არ არის. გასაკვირი არის მხოლოდ ის, რომ მაშინაც კი, როდესაც საკითხი დგას ასე, გამოსახლებაზე, უკვე გაგდებაზე, იმ ფართიდან, სადაც უკვე ამდენი ხანია, აფხაზეთიდან დევნილობის შემდეგ ცხოვრობს, უკვე მეორედ ხდება მათი აყრა და გადასახლება.

***— ითქვა, რომ საკმაოდ ცუდი პირობებია იქ, სადაც უშვებენო...***

— საშინელი, თქვენ წარმოიდგინეთ თბილისში რა მდგომარეობაა. ახლა რუსთავი 2-ს რომ უყურო, კი არის თბილისიც და ბათუმიც ბედნიერი ქალაქები, მაგრამ რამდენი გაჭირვებული ცხოვრობს, დევნილები განსაკუთრებით როგორ ცხოვრობენ ამ ქალაქში. ჩვენ საარჩევნო კამპანიის დროს პრაქტიკულად მოვიარეთ დევნილებით დასახლებული მთელი ადგილები და არის საშინელი განუკითხაობა, წყალი ჩასდით სახურავიდან, ანტისანიტარია, სიბინძურე, არავითარი კომუნალური სერვისი მათთვის არ არსებობს. რეალურად ჩვენ ვიმყოფებით ასეთი სურათის მხილველები და ასეთ პირობებშიც კი არ უნდათ, რომ



გააჩერონ და კიდევ უფრო უარესებენ თავიანთ საყოფაცხოვრებო პირობებს. უშვებენ რაიონებში, სადაც კიდევ უფრო მძიმე საყოფაცხოვრებო პირობები გახლავთ.

***— საკმაოდ არაპოპულარულ ნაბიჯებს დგამს დღეს ხელისუფლება, როგორ ფიქრობთ, საერთოდ იგნორირებას უკეთებს ამ ხალხის აზრს თუ უბრალოდ ბიუჯეტს იმდენად უჭირს, რომ საკუთარი იმიჯი აღარ ანაღვლებს.***

— ახლა მათ უფრო მეტად აინტერესებთ, რომ ამ წელიწადში მორჩეს ყველა ეს უხერხული პრობლება, რომელიც მისთვის არის მნიშვნელოვანი, იმიტომ, რომ იმ ფართებს, საიდანაც დევნილებს გაუშვებენ, ან რომელიმე ფირმებს მიყიდიან, ან მათივე ჩინოვნიკების ჯიბეები გასქელდება და ასე შემდეგ. 2012-ში კი ამის გაკეთების საშუალება აღარ ექნებათ იმიტომ, რომ საარჩევნოდ ასეთი ტიპის ნაბიჯებს ხელისუფლება არ გადადგამს. ამიტომ მოსასწრები აქვს მას. დევნილებსაც, პენსიონერებსაც, მძღოლებსაც, ინდმეწარმეებსაც, მეანაბრეებსაც, ყველას, ჩვენ მოვუწოდებთ, რომ წლევანდელი წელი არის წელი, როდესაც ხელისუფლების თავხედურ ქმედებებს უნდა დაუპირისპირონ თავიანთი ორგანიზებულობა და სოლიდარობის ნაბიჯები, სხვაგვარად ხელისუფლება ყველაფერს მიაღწევს, აბსოლუტურად ბოლომდე გამოწურავს საქართველოს მოსახლეობისაგან მისთვის სასიცოცხლოდ აუცილებელ წვენს და შემდეგ დაჭყლეტილი ლიმონივით მიაგდებს ყველას კუთხეში.

***— თქვენ აცხადებთ, რომ დაიწყება საპროტესტო აქციები სოციალური კუთხით, როდის იგეგმება ამ აქციების დაწყება?***

— ჩვენ ამ აქციებზეც ყოველდღიურ რეჟიმში ვგეგმავთ თუ როგორი უნდა იყოს, რა ტიპის უნდა იყოს და, სავარაუდოდ, თებერვლის დასაწყისიდან ამ მიმართულებით კონკრეტულ ნაბიჯებს გადავდგამთ. აქ საზოგადოების ერთიანობა აუცილებელია, ვინც არ იქნება ერთიანობის პროცესში ჩართული, მე კიდევ ერთხელ მინდა ვთქვა, რომ აქლემი მის ჭიშკართანაც დაიჩოქებს აუცილებლად. ეს აქლემი არის სააკაშვილის აქლემი, რომელსაც ზურგზე ჰკიდია ფასების გაძვირება, შემცირება და ოპტიმიზაცია სამუშაო ადგილების და კიდევ ბევრი სხვა მრავალი უბედურება. ჩვენ ყველამ ვნახეთ, რომ მიხეილ სააკაშვილს ძალიან იოლად შეუძლია თავის საკუთარ მოსახლეობას დაატეხოს უბედურება თავს, როდესაც მას უკვე პოლიტიკურად ერთგვარად გარანტირებული ჰგონია თავისი მდგომარეობა. სააკაშვილს დღეს გარანტირებული ჰგონია თავისი მდგომარეობა და იმიტომ დგას ასეთ ნაბიჯებს.

***— თქვენ ფასების ზრდა ახსენეთ, კატასტროფულად მატულობს ყველაფრის ფასი, როგორც საკვებ პროდუქტებზე, ისე საწვავზე. საწვავი დღეს დილით კიდევ 10 თეთრით გაძვირდა...***

— საწვავთან დაკავშირებითაც მინდა მოგახსენოთ, რომ ყველა ეკონომიკური ექსპერტი, რომელიც არის საქართველოში, ამბობს, რომ საქართველოში 30-40 თეთრით ნაკლები უნდა იყოს საწვავზე ფასი, ვიდრე არის რეალურად და ამას ექსპერტები ხსნიან ძალიან კვალიფიციურად. ანუ დღესაც, ვინაიდან საწვავის თემა არის მონოპოლისტური თემა საქართველოში, რამდენიმე კონკრეტული კომპანია, რომელიც არის ხელისუფლებასთან ფლირტის ურთიერთობაში, თვითონ აწესებს ფასებს და ნახეთ ფასების მატება ყველა ბენზინგასამართ სადგურზე ერთნაირად ხდება. ესენი არიან მონოპოლისტები, ეს რამდენიმე კომპანია, ამიტომ აქაც არის ჩართულობა საჭირო. ვიღაცა თუ უკმაყოფილებას გამოთქვამს სადღაც სამზარეულოში, ამით საქმე არ გამოვა. ესეც აუცილებლად იქნება იმ სოლიდარობის აქციებში დაფიქსირებული. ჩვენ მძღოლებს, განსაკუთრებით იმათ, ვინც ამ გადაადგილებით და ტრანსპორტირებით, ადამიანების იქნება ეს თუ რაღაც ბიზნესკომერციული ტრანსპორტირების საქმიანობა იქნება, არიან ჩართულები, მათთვის არის სასიცოცხლო მნიშვნელობის, რამდენი იქნება ფასი საწვავზე. ჩვენ მათაც მოვუწოდებთ, აუცილებელი იქნება მათი გააქტიურება და ჩართულობა. ხედავთ თქვენ, საბერძნეთში რაღაც მოხდება სოციალური თვალსაზრისით, მასობრივი გამოსვლებია, საფრანგეთში რაიმე მოხდება საპენსიო ასაკთან დაკავშირებით, მასობრივი გამოსვლები იწყება. ყველგან ხდება ეს და მინდა დავარწმუნო ჩვენი თანამოქალაქეები, რომ საფრანგეთში გაცილებით უფრო მაღალი სოციალური ფონია ცხოვრების, გაცილებით მეტი აქვთ ხელფასები, პენსიებიც, სოციალური უზრუნველყოფის სისტემაც საერთოდ საფრანგეთში ისეთია, რომ ინატროს ყველა ქვეყანამ, განსაკუთრებით ჯანდაცვის მიმართულებით. საკმარისია იქ ოდნავ მაინც შეეხონ საგადასახადო თვალსაზრისით ადამიანის პირად ყოფასა და ბიუჯეტს, იმ წუთას ორგანიზებულად ასი ათასობით ადამიანი გამოდის ქუჩაში და აფიქსირებს თავის პროტესტს. თქვენ რა გგონიათ, რა, სულელები არიან ფრანგები და მათ არ იციან თავინთი დროის და ნერვების ფასი?! ხელისუფლებასთან დაპირისპირებაზე მიდიან ისინი და ხელისუფლებასთან დაპირისპირება არსად არ არის იოლი საქმე, არც საფრანგეთში, არც საქართველოში და არც ირანში. ეს ყველგან მოითხოვს მოქალაქეობრივ გაბედულებას. მოქალაქეობრივი გაბედულების გარეშე სოციალური პრობლემების მოგვარება იქნება შეუძლებელი.

***— თქვენ სულ საუბრობთ ოპოზიციის ერთიანობაზე, ალბათ ამ შემთხვევაში განსაკუთრებით საჭირო იქნება, რომ დანარჩენი ოპოზიციაც დადგეს თქვენ გვერდით, თუ მიმდინარეობს კონსულტაციები?***

— ჩვენ არ ვამბობთ, რომ ვინმე ჩვენ გვერდით უნდა დადგეს, ხალხის ირგვლივ უნდა დადგეს ყველა, ვისაც მიაჩნია, რომ ამ ხალხის მხარდაჭერა, შემდეგ მასვე დასჭირდება, თუნდაც იმ საპარლამენტო არჩევნების დროს, რომელიც იქნება მომავალ წელს. ამიტომ ვფიქრობ, რომ თვითონ პარტიები გადაწყვეტენ და თავად მიიღებენ ამაზე გადაწყვეტილებას. ჩვენ, ეროვნული საბჭო, ვიწყებთ ამ მიმართულებით საქმიანობას, თუ რომელიმე სხვა პარტია ჩათვლის, რომ ეს მნიშვნელოვანი საკითხია, ჩაერთვება ამ პროცესებში. ჩვენ მხოლოდ მოხარულები ვიქნებით, იმიტომ, რომ მარგი ქმედების კოეფიციენტი ასეთ შემთხვევაში ასეთი აქციების იქნება უფრო მაღალი.

***— სახალხო კრებას რაც შეეხება, რა ხდება ამ მხრივ? თქვენ ადრე მათთან თანამშრომლობა გქონდათ, დღეს რა სიტუაციაა, გამოდის ხმები, რომ კრებაში ყველაფერი რიგზე ვერ არის, რამდენიმე წევრმა დატოვა კიდეც სახალხო კრება...***

— სახალხო კრება, თვითონ იდეა, არის ძალიან სწორი იდეა. ხალხიც, რომელიც ამ საქმეს ჩაუდგა, საინიციატივო ჯგუფი, ძალიან პატივსაცემი ადამიანები არიან, გულშემატკივრები თავიანთი ქვეყნისა და მე მინდა მათ დაველაპარაკო იმ პრობლემებზე, რომელიც არის სახალხო კრებასთან მიმართებაში და როცა ჩვენ უკვე ჩამოვყალიბდებით და კონსულტაციები გვექნება მათთან, ამის შემდეგ გააკეთებს ეროვნული საბჭო თავის ერთობლივ განცხადებას სახალხო კრებასთან მიმართებაში. მინდა კიდევ ერთხელ გულწრფელად დავადასტურო, რომ კარგი პროექტია, სწორი პროექტია და ამ პროექტის კარგად განხორციელება არის შესაძლებელი. უბრალოდ რაღაც კინკლაობებში, რაღაც დაპირისპირებებში სახალხო კრება არ უნდა ერეოდეს, არ არის ეს მისი საქმე. სახალხო კრება უნდა იყოს გამაერთიანებელი ყველა ოპოზიციური თუ საზოგადოებრივი ძალისა, რომელსაც ქვეყნის გადარჩენა უნდა, მე ასე ვფიქრობ ამას და ეს პირადად მათთან საუბარშიც ბევრჯერ მითქვამს, გაზეთის ფურცლებიდანაც, ტელეეკრანებიდანაც, ყველგან, სადაც ხელი მიმიწვდება, სწორედ ამაზე ვესაუბრები ყველას.

***— ამ ბოლო პერიოდში საკმაოდ ბევრს საუბრობენ 7 ნოემბრის აქციებთან დაკავშირებით. საუბარია, რომ ბადრი პატარკაციშვილმა ოპოზიციას 10 მილიონი გადმოურიცხა. თქვენც აქტიურად იყავით მაშინ ამ პროცესებში ჩართული და მართლაც იყო თუ არა ასე?***

— მე მთელი ჩემი ცხოვრება აქციებში ვმონაწილეობ, მაგრამ ფინანსურ საკითხებთან არასდროს არ მქონია შეხება. ვიცი, რომ ბადრი პატარკაციშვილი ამ აქციებს აფინანსებდა, მაგრამ ათი მილიონი და ასი მილიონი ასეთი ბიუჯეტები ეს არის ძალიან გაბერილი ციფრები. ჭორები დადის და საზოგადოებასაც ყოველთვის აინტერესებს ეს, მაგრამ თქვენ წარმოიდგინეთ, რამდენი ხნის განმავლობაში მიდიოდა აქციები; ეს იყო მთელი საქართველოს მასშტაბით, თავისი ავტოკოლონებით, რომელიც კვირაში ერთხელ თუ ორჯერ გადიოდა დედაქალაქიდან, შემდეგ 2 ნოემბერს ორგანიზებულად ჩამოსვლა, შემდეგ ადგილზე კიდევ ძალიან ბევრი საპროტესტო აქცია. რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი ფული ღირდა და ამას აფინანსებდა ბადრი პატარკაციშვილი, მაშინ ეს ასე იყო. ეს არც ბატონ ბადრის დაუმალავს, არც სხვას დაუმალავს და არც რაიმე საიდუმლოს წარმოადგენდა. მე ვარ სწორედ ასე ინფორმირებული, როგორც ახლა მოგახსენეთ და რაც შეეხება რა რაოდენობის თანხა იყო, ვინ იყო შემომტანი და ვინ განმკარგავი, ეს დეტალები არც მაშინ მაინტერესებდა და არც ახლა მაინტერესებს.

***— ასევე ხელისუფლების შიგნით მიმდინარე პროცესებზეც მინდა გკითხოთ, ვრცელდება ინფორმაცია, რომ მალე ახალი კარუსელი დატრიალდება, ითქვა ისიც, რომ პრემიერ-მინისტრად ვერა ქობალია ინიშნებაო, თქვენ თუ გაქვთ მსგავსი ინფორმაცია და რა შეფასებას მისცემდით ამას?***

— პრემიერ-მინისტრმა უნდა იცოდეს მაგიდაზე კარგად ცეკვა. ალბათ ეს არის კრიტერიუმი, რომლითაც იხელმძღვანელებს ხელისუფლება თუკი ვერა ქობალიას დანიშნავს პრემიერ-მინისტრად. მე არა მაქვს არავითარი ინფორმაცია, ერთი ვიცი ნამდვილად, რომ 2012 წელს წყდება ამ ხელისუფლების ბედი. საპარლამენტო არჩევნები, რომელიც არის 2012 წელს დანიშნული, იქნება გადამწყვეტი, ვინ იქნება საქართველოს პრეზიდენტი, რომელი გუნდი იქნება ხელისუფლებაში, მთავრობა კოალიციური იქნება თუ იქნება ისევ სახელისუფლებო პარტიის მიერ ჩამოყალიბებული მთავრობა. საკითხები 2011 წლის გაზაფხულიდან დაიწყებს ძალიან ფორსირებულად წინ წამოწევას და რა თქმა უნდა, კარუსელებიც მოსალოდნელია, სახელისუფლო გუნდში დაპირისპირებებიც და ყველაფერია მოსალოდნელი. ყველაზე კარგად ეს იცის მიხეილ სააკაშვილმა. ეს არის პოლიტიკური რეალობა, რომელსაც ვერ გაექცევი, ეს პოლიტიკური რეალობა არის შემდეგი, რომ პოლიტიკური ბალანსის შეცვლა ამ ქვეყანაში იქნება გარდაუვალი და ეს მოხდება საპარლამენტო არჩევნების დროს.

***— თუმცა საუბარია, რომ სწორედ 2011 წელში ჩატარდება ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები...***

— არ ვიცი, არც ერთი არჩევნები, როცა დაგეგმილი იყო, მაშინ არ ჩატარებულა საქართველოში. ასეთი სამწუხარო ტრადიცია არსებობს. ამიტომ მე ვერ გამოვრიცხავ იმას, რომ არჩევნები 2012-ის მაგივრად 2011-ში ჩატარდეს, ვერც იმას გამოვრიცხავ, საერთოდ ჩატარდება თუ არ ჩატარდება ასეთი სოციალური ტუტუცობები თუ გააგრძელა ხელისუფლებამ, რომელსაც ჩვენ ვხედავთ ყველანი ერთად. ამიტომ ვერ გეტყვით, ეს არის პროგნოზი, რაღაც პოლიტიკურ მჩხიბაობამდე გადადის და არა ვარ ამ საქმეებით დაინტერესებული. ერთი მინდა ვთქვა, რომ ყველა პოლიტიკური ძალა უნდა იყოს ორგანიზებული და უნდა ემზადოს იმისათვის, რომ ნებისმიერ მოულოდნელობას შეხვდეს მომზადებული და მისთვის ეს სიურპრიზი არ იყოს.

***— რამდენად არის იმის შესაძლებლობა, რომ სოციალური აფეთქება მოხდეს ქვეყანაში?***

— სოციალური აფეთქება საქართველოში არასდროს არ მომხდარა, მაგრამ სოციალურად მძიმე ფონი სოციალურ პროცესებს ძალიან ააქტიურებს. 2007 წელსაც, მე გეტყვით, როდესაც მოხდა აქტიური ანტისახელისუფლო გამოსვლები, ამას ფონად ჰქონდა ათი ათასობით განთავისუფლებული ადამიანი, შეურაცხყოფილი საზოგადოება, მეცნიერებათა აკადემია, პროფესორები, მასწავლებლები, ექიმები, შვილმკვდარი ოჯახები, დარბეული ტელევიზიები და ასე შემდეგ. იყო ძალიან ბევრი თემა, სადაც ხელისუფლება ამბობდა, მე ვარ და ჩემი ნაბადი და სხვა ყველანი ცალ ფეხზე მკიდიხართო და ამან ხელი შეუწყო იმას, რომ მაშინ საზოგადოება ძალიან აქტიური იყო. 7 ნოემბრის შემდეგ ხელისუფლებამ შეცვალა თავისი ტაქტიკა, გნებავთ პედაგოგებთან მიმართებაში, გნებავთ ექიმებთან მიმართებაში, გნებავთ ხელოვნების მუშაკებთან, ყველასთან ენის მოჩლექით დაიწყეს ლაპარაკი, ხან ინდაურებს უგზავნიან საახალწლოდ და ხანაც მიწის ნაკვეთებს ურიგებენ. მოკლედ, ეს დამოკიდებულებები ხელისუფლებამ შეცვალა და ამან საზოგადოების მხრიდან პოლიტიკური წინააღმდეგობაც შეასუსტა. ანუ ხელისუფლებამ ისწავლა 7 ნოემბრის შემდეგ დიდი და სერიოზული გაკვეთილი, მაგრამ ახლა იგივე გაკვეთილი აქვს ოპოზიციასაც სასწავლი, ოპოზიციამაც უნდა ნახოს, რომ მაშინ, როდესაც პოლიტიკური პარტიები იყვნენ კოორდინირებულები და ერთიან რეჟიმში, მაშინ საზოგადოების დიდი მხარდაჭერა ჰქონდათ და როცა დაიწყო გათითოკაცება და დაშლა ოპოზიციური ძალებისა, მხარდაჭერაც საზოგადოების მხრიდან არის შესაბამისი. ჩვენ თუ გვინდა რაიმე შევცვალოთ, თუ გვინდა პოლიტიკური ბალანსი შეიცვალოს ქვეყანაში, კოალიციური მთავრობა ჩამოყალიბდეს, რომელიც ვერ მიიღებს ბორონტარისტულ გადაწყვეტილებებს, გნებავთ სოციალური საკითხების გაუარესებასთან დაკავშირებით, ვერც ომის დაწყებასთან, ვერც ომის დამთავრებასთან, ვერც მრავალმილიარდიანი ფულების ფლანგვის შესახებ, ვერ მიიღებს კოალიციური მთავრობა გადაწყვეტილებას. თუ გვინდა, რომ ასეთი პოლიტიკური მომავალი ჰქონდეს ჩვენს ქვეყანას, ასეთ შემთხვევაში აუცილებელი იქნება ოპოზიციური პარტიების თანამშრომლობისა და არა კინკლაობისა და დაპირისპირების რეჟიმი.

# ადამიანმა ჯვარი არასდროს არ უნდა მოიხსნას

ნათია ხურცილავა

## 27 იანვარს ქართული მართლმადიდებელი ეკლესია წმინდა ნინოს ხსენების დღეს აღნიშნავს.

წმინდა იოანე ღვთისმეტყველის ტაძრის მღვდელმსახური, მამა კონსტანტინე გიორგაძე საქართველოს გაქრისტიანების ისტორიასა და ჯვრის ძალაზე გვესაუბრება:

***— მამა კონსტანტინე, წმინდა ნინოს სახელს უკავშირდება საქართველოს გაქრისტიანება და ქართველი ხალხიც განსაკუთრებით სცემს მას თაყვანს. როგორ მოვიდა ის საქართველოში?***

— არც ერთი ქართული საქმე წმინდა ნინოს გარეშე არ იწყება და არ უნდა დაიწყოს. მისი დედობრივი კურთხევა ყველა ქართულ საქმეს სჭირდება. რაც შეეხება იმას, თუ როგორ მოვიდა წმინდა ნინო საქართველოში. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია სამოციქულოა. ეს იმას ნიშნავს, რომ თვით მოციქულებმა იქადაგეს ქრისტიანობა. ანდრია პირველწოდებული ჩამოვიდა პირველად, თუ რატომ, ესეც ცნობილია. საქართველო დედა ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანაა. თავად ღვთისმშობელს უნდა მოექცია საქართველო. მას უნდა ემოგზაურა, მაგრამ უფლის განგებით უკვე მისი მიძინების დრო იყო, თავის ძესთან უნდა ასულიყო. ამიტომ ანდრია პირველწოდებულს დაევალა ღვთისმშობლის მაგივრად ჩამოსულიყო საქართველოში საქადაგებლად. მან წამოიღო ღვთისმშობლის ხელთუქმნელი ხატი, რომელსაც შემდეგ აწყურის ხატი ეწოდა. საქართველო პირველივე საუკუნეებიდან იყო ქრისტიანობის კერა. მთლიანად სახელმწიფო არ იყო ქრისტანული, წარმართული იყო, მაგრამ ჩვენში იყო საეპისკოპოსოები, სამღვდელოები, იყო ყველა ის ატრიბუტი და ერთეული, რაც ქრისტიანულ ეკლესიას სჭირდება. პირველივე საუკუნიდან ეს ყველაფერი დაფუძნდა, მაგრამ საქართველოს მთლიან გაქრისტიანებას წმინდა ნინოს მოსვლა დასჭირდა. ეს ემთხვევა იმ პერიოდს, როდესაც კონსტანტინე დიდმა, 313 წელს გამოსცა მილანის ედიქტი, სადაც მითითებული იყო, რომ ქრისტიანობა აღარ იკრძალებოდა. ვინც ქრისტიანებს შეავიწროვებდა, მათ დასჯიდნენ. კონსტანტინე დიდმა მთელ რომის იმპერაში მდგომარეობა რადიკალურად შეცვალა. ქრისტიანულ დათბობას უკავშირდება წმინდა ნინოს საქართველოში წამოსვლა და ის იწყებს ქრისტიანობის ქადაგებას. წმინდა ნინო კაბადოკიელი იყო. კაბადოკიაში, კომპაქტურ დასახლებაში ცხოვრობდნენ ქართველები, მესხები. ამიტომ არის ვარაუდი, რომ წმინდა ნინო გენეტიკურად, ეთნიკურად ქართველი იყო. მისი ახლო ნათესავი იყო, ბიძაშვილად ეკუთვნოდა წმინდა გიორგი. წმინდა ნინოს მორწმუნე მშობლები ჰყავდა ზაბულონი და სუსანა. ზაბულონი მხედართმთავარი, მეომარი იყო. როდესაც ისინი რომიდან იერუსალიმში გადავიდნენ საცხოვრებლად, ის ბერად აღიკვეცა, მისი ცოლიც, სუსანაც, ამავე გზას დაადგა, მისი ძმის ხელდასხმით. წმინდა ნინოს დედის ძმა იერუსალიმის პატრიარქი იყო. წმინდა ნინო 12 წლის ასაკში მიაბარეს ვინმე ქალს სარა ნიაფორს. ეს ქალბატონი იყო უაღრესად ქრისტიანი, ის უყვებოდა ქრისტეს მოსვლაზე, მის წამებაზე. მან მოუყვა ისიც, თუ როგორ მოხვდა მაცხოვრის ერთადერთი კვართი, რომელიც ღვთისმშობელმა უფალს ჩვილობაში მოუქსოვა, საქართველოში. ეს კვართი უფალთან ერთად სასწაულებრივად იზრდებოდა. ერთიანი კვართი იყო, რომელსაც ნაკერები არ ჰქონდა. წმინდა ნინო ყოველდღე ცრემლებით ევედრებოდა უფალს, რომ საქართველოში ჩამოსულიყო, რომ მთხვეოდა და მუხლი მოეყარა კვართთან. წმინდა ნინოს, თავისი თავმდაბლობით, თავში აზრადაც კი არ მოუვიდოდა, რომ საქართველო გაენათლებინა. მას ღვთისმშობელი გამოეცხადა, რომელსაც უთხრა, მე, ასეთი სუსტი არსება, როგორ შევძლებ უფლის სიტყვის ქადაგებასო. მაშინ ღვთისმშობელმა უთხრა, რომ ღმერთი იქნებოდა მისი მფარველი. ის სწორედ ამ ხილვით, ღვთისმშობლის მფარველობით წამოვიდა საქართველოში, რომელსაც ვაზის ჯვარი მიეცა. როდესაც გამოეღვიძა მას, მართლაც ხელთ ჰქონდა ჯვარი, რომელიც საკუთარი თმებით შეკრა და ამ ჯვრით წამოვიდა საქართველოში. ვიდრე წამოვიდოდა, მივიდა ბიძამისთან, რომლისგანაც კურთხევა აიღო. პატრიარქმა ის აღსავლის კარის წინ დააყენა და მხურვალედ დალოცა. ასე გამოისტუმრა იერუსალიმის პატრიარქმა წმინდა ნინო საქართველოში. ნინო საქართველოში დიდი წვალებით ჩამოვიდა. მან მიაღწია ფარავნის ტბას, სადაც ქართველი მწყემსები გაიცნო, რომლებსაც ჰკითხა, საით იყო მცხეთა. მწყემსებმა უთხრეს, არის ისეთი ვინმე, რომელმაც არ იცის მცხეთა? „ეს არის ქალაქი, სადაც მეფენი მეფობენ და ღმერთნი ღმერთობენ". მაშინ ძლევამოსილი ქვეყანა იყო საქართველო. ძლიერების და ვაჟკაცების ქვეყანა. უკვე საქართველო რაღაც ახლის, სიახლის მისაღებად ემზადებოდა. ქრისტეს მისაღებად ემზადებოდა. საქართველო იყო გამზადებული ჭურჭელი, პლაცდარმი იმისა, რომ ერს ქრისტიანობა მიეღო. საქართველოში უსუსური ქალის მოსვლამ ძალიან მძაფრად იმოქმედა ქართველებზე, რომ მოსულიყო ვინმე ახოვანი მხედარი, ვაჟკაცი მამაკაცი და ეთქვა, რომ მე მოვიტანე თქვენთან ჭეშმარიტი რჯული და მიიღეთო, შეიძლება არ მიგვეღო, რადგან ჩვენც ვაჟკაცები, რაინდები ვიყავით, მაგრამ უმწეო ქალმა, რომელიც 13 წლის იყო, თავისი უდიდესი მადლით, რომელიც საქართველოში მოიტანა, ქართველების გულები დაიპყრო და მთელმა საქართველომ მას მუხლი მოუყარა. პირველად რუისში ჩამოვიდა, იქიდან გაყვა ქართველებს, რომლებიც მცხეთაში კერპების პატივსაცემად მიდიოდნენ. წმინდა ნინოს საზარელი სანახობა დახვდა მცხეთაში, მთელი ხალხი კერპების შიშით ძრწოდა. მაშინ ნინომ მხურვალედ ილოცა, რომ ქართველები ცრუ ღმერთებისგან გაეთავისუფლებინა. მართლაც ამოვარდა ქარიშხალი, დაიმსხვრა კერპები, ხალხი მიმოიბნა. ამ დროს ის ცხოვრობდა სამეფო მებაღის ოჯახში. სანამ ნინო საქართველოში ჩამოვიდოდა, მანამდე რომში რიფსიმე და გაიანე მოაქცია. ამ ორ ქალწულთან ერთად კიდევ 50 ქალი მოაქცია, რომლებიც საქართველოსკენ გამოემართნენ, იმ დროს დიოკლიტიანე მეფობდა. დიოკლიტიანემ მოისურვა რიფსიმეს ცოლად შერთვა, ულამაზესი იყო. ამიტომ



## ჯვარი სულიერი თვალსაზრისით არის ხმალი

სომხეთში გამოიქცნენ, დიოკლიტიანემ შემოუთვალა სომხეთის მეფეს, რომ მოეძებნათ და დაეხოცათ. მაშინ სომხეთში დრთატ მეფე იყო, რომელმაც მოძებნა ეს ქალწულები და დახოცა ყველანი. წმინდა ნინო ღვთის განგებით სასწაულებრივად გადაურჩა.

***— მამა კონსტანტინე, თქვენ ბრძანეთ, ძლიერი ვაჟკაცი რომ ჩამოსულიყო საქართველოში, შეიძლება აქ დახვედრილ რაინდებს პროტესტი გასჩენოდათო. საქართველო, დედა ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანა ქალმა რომ მოაქცია, ეს სიმბოლურია?***

— რა თქმა უნდა. ჩვენ რაინდების კი არ გვეშინია, მხოლოდ უფლის სიტყვის და უფლის ძალის. უფლის ძალა გამოსჭვიოდა ამ უმწეო ქალწულში. მის ამ უმწეობაში უფლის დიდი ძალა იგრძნობოდა. ქართველებმა დაინახეს კიდეც, როგორ დაიმსხვრა კერპები. მირიან მეფეს უნდოდა, რომ წმინდა ნინო და მისი მეუღლე ნანა, რომელიც განკურნა და ქრისტიანობაზე მოექცა, მოეკლა. როდესაც მეფე მირიანი სანადიროდ თხოთის მთაზე იყო, მას მზე დაუბნელდა. მზის დაბნელება ასტრონომიული არ ყოფილა, როგორც გამოიკვლიეს, მაშინ მზის დაბნელება არ უწევდა. ეს იყო უფლის მიერ ჩადენილი სასწაული. მან დაუწყო კერპებს ვედრება, მაგრამ რომ ნახა ისინი ვერაფერს შველოდნენ, ნინოს ღმერთი ახსენა და მაშინვე განათდა ცაზე. არც ეს განათება იყო ასტრონომიული მოვლენა. შემდეგ, დაპირებისამებრ, წმინდა მირიან მეფემ ააშენა ტაძრები. იმდენად თავმდაბალი იყო, რომ სვეტიცხოველში ყოველდღე ვერ შედიოდა, მხოლოდ შაბათ-კვირას შედიოდა სალოცავად. ასეთი მოკრძალება იყო. ისტორიულ დოკუმენტებში არის ნახსენები, როდესაც ის ამბობს, რომ ზემო ტაძარს ავაშენებთო და იქ ყოველდღე შევალთ სალოცავადო.

***— რა არის ქრისტიანული სამყაროსთვის ჯვარი, ყველა ასპექტში ჯვარი ფიგურირებს. რას ნიშნავს პირჯვრის გადასახვა?***

— ჯვარი წარმართთათვის და უგუნურთათვის სიცოფე და სიშლეგეა, პირდაპირ ასე წერენ წმინდა მამები. ჩვენთვის, ჭეშმარიტი მართლმადიდებლებისთვის, ჯვარი ცხონება და წამალია. ჯვარი არის სულიერი თვალსაზრისით ხმალი. ის ხმალი, რომლითაც ქრისტიანი თავის თავს იცავს. ჯვარს უდიდესი მნიშვნელობა გააჩნია, მის გარეშე ცხონება არ შეიძლება. ჯვრის გარეშე ვერ გადავრჩებით. ჯვრის გარეშე თავს ვერ დავიცავთ. ჯვარცმული მაცხოვრის გვერდით ორი ავაზაკი იყო, ერთი, რომელმაც იცნო მაცხოვარი და მოინანია. ნიშანდობლივია, რომ სწორედ პირველი ჯვრით შევიდა სასუფეველში. ჯვრით გახსნა სასუფევლის კარი. ხომ შეიძლებოდა, რომ ისე შესულიყო, მაგრამ მთავარი ის არის, რომ ჯვრით შევიდა. ჯვარია ჩვენი ძირითადი გადამრჩენელი და მაცხოვნებელი. კონსტანტინე დიდს ჰაერში ჯვარი გამოეცხადა, ამით სძლიეო. ეს იყო უფლის მინიშნება. ჯვარს უდიდესი სასწაულები მოუხდენია. წმინდა ელენე დედოფალმა გადაწყვიტა მაცხოვრის ჯვრის მოძებნა და როდესაც წავიდა იერუსალიმში, გოლგოთაზე მას დახვდა საშინელი მდგომარეობა. ებრაელებმა ამ ყველაფერს ნაგავი მიაყარეს, საკერპოები ააშენეს. ერთი ღრმად მოხუცი ებრაელისგან გაიგო დედოფალმა ელენემ, სად იქნებოდა მაცხოვრის ჯვარცმა, ის ადგილი. გაათხრევინა ყველაფერი და სამი ჯვარი ნახეს, რომელზეც იყო მაცხოვარი გაკრული და გვერდით ავაზაკები. როგორ უნდა გაეგოთ, რომელი იყო მაცხოვრის ჯვარი. მაშინ მოილაპარაკეს, რომელი ჯვარიც მიცვალებულს აღადგენდა, სწორედ ის იქნებოდა მაცხოვრის ჯვარი. მართლაც, ერთ-ერთი ჯვარი დაადეს მიცვალებულს და მან აღადგინა მიცვალებული. ასე დადგინდა, რომელი იყო მაცხოვრის ჯვარი. ნახეთ, რა საოცარი ძალა აქვს ჯვარს. ჯვარს უდიდესი ძალა აქვს. ჯვარცმულმა, ჯვარზე გაკრულმა იესომ მოინადირა ბოროტი, ეშმაკი. სწორედ ჯვრით დათრგუნა და მოკლა სიკვდილი. წმინდა ნინოც სიტყვით არ შემოსულა საქადაგებლად, ის ვაზის ჯვრით შემოვიდა.

***— ჯვრის გარდასახვას რა მნიშვნელობა აქვს?***

— ჩვენ ჯვარს ყოველდღე ვისახავთ. ის არის მფარველი. წმინდა მამები ამბობენ, როდესაც ადამიანი ჯვარს ისახავს, გონება იწმინდებაო. როდესაც ადამიანი ჭეშმარიტად ისახავს ჯვარს, მაშინ სისხლი, რომელიც გულიდან გადაისროლება, ჯვარზე გადისო, ასე იწმინდება სისხლი და მერე მიეწოდება დანარჩენ სხეულს სისხლის მიმოქცევის დროს. მართლაც ასეა და ამას მეცნიერებიც ამტკიცებენ. ჯვარს მაცხოვნებელი და განმაკურნებელი ძალა აქვს. შედარებას გავაკეთებ პირჯვრის გადაწერასთან დაკავშირებით. როდესაც ადამიანი ხმალს იქნევს, მან უნდა იცოდეს, როდის მოიქნიოს ხმალი. როდესაც მტერია, მაშინ უნდა მოიქნიოს, თორემ თუ ჰაერში იქნევს, ამას რა მნიშვნელობა აქვს. არის ისეთი პირჯვრის გადაწერა, როდესაც ეს ადამიანს ავნებს.

***— რა შემთხვევაში ავნებს?***

— არ შეიძლება პირჯვრის აჩქარებულად გადაწერა. არ შეიძლება შემოკლებული ჯვრის გადაწერა. შემოკლებულია მაშინ, როდესაც ადამიანს ბოლომდე არ მიაქვს ხელი და შუაში ასრულებს. ამ შემთხვევაში გადაბრუნებული ჯვარი გამოდის, რომელსაც ადამიანი გადაისახავს. რაც ბოროტს უხარია. ყოველი ჯვრის გადაწერაზე თუ არ შეიგრძნო ადამიანმა და არ გააცნობიერა, რატომ იწერს ჯვარს, მაშინ ეს ჰაერში ხმლის მოქნევს ჰგავს. ჯვარი უნდა გამოისახო ისე, რომ იცოდე, რატომ და ვის წინააღმდეგ ისახავ მას.

***— პირჯვრის გადაწერას შთაგონება უნდა ახლდეს?***

— აუცილებლად.

***— პოლემიკა არის, უნდა გადაისახოს თუ არა ჯვარი ადამიანმა, მაგალითად, საზოგადოებრივ ტრანსპორტში?***

— ამის შემდეგ აღარ იყოს პოლემიკა, რადგან ჯვრის გარდასახვა შეიძლება ყველგან და ყოველთვის. ტრანსპორტშიც, მჯდომარეც და დაწოლილიც, მაგრამ როდესაც სახლში ზიხარ და წამოდგომა გეზარება, ეს სხვა საკითხია. როდესაც ადამიანი ავად არის, მაშინ რა ქნას, მწოლიარემ უნდა გარდაისახოს. არის შემთხვევა, როდესაც ბოროტი ხელს უკრავს ადამიანს და ჯვარს ვერ ისახავს. უშეშებს, მაშინ თვალით უნდა გარდაისახოს. ჯვარი არის მხსნელი, დამცავი, რომელიც ადამიანმა ყოველთვის უნდა გამოიყენოს. არ შეიძლება ჯვრის მოხსნა. სულ თან უნდა ჰქონდეს, უკეთესია ჯვარცმის ჯვარი.

***— ჯვარცმის ჯვარი ყოველთვის შეიძლება თან ატარო?***

— ჯვარი სულ უნდა ჰქონდეს თან მამაკაცსაც და დედაკაცსაც, აბაზანაშიც, ცოლ-ქმრულ ურთიერთობაშიც და ყოველთვის. ხატი სხვა რამეა, ამ შემთხვევაში ჯვარზე ვსაუბრობ. ჯვრის მოხსნა არ შეიძლება.

***— ძილის დროსაც?***

— ძილის დროსაც. რა, ძილის დროს არ არის ბოროტი? მინდა აღვნიშნო, რომ ბავშვებსაც უნდა ჰქონდეთ ჯვარი ყოველთვის. დედებს ეშინიათ, რომ ძილის დროს არ დაიხრჩოსო და ხსნიან და გვერდით უდებენ. ისტორიას არ ახსოვს, რომ ჯვრის თოკს ან ძეწკვს ბავშვი დაეხრჩოს, პირიქით. ბავშვს რეფლექსები აქვს და თუ შეაწუხებს თოკი, ის გადაბრუნდება. ჯვარი მშველელია, მსგავსი შიშები ბოროტისგან მოდის. ჯვრის დადება ძალიან ცუდია.

***— როდესაც ნათლობის ჯვარი ეკარგება ადამიანს, როგორ მოიქცეს?***

— ამიტომ ვურჩევთ, რომ ნათლობის ჯვარი შეინახონ, როგორც ნათლობის კვართი. ადრე წესი იყო, რომ როდესაც ადამიანი გარდაიცვლებოდა, ნათლობის კვართში ახვევდნენ და ნათლობის ჯვარს უკეთებდნენ, ასე კრძალავდნენ. ვურჩევთ, ნათლობის ჯვარი შეინახონ და სხვა ჯვარი აკურთხებინონ მოძღვარს და ის ატარონ თან. თუ გაუფუჭდებათ, ისევ ახალი აკურთხებინონ. როდესაც ხმალი უტყდება ადამიანს, მეორეს იღებს, უხმლოდ ხომ არ რჩება. ჯვარს უნდა ვცეთ თაყვანი და პატივი, ჯვარი უნდა გავამშვენოთ. მშობლებს მინდა ვუთხრა, რომ შვილები ჯვრის გარეშე არ გაუშვან გარეთ. თანაც, როდესაც გარეთ გავლენ, ჯვარი დაასხონ დედამ და მამამ. ძალიან კარგია, როგორც ჩვენი უწმინდესი ბრძანებს, თუ დედისგან და მამისგან კურთხევას იღებენ და ხელზე ეამბორებიან და ამ დროს მშობელი შვილს ჯვარს გარდასახავს. ეს საუკეთესოა, მაგრამ სხვა დროა და მშობლებმა ის სიბრძნე მაინც უნდა გამოიჩინონ, რომ სახლიდან გასვლის წინ უფალს შევედრონ თავიანთი შვილები, რომ მშვიდობით დაუბრუნდნენ. მაგალითი მინდა გავიხსენო: მატარებლებს შორის ორი ბავშვი მოხვდა. ამ დროს მათ ხმა შემოესმათ, ორი ხმა იყო: ერთი ხმა ამბობდა, რატომ არ ჩააგდე ეს ბავშვი ბორბლებშიო. ხომ იცით ეს ვისი ხმა იყო (ეშმაკის), მეორე ხმამ უპასუხა: ჯვარი ეკეთა და როგორ ჩამეგდოო. ეს პასუხობს: შენსას ხომ არ ეკეთა და შენ რატომ არ ჩააგდეო, ვერ ჩავაგდე იმიტომ, სახლიდან რომ გამოდიოდა, დედამ ჯვარი გარდასახაო ზურგში და ვერაფერი ვქენიო. ვინც ამას წაიკითხავს, მან უნდა შეისისხლხორცოს რა ძალა აქვს ჯვარს.

***— საერო წევრს ჯვრის გარდასახვის უფლება აქვს, მაგალითად, სადილზე, ნებისმიერ ნივთზე?***

— რა თქმა უნდა, ეს აუცილებელია, სამი თითით უნდა მოხდეს გარდასახვა ჯვრის. ნათქვამია, ვინც ამას აკეთებს, ის სულიერ ოქროს და ბრილიანტს მიირთმევსო.

***— ჯვარცმის წინ ეკლესიაში მუხლი უნდა მოვიყაროთ?***

— როდესაც ადამიანი სინანულშია, უნდა მოიყაროს მუხლი, მაგრამ როდესაც არის აღდგომის დღესასწაული ან ბრწყინვალე შვიდეული, მაშინ მუხლის მოყრა არ შეიძლება. ასევე კვირა დღეს არ შეიძლება მუხლის მოყრა, რადგან კვირა ხომ მცირე აღდგომაა. აღდგომას მუხლს კი არ ვიყრით, არამედ ზევით ვდგებით. თუ სინანულში ვარდება, ცრემლს ღვრის, რა თქმა უნდა, კვირასაც შეიძლება დაჩოქება, მაგრამ კვირას არ იჩოქებიან, რადგან ის აღდგომის დღეა.

# საოცნებო როლი არა მაქვს

ეკა ირემაშვილი

**მსახიობი ბაჩო ქაჯაია ბედნიერია, რომ მაყურებელს უყვარს და ამას ყოველ ფეხის ნაბიჯზე გრძნობს. მას შემდეგ, რაც სერიალ „შუა ქალაქში" ქეთევან ლონტის „დედას ბუშტი" გახდა, მისმა პოპულარობამ პიკს მიაღწია.**

ბაჩო უკვე სამი წელია ახმეტელის თეატრის მსახიობია და მიაჩნია, რომ თეატრი განსაკუთრებული სამყაროა. მისთვის ტელევიზორი ჯადოსნური ყუთია, რომელსაც შეუძლია მომენტალურად გაგხადოს პოპულარული და თაყვანისმცემელთა მთელი არმია გაგიჩინოს.

მსახიობი არ მალავს, რომ თეატრი ძალიან უყვარს და ურჩევნია მაყურებელი თეატრიდან უფრო კარგად იცნობდეს, ვიდრე სერიალიდან. გასულ კვირას ბაჩო თეატრის მოყვარულ საზოგადოებას ახმეტელის თეატრში დადგმულ კომედიაში მთავარ როლში მოევლინა. „ტაქსისტი გივის სასიყვარულო თავგადასავალი" — ასე ჰქვია სპექტაკლს. ბაჩოს პერსონაჟი ტაქსისტი გივია, რომელსაც ორი ცოლი ჰყავს და ორი ბინა აქვს. იმისათვის, რომ მისი საიდუმლო არ გამჟღავნდეს, ბაჩოს გმირი ათასგვარ ხრიკებს იგონებს. ყოველი ახალი ტყუილი სიტუაციას კიდევ უფრო ამძაფრებს და კომიკურს ხდის.

უყვარს თუ არა ტყუილი, კარგად იცნობს თუ არა ტაქსისტებს და რა კრიტერიუმები აქვს საკუთარ პროფესიაში, ამ თემებზე ბაჩო ქაჯაია „ახალ თაობას" ესაუბრა.

**ბაჩო ქაჯაია:**

— სამი წელია, რაც ამ თეატრში ვმუშაობ. ეს სპექტაკლი ჩემთვის რიგით მეხუთეა, რომელიც ამ თეატრში ვითამაშე.

***— კომედიური ჟანრი თქვენთვის ახლოა?***

— ამ ჟანრში მიმუშავია, თუმცა ეს სპექტაკლი სულ სხვა რამ არის. საინტერესო იყო ამ სპექტაკლზე მუშაობა. მგონია, რომ რაღაც-რაღაცეები შედგა, მიუხედავად იმისა, რომ მეშინოდა, რა იქნებოდა ბოლოს.

***— რისი გეშინოდათ?***

— იმის, რომ სპექტაკლში ყველა პერსონაჟი საკმაოდ დატვირთულია. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, იმდენი გასვლა-გამოსვლაა, ვერ გაიგებ ვინ საიდან შედის, ვინ საიდან გამოდის. თავიდან რომ წავიკითხეთ პიესა, კარგა ხანს ვფიქრობდი, ნეტა აქ რა ხდებამეთქი. ძალიან ჩახლართული პიესაა, მაგრამ საინტერესო. ამ თეატრში ბატონმა სოსო ნემსაძემ დადგა „ეჭვის ჭია", რომელიც დაახლოებით ასევე ჩახლართული იყო. ამ სპექტაკლის წყალობით ჩახლართულ სპექტაკლზე მუშაობის გამოცდილება მქონდა, მაგრამ ტაქსისტი გივის როლზე სულ სხვაგვარად ვმუშაობდი რეჟისორთან, ბატონ მალხაზ ასლამაზიშვილთან ერთად. მართლა ძალიან საინტერესო და ამავე დროს საპასუხისმგებლო როლია. ამ სპექტაკლს ძალიან დიდი ენერგია მიაქვს.

— ტაქსისტებს კარგად იცნობთ?

— კი. მართალია, ახლა უკვე ხშირად მანქანით მიწევს სიარული, მაგრამ როცა დასალევად მივდივარ, მაშინ ვსარგებლობ ტაქსით. საქართველოში ტაქსისტების კულტურა არსებობს, საკმაოდ საინტერესო და მრავალფეროვანი. გაგვიგია ხშირად, სულ ტაქსისტი კი არ ვიყავი, ორი დიპლომი მაქვსო. მართლა ასეა, ძალიან ბევრს გაუჭირდა და დღეს საჭესთან ზის და ტაქსაობს. ყველა ამ ადამიანს მივესალმები. უქმად ჯდომას, ისევ ტაქსისტობა და შრომა სჯობს. არანაირი შრომა სათაკილო არ არის, პირიქით, ძალიან მიხარია, ტაქსის მძღოლის როლი რომ მომცეს.

***— თქვენი გმირი თუ არის ორდიპლომიანი?***

— ორცოლიანი და ორბინიანი რომ არის, ეს სპექტაკლშიც ჩანს. რაც შეეხება მის დიპლომებს, ტაქსისტი გივი ძალიან დიდი განათლებით არ გამოირჩევა, თუმცა რაღაც სიტუაციებიდან ისე კარგად ძვრება, ამასაც დიდი ნიჭი უნდა. ამიტომ მთლად გაუნათლებელი და უნიჭო ადამიანი არ უნდა იყოს. ამდენ ტყუილს მოფიქრება არ უნდა? ფარული ნიჭები აქვს მას, რომელიც თვითონაც კი არ იცის, უბრალოდ, რთულ სიტუაციაში ეს ყველაფერი გამოავლინა. საერთოდ ასეა, რთულ სიტუაციაში უფრო მობილიზებულები ვხდებით ადამიანები და რაღაც ნიჭებს აღმოვაჩენთ ხოლმე ჩვენს თავში. ჩემმა გივიმაც მოახერხა საკუთარი თავის დაძვრენა ათასგვარი ხერხით.

***— ამდენი ტყუილი ალბათ თქვენს ცხოვრებაშიც არ გითქვამთ, არა?***

— საერთოდ არ მიყვარს ტყუილი, მართლა ძალიან არ მიყვარს. როგორც ვიცი, ერთ ტყუილს საშუალოდ 33 ტყუილი მოყვება. ამიტომ ჯობს ის ერთი ტყუილიც არ ვთქვათ, შეიძლება დრო გავიდეს, მაგრამ ტყუილი მაინც გამოაშკარავდება. ამიტომ, მოდით, არ ვთქვათ ტყუილები.

***— არც კეთილი ტყუილი?***

— არსებობს გამოთქმა — კეთილი ტყუილიო, მაგრამ მე არც კეთილი ტყუილის მომხრე ვარ. მესმის, რომ სიკეთისთვის იტყუები, მაგრამ არ არსებობს, ტყუილი არ გამოვლინდეს, შეიძლება თვეები, წლები გავიდეს, მაგრამ მაინც გამოვლინდება. ამიტომ მაქსიმალურად ავარიდოთ თავი მას. ხომ გაგიგიათ, ზოგჯერ თქმა სჯობს არა თქმასა, ზოგჯერ თქმითაც დაშავდებისო. თან ისიც არ დაგვავიწყდეს, რომ ტყუილს მოკლე ფეხები აქვს.

***— თეატრი მართლაც საოცარი სამყაროა, მაგრამ პოპულარობის თვალსაზრისით, ის ტელევიზიას ვერ შეედრება. ეს ფაქტორი მოგწონთ?***

— ეს ჯადოსნური ეფექტი ნამდვილად აქვს ტელევიზიას, ის მასებზეა გათვლილი და მომენტალურად ხდები პოპულარული. პატარა თეატრებზეც რომ არ ვილაპარაკოთ, მარჯანიშვილისა და რუსთაველის თეატრის მსახიობებს, ის საზოგადოება, რომელიც არ დადის თეატრში, საერთოდ ვერ ცნობს. საკმარისია, ერთხელ გამოჩნდე ეკრანზე და უკვე ყველა გცნობს. სერიალი კი არა, რეკლამაც საკმარისია იმისთვის, რომ ცნობადი გახდე. სახლში ყველას აქვს ტელევიზორი, სამაგიეროდ, ყველა ვერ დადის თეატრში.

***— თქვენ დადიხართ თეატრში?***

— თეატრში ადამიანმა სისტემატურად უნდა იაროს. სამწუხაროდ, ვერ დავდივარ თეატრში. ხშირად ჩემი მეგობრების სპექტაკლებსაც ვერ ვესწრები, რის გამოც ცოტა მემდურებიან კიდეც. დრო არ მაქვს.

***— ყველა ხელოვანს ხომ უნდა პოპულარობა?***

— კი, პოპულარობა ნამდვილად კარგია, მაგრამ არც ერთმა ხელოვანმა მიზნად არ უნდა დაისახოს მარტო პოპულარობა. ხელოვანისთვის სულ სხვა მიზნები უნდა იყოს მნიშვნელოვანი. ჩემთვის პირადად, მსახიობობა გაცილებით სხვა მიზნებს ემსახურება, ვიდრე პოპულარობა. თუმცა ეს არ გამორიცხავს იმას, რომ არ მინდა პოპულარული ვიყო და მარტო ჩემი საქმე ვაკეთო. ეს ყველაფერი ურთიერთკავშირშია. რატომაც გიყვარს შენი საქმე და იცი, რომ ხალხისთვის აკეთებ ამ ყველაფერს, ასევე გინდა ხალხსაც უყვარდე და მათთვის ცნობილი იყო. ღმერთს მადლობა, რომ ორივე საქმეში გამიმართლა — ხალხსაც ვუყვარვარ და ხალხიც მიყვარს.

***— უკვე მიეჩვიეთ პოპულარობას?***

— პოპულარობა არ არის ადვილი. არის შემთხვევა, როცა გინდა, იყო შენთვის, გაქვს პირადი ცხოვრება და არ გინდა ყველამ ყველაფერი იცოდეს. არის მომენტი, როცა საქმეზე გეჩქარება, მაგრამ გაჩერებენ და უარს ვერ ეუბნები, თუნდაც ფოტოს გადაღებაზე, ავტოგრაფზე, ან საუბარზე, რომ თურმე ძალიან უყვარხარ მათ ბავშვს, ან მათ შვილიშვილს. ამ დროს არ გაქვს უფლება უკმეხად უპასუხო ადამიანს, მაგრამ შენც რომ გეჩქარება? ეს რომ უთხრა, ასეთ დროს შენ იქნები მტყუანი და არ იქნები მართალი. ეს მისთვის ცოტა მიუღებელი იქნება და ვერ გაიგებს. ამიტომ მაქსიმალურად ვცდილობ, ადამიანებს მოვუსმინო, გავესაუბრო და მათ არასოდეს მოვატყუო. ადამიანები თავიდან არასოდეს მომიშორებია. როცა საქმე მაქვს, წინასწარ ვუხდი ბოდიშს, მაგრამ ცოტა დროს მაინც ვუთმობ. თუ ოც ადამიანს უნდა ჩემთან ერთად ფოტოს გადაღება, შეიძლება ათთან გადავიღო და დანარჩენთან ვერა. ყველამ მაპატიოს.

***— ეს ყველაფერი დამღლელია?***

— ყველაფრის მიუხედავად, მაინც არ ვამბობ, რომ დამღლელია, იმიტომ, რომ შეიძლება მკითხველმა და მაყურებელმა ეს არასწორად გაიგოს. არ არის დამღლელი პოპულარობა, პირიქით, ძალიან სასიამოვნოა და ღმერთს მადლობა, რომ ამდენ მაყურებლებს ვუყვარვარ და სითბოს გამოხატავენ. დიდი მადლობა მათ ამისთვის.

***— როგორ მოგმართავენ, მაყურებლისთვის ბაჩო ხართ თუ ლაშიკო?***

— უმეტესობა ლაშიკოს მეძახის. უფრო ხშირად ლაშიკო ვარ, მაგრამ ბოლო პერიოდები ხალხს გარდა ლაშიკოსი, უკვე ლაშიკოს მიღმა ვინ არის მსახიობი, ეს უფრო აინტერესებს. ზოგი მეუბნება ჩემი მოგვარე ხარ, სადაური ქაჯაია ხარო. ნელ-ნელა ჩემი სახელი და გვარი ბაჩო ქაჯაია უფრო აქტუალური ხდება. იცის მაყურებელმა, რომ მარტო ლაშიკო კი არ ვარ, ბაჩო ვარ ქაჯაია. არის ხალხის კატეგორია, რომლისთვისაც მარტო ლაშა ვარ ტორონჯაძე და მორჩა. ბევრს უკვირს, რომ სხვა სახელი მქვია. ამ ბოლო დროს საზოგადოებაც გაერკვა, რაღაც-რაღაცეები მოხდა — ზოგმა თეატრში მნახა, ზოგმა გადაცემაში მიყურა, რომელიმე შოუში სტუმრად მნახა და მერე ხვდებიან, რომ მარტო ლაშა არ ვყოფილვარ და მქონია ჩემი პირადი ცხოვრებაც.



ბაჩო ქაჯაია ტაქსისტობით კმაყოფილია

***— იცით, რომ ბევრი სპეციალურად მოდის თეატრში იმისთვის, რომ სერიალის ლაშიკო თეატრის სცენაზე ნახონ?***

— ეს ძალიან კარგი და სასიამოვნოა. ამ ადამიანებს მადლობას განსაკუთრებულად ვუხდი.

***— თქვენს შვილებს უხარიათ, პოპულარული მამიკო რომ ჰყავთ?***

— ჩემი შვილები პატარები არიან — 3 და 2 წლისები. იმდენად მიჩვეულები არიან იმას, რომ მუდმივად ყურადღების ცენტრში ვარ, სხვაგვარად ალბათ ვერც წარმოუდგენიათ. მათ ჰგონიათ, რომ ყველას მამა ასეა — ყველას მამასთან იღებენ სურათებს და ართმევენ ავტოგრაფს. მათთვის გაუგებარია, როგორ შეიძლება სხვის მამასთან არ იღებდნენ ფოტოებს. როცა მათთან ერთად ვსეირნობ პარკში, სულ ვიღებ ფოტოებს და ამას შეჩვეულები არიან. ეს მათთვის ჩვეულებრივი ამბავია. ალბათ გაუკვირდებათ, სხვა მამებთან რომ არ იღებდნენ ფოტოებს.

***— „შუა ქალაქს" აყურებინებთ?***

— ჩემი შვილები ამ სერიალს უყურებენ. საღამოობით გვიან გადის. ჩვენ ვცდილობთ მათ გვიანობამდე არ ელვიძოთ. თუ შუადღის ძილი ცოტა დიდხანს გაუგრძელდებათ და გვიანობამდე არ იძინებენ, მაშინ უყურებენ და მერე წვებიან დასაძინებლად. ხანდახან ვატყუებთ ხოლმე — სერიალში იმხელა რეკლამებია, მორჩაო, ვეუბნებით და დასაძინებლად ვაწვენთ.

***— აბა, არ ვიტყუებიო?***

— აი, გამომიჭირეთ.

***— თეატრში დაგყავთ ბავშვები?***

— თეატრში სიარული თვითონაც მიჭირს, ამიტომ ბავშვებიც შესაბამისად ვერ დამყავს. ხშირად გულით და სულით მინდა მეგობრის სპექტაკლზე მივიდე და გვერდში დავუდგე როგორც მეგობარი და კოლეგა, მაგრამ ან მე მაქვს სპექტაკლი ზუსტად იმ დროს, ან გადაღებაა, ან რაღაც მსგავსი. ძალიან დიდი ხანია სპექტაკლზე არ ვყოფილვარ.

***— შეეგუეთ ასეთ გადატვირთულ ცხოვრების რიტმს?***

— აბა, რა ვქნა? მიყვარს, როდესაც ბევრი საქმე მაქვს. როგორც კი ერთი დღე გამოჩნდება, როცა არსად არ ვარ წასასვლელი, უკვე დისკომფორტი მაქვს.

***— თუ არის თემა, რომელზეც არ საუბრობთ?***

— ასეთი თემა არ მაქვს. რა უნდა მკითხონ ისეთი, რაზეც არ უნდა ვილაპარაკო? არის თემები, რომელზეც საჯაროდ არ უნდა ილაპარაკო, მაგრამ ამაზე არც არავინ მეკითხება. უკითხავთ რაღაც-რაღაცეები, რაც ისევ მათ ფამილიარობას უსვამს ხაზს. კითხვის შემდეგ მივმხვდარვარ, რა კატეგორიის ადამიანთან მქონია შეხება და ამაზე აღშფოთებაც აღარ ღირს.

***— თუ გემეგობრებიან იმის გამო, რომ პოპულარული ხართ?***

— არ მყავს ისეთი მეგობრები, რომლებიც ჩემი პოპულარობის გამო მემეგობრებიან. თუნდაც ეს ახლად შეძენილი მეგობრები იყვნენ. ბავშვობის მეგობრებზე ხომ საერთოდ არ ვლაპარაკობ. ქართველები სნობები კი ვართ, მაგრამ ძალიან ვიამაყებ იმით, თუკი ვინმე იტყვის, რომ მე მიცნობს, ერთად ვყოფილვართ ან ერთად დაგვილევია. ამით ძალიან გახარებული ვიქნები. ეს ჩემთვის დიდი ბედნიერებაა.

***— ჭორებს მიეჩვიეთ?***

— ჩემს თავზე ნაკლებად გამიგია ჭორები. არ მახსენდება. ბევრ ჩემს მეგობარზე გამიგია ისეთი ჭორი, რომელიც არანაირ სიმართლეს არ ჰგავს, არანაირ ლოგიკაში არ ჯდება.

***— თქვენზე არ ჭორაობენ თუ თქვენამდე არ მოდის?***

— არ ვიცი. ვითომ ჩემამდე არ მოდის? მე არ გამიგია და არც სხვას არ უთქვამს.

***— მეუღლეს პრემიერებს ასწრებთ?***

— არ მაქვს ამაზე გართულება. მოვიდა ჩემი მეუღლე და სპექტაკლს დაესწრო. ამის კომპლექსი არ მაქვს.

***— შენიშვნებს იმსახურებთ?***

— ალბათ კი. არ არსებობს იდეალურად კარგი ადამიანი. შენიშვნებს ვისმენ არა მარტო მეუღლისგან, არამედ ოჯახის სხვა წევრებისგან, მეგობრებისგან. დაახლოებით ვხვდები, ვინ რა შენიშვნა შეიძლება მომცეს და ვინ რაში იქნება კომპეტენტური. მერე უკვე ჩემი გადასაწყვეტია, გავითვალისწინო თუ არა.

***— კრიტიკა თქვენთვის მისაღებია?***

— სამწუხაროდ, ჩვენთან ჯანსაღი კრიტიკა არ არის. თუ არის კრიტიკა, ეს რაღაცისთვის კეთდება. ჯანსაღი კრიტიკა კარგა ხანია არ მომისმენია, თუ არ ჩავთვლით მეგობრებს, რომლებიც გულწრფელად გეტყვიან ყველაფერს, უცხო ადამიანს რომ ეთქვას ჯანსაღი კრიტიკა, ასეთი რამ არ მახსენდება.

***— მსახიობებს მაყურებლები იარლიყს მიაკრავენ ხოლმე — ზოგი ტრაგიკული მსახიობია, ზოგიც კომიკური. თქვენ?***

— ახმეტელის თეატრში ვთამაშობ ტრაგიკულ როლს სპექტაკლში „მოთმინება და იმედი", რომელიც ბატონმა სოსო ნემსაძემ დადგმა მიხეილ ჯავახიშვილის „უბედურების" მიხედვით. საკმაოდ დრამატული სპექტაკლია და ტრაგიკული როლი მაქვს. სახელწოდება „უბედურება" ყველაფერზე მეტყველებს. მანამდე ამ თეატრში საკურსო და სადიპლომო სპექტაკლები ვითამაშე, რომლებიც არ იყო კომიკური. არ მინდა თავის ქებად ჩამეთვალოს, მაგრამ უფრო დრამატული პერსონაჟების თამაში მიყვარს, რადგან ეს ორმაგად მზრდის როგორც მსახიობს, ამით პრაქტიკა და გამოცდილება უფრო მემატება. მადლობა ღმერთს, რომ ამის საშუალება მომცა. ახლაც ვთამაშობთ ამ სპექტაკლს და მომწონს ძალიან.

***— საოცნებო როლი გაქვთ?***

— საოცნებო როლი არ მაქვს. ყველა როლი, რაც მითამაშია, მომწონს.

***— მამაკაცების უმეტესობა ჰამლეტსა და რომეოს როლებზე ოცნებობს.***

— მე ასე არ ვარ. მთავარია დავიხარჯო მოცემულ პიესაში, როლთან მიმართებაში, მუშაობის პერიოდში, რომ ჩემი თავის რეალიზება მოვახდინო. ჰამლეტი იქნება თუ სხვა გმირი, ჩემთვის მნიშვნელობა არ აქვს. ამ კითხვას ხშირად მისვამენ ხოლმე და იუმორით მინდა ხოლმე ვუპასუხო — საოცნებო როლი? ბაუნტის რეკლამაში ვითამაშებდი დიდი სიამოვნებით, იმიტომ, რომ ძალიან კარგ ადგილას იღებენ — ოკეანე, ქოქოსი, ოკეანეზე დაკიდებული საქანელა. აი, ჩემი საოცნებო როლი!

***— ქართველი მსახიობი ქალები ამბობენ, რომ არ გაიხდიან, მამაკაცები კი არასოდეს შეასრულებენ ცისფერის როლს. თქვენ თუ გაქვთ ეს მოთხოვნა?***

— ამ სპექტაკლში ტყუილთან დაკავშირებით ჩემი პერსონაჟი იბრალებს ცისფერობას, იმისთვის, რომ უფრო დიდი ტყუილი დამალოს. ამაზე ვფიქრობდი, როგორ შეიძლება გაკეთებულიყო, იმიტომ, რომ ძალიან ხშირად ქართულ სცენაზე გვინახავს ამაზე აქცენტი გაკეთებული. არ მინდოდა განვმეორებულიყავი და ჩვენი ცისფერობის თემა შაბლონი ყოფილიყო. არ ვიცი შევძელი თუ არა, მაგრამ გავამართლე ტაქსისტი გივი, თუ რატომ შეიძლებოდა მას ცისფერობა დაებრალებინა. იმ წუთას, როცა გივი ამას იბრალებს, ეს ჩემს თავში გამართლებული მაქვს. ოღონდ გადარჩეს და ჯანდაბას... შედეგი რამდენად ჩანს, არ ვიცი. არ მაქვს პრობლემა, რომ არ ვითამაშებ ცისფერს. მთავარია, იყოს გემოვნებიანად გაკეთებული, მაყურებელს არ გაუჩნდეს პერსონაჟის ან იმ მსახიობის მიმართ ზიზღი, ან უარყოფითი ემოცია არ წამოვიდეს შესრულების დროს. არ მინდა იყოს უხამსობა და ცუდად გაკეთებული. კი, შეიძლება უკვე უხამსობაა ცისფერობა, ეს ჩემი აზრია, არ მიწყინონ ცისფერებმა. რომც მიწყინონ, არა უშავს, მაგრამ მთავარია ფორმა, როგორ გადმოსცემ, მაყურებლისთვის ეს არ უნდა იყოს გამაღიზიანებელი.

***— მაყურებლის გაცინება ბევრად რთულია, ვიდრე ატირებაო, მართლა ასეა?***

— ალბათ ასეა. თუ იქიდან გამოვალთ, რომ ყველა ადამიანში უფრო მეტად დევს ტრაგიზმი, მით უმეტეს, ქართველები მეტად ვართ ტრაგიზმის მატარებლები, ადვილად შეგვიძლია აგვეტიროს. ამის გათვალისწინებით, ალბათ მართალია — უფრო რთულია აცინო მაყურუბელი და თანაც გულწრფელად.

***— თქვენ როდის იცინეთ გულწრფელად, გახსოვთ?***

— სხვათა შორის, სპექტაკლის დროსაც კარგად ვიცინე სცენაზე. ჩემს მეგობრებს, ვისთან ერთადაც ვთამაშობ, აქვთ იმპროვიზაციის ნიჭი. ვერ მოვითმინე და სცენაზევე ვიცინე გელწრფელად და გულიანად. აი, ასეთ დღეში ჩააგდეს ტაქსისტი გივი. ყველაფერი კი, პირველ რიგში, მისი ბრალია.

# ბრუკ შილდსი — სექსს მოწყურებული და ნორმალურ ოჯახს მონატრებული ქალიშვილი

ბრუკ კრისტა კამილა შილდსი — ამერიკელი კინომსახიობი და სუპერმოდელი 1965 წლის 31 მაისს დაიბადა ნიუ იორკში. რა არის არანორმალური ოჯახი, შილდსმა ბავშვობიდანვე იცოდა. გოგონა ქვეყანას მაშინ მოევლინა, როდესაც დედამისი 30 წელს იყო გადაცილებული და მისი მშობლები მალე დაშორდნენ ერთმანეთს.

ამის შემდეგ შილდსის აღზრდა მთლიანად დედამისმა აიღო საკუთარ თავზე. ტერი შილდსმა მაშინვე გადაწყვიტა:

— ჩემი შვილი აუცილებლად უნდა გახდეს ვარსკვლავი. ამას გავაკეთებ, რადაც არ უნდა დამიჯდეს.

## კინოკარიერის დასაწყისი

დედის ამბიციები იმდენად მაღალი იყო, რომ ბრუკი ჯერ კიდევ 11 თვის ასაკში გამოჩნდა ტელეეკრანზე. უმცროსი შილდსი საბავშვო კოსმეტიკას უკეთებდა რეკლამას. მას შემდეგ პატარა და საყვარელი ბავშვი რეგულარულად ჩნდებოდა ცისფერ ეკრანზე, ხან საბავშვო ტანსაცმლის რეკლამაში, ხანაც კბილის ჯაგრისისა თუ შამპუნის...

ბრუკი სრულად ამართლებდა დედის სურვილს, ყოველ შემთხვევაში, ფინანსური კუთხით მაინც — ჯერ კიდევ თვეების გოგონას ძალიან მაღალი შემოსავალი ჰქონდა.

ასევე ადრეულ ასაკში დაიწყო ბრუკ შილდსის კინოკარიერაც. 60-იანი წლების ბოლოს გოგონამ ფილმებში მოსინჯა ბედი. მისი კინოდებიუტი შედგა სერიალში „სპილოს ძვალი", რომელიც რეჟისორმა ფრანჩესკო სკავულომ გადაიღო. მაშინვე არასრულწლოვანი გოგონას მეურვეობა თავის თავზე აიღი აგენტმა ეილინ ფორდმა, რომელმაც შემდეგ შილდსი თავის ავტობიოგრაფიულ წიგნშიც მოიხსენია.

1976 წელს ნორჩი მსახიობი გამოჩნდა ფილმებში „ელისი, საყვარელი ელისი" და „მაპეტ-შოუ", ხოლო 1978 წელს — „მეფე ბოშაში".

ფილმებსა და სარეკლამო რგოლებში გადაღებას, ასევე საკმაოდ ცნობილი ჟურნალებისთვის პოზიორობას ძალიან დიდი დრო მიჰქონდა და შილდსს მცირე დროც კი არ რჩებოდა სასწავლებლად. რაც შეეხება ნათესავებთან ურთიერთობას, ამისთვის გოგონას მხოლოდ დედასთან რეგლამენტირებული დრო ჰქონდა გამოყოფილი. დედამისი კი ამ დროს უკვე ალკოჰოლს ჰყავდა ჩათრეული და ბრუკს ხშირად სცემდა, დასცინოდა მისი შესახედაობის, ზედმეტის წონისა და კანზე მცირე დეფექტების გამო. თუმცა, სწორედ მისი ცუდი საქციელის გამო ეშინოდა, ბავშვზე კონტროლი არ დაეკარგა და მისი ყოველი ნაბიჯი ზეპირად იცოდა, დასდევდა შვილს, მის მეგობრებს, აწარმოებდა მის საქმეებს. ყველაფერთან ერთად, რეტი შილდსმა დააზღვია მისი ქალიშვილობა და, მიუხედავად „რასპუტინების" მთელი რიგი თაყვანისცემლებისა, გაიძახოდა, რომ მის შვილს მამაკაცებთან არანაირი ურთიერთობა არ ჰქონდა, ან კი ვის ექნებოდა, როდესაც შილდსი დედის გარეშე თითქმის არ რჩებოდა და ნებისმიერ მის თაყვანისმცემელს უხეშად ელაპარაკებოდა.

დედა თვლიდა, რომ სარეკლამო რგოლებში გადაღება საკმაოდ სარფიანი შემოსავალი იყო, მაგრამ ეს არ ნიშნავდა აღიარებას და ამიტომ საჭირო იყო წინსვლა, ამასთან, რაც შეიძლება სწრაფად, რადგან გოგონას დრო არ უნდა დაეკარგა. უფროსი შილდსისთვის უმთავრესი მიზანი იყო, მისი გოგო კინოვარსკვლავი გამხდარიყო.

როდესაც ბრუკს 12 წელი შეუსრულდა, ის გადაიღეს პირველ სრულმეტრაჟიან ფილმში „მშვენიერი ბავშვები", სადაც საკმაოდ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა — მცირეწლოვანი მეძავი. მიუხედავად იმისა, რომ დედამისი წინააღმდეგი იყო მისი მამაკაცებთან ურთიერთობისა, ფილმებში ასეთი როლების თამაშს არათუ უშლიდა, არამედ თავად უკონტროლებდა. ასე იყო ამ ფილმშიც, როდესაც ნიუ ორლეანის საროსკიპოში გაზრდილი გოგონა ადრეული ასაკიდან ეჩვევა ჰორიზონტალურ მდგომარეობაში ცხოვრებას.

ფილმში მთავარ როლებს სიუზან სარანდონი და კიტ კერადაინი ასრულებენ, რამაც გარკვეული მხარდაჭერა მისცა გოგონას ამ რთული როლის შესასრულებლად.

მიზანმიმართულ დედას ერთი წუთითაც არ ადარდებდა, რომ მისი ერთადერთი გოგონა ფართო აუდიტორიის წინაშე, როგორც მეძავი, ისე ჩანდა, პირიქით, ის თვლიდა, რომ მსგავსი სამუშაო მას სახელს მოუტანდა. ასეც მოხდა — იმ პერიოდში ბრუკ შილდსი ამერიკის სექსსიმბოლო გახდა.

ერთია, გოგონას ასე ადრეულ დატვირთვას შესაძლოა ცუდად ემოქმედა მის ფსიქიკაზე. სწორედ ამიტომ იყვნენ წინააღმდეგი მამამისი, ფრენკ შილდსი და ოჯახის ექიმი-ფსიქიატრი, რომ ბრუკს ამ ფილმში მონაწილეობა არ მიეღო. თუმცა, ბედნიერი იყო დედა, რომელმაც თავისი გაიტანა და გოგონა კინოვარსკვლავი გახადა.

ამ ფილმში თამაშმა მართლაც იმოქმედა გოგონას ფსიქიკაზე და ამის შემდეგ რჩევების საკითხავად ექიმთან ხშირი კონსულტაციები ჰქონდა.

## კინოკარიერის გაძლიერება

შილდსის კინოკარიერა თანდათან მიიწევდა მწვერვალისკენ. 1980 წელს გადაღებული ფილმი „ცისფერი ლაგუნა" მოზარდებში უდიდესი პოპულარობით სარგებლობდა. შესაძლოა, ამ ფილმის პოპულარობა იმით იყო გამოწვეული, რომ ძალიან ახალგაზრდა წყვილს ლამაზი და მგრძნობიარე სიყვარული გააჩნია. თუმცა, მეორე მხრივ, მის აღიარებად ისიც უნდა ჩაითვალოს, რომ ნომინირებული იყო „ოსკარისა" და „ოქროს გლობუსის" პრემიებზე.

ერთი წლის შემდეგ შილდსი გადაიღეს ფრანკო ძეფირელის ფილმში „დაუსრულებელი სიყვარული" და მსახიობიც უმალვე გახდა 80-იანი წლების სახე. მისი სურათები გამოკრული იყო ყველა პრესტიჟული გამომცემლობის გარეკანზე. ამავე ფილმში დებიუტი ჰქონდა ტომ კრუზს, ხოლო ფილმის გმირების სიყვარული რომეოსა და ჯულიეტას სიყვარულს წააგავდა — ერთმანეთს მტრად მოკიდებული მშობლები წყვილის ურთიერთობის წინააღმდეგი არიან.

თავდაპირველად მსახიობი მაყურებელში სიმპათიას თავისი მონაცემებით, ფოტოგენურობითა და კარგი თამაშით იწვევდა, მაგრამ მალე



უფრო პოპულარული გახდა. შილდსი 1983 წელს გადაიღეს ფილმში „საჰარა", ხოლო ერთი წლის შემდეგ — „მაპეტიმ დაიპყრო მანჰეტენი". ამ ფილმებში შილდსს ძალზე მნიშვნელოვანი როლები არ უთამაშია, მაგრამ მაყურებელმა დიდხანს დაიმახსოვრა.

ამის შემდეგ შილდსმა კინოს მცირე ხნით თავი მიანება, რადგან საჭირო იყო, ჯანმრთელობისთვის მიეხედა. ჯერ კიდევ ქალიშვილ გოგონას მსგავსი როლები კარგს არაფერს უქადდა.

80-იანი წლების ბოლოს შილდსმა ორიოდე როლი ითამაშა და კარიერის ახალი ეტაპისთვის მოემზადა.

## 90-იანი წლები

კარიერა არცთუ სწრაფად, მაგრამ მაინც მიიწევდა წინ. 90-იანი წლების დასაწყისში შილდსმა 3 სრულმეტრაჟიან ფილმში ითამაშა და შემდეგ ისევ სერიალებზე გადაერთო.

შილდსი სერიალში „კანონი და წესრიგი" ეპატ მერკერსონთან, სემ უოტერსტონთან და ჯერი ოპრაკთან ერთად გადაიღეს. პარალელურად შილდსი კომედიურ სერიალ „ხელშეუხებელ სიუზენშიც" ჩნდებოდა. თითქოს ეს ფილმი მასზე იყო გადაღებული — სიუზენი (ფილმის გმირი) საკუთარი ქორწილიდან გარბის, ისევე, როგორც შილდსი გაურბოდა მამაკაცებს.

ამის შემდეგ მსახიობი გამოჩნდა ფილმებში „70-იანი წლების შოუ", „თითქმის იდეალური ძარცვა" და „მეძავები", ხოლო 1998 წელს გაიღეს კომედიურ მელოდრამაში „მარგარიტას უბედურება", სადაც უკვე მეორეხარისხოვანი როლი ითამაშა.

მისი პროფესიული ზრდაც არ წყდებოდა და შილდსს უკვე ხშირად იწვევდნენ მაღალბიუჯეტიან ჰოლივუდურ ფილმებში, ამასთან, მთავარ როლებზე. ერთ-ერთი ასეთი ფილმი იყო „მარტოხელა", რომელიც რეჟისორმა გარი სინიორმა 1999 წელს გადაიღო და შილდსს პარტნიორობას კრის ოდონელი უწევს.

თითქმის მაშინვე კინოეკრანებზე გამოჩნდა ჯეიმს ტობაკას ფილმი „შავი და თეთრი". რეჟისორი ძალიან დიდხანს ეძებდა მთავარი გმირის ცოლის შემსრულებელს, ხოლო როდესაც აგენტმა ბრუკ შილდსი შესთავაზა, აღფრთოვანებული დარჩა:

— პირველი ნახვისთანავე მოვიხიბლე შილდსის იუმორითა და შინაგანი წესრიგით. გადასაღებ მოედანზე შილდსი ხშირად მიმართავდა იმპროვიზაციას, რის შედეგად რთული, მაგრამ ორიგინალური პერსონაჟი შექმნა. ეს მართლაც შესანიშნავი იყო, — განაცხადა ტობაკამ ფილმის დასრულების შემდეგ.

## 2000-იანი წლები

წლების მატებასთან ერთად, შილდსის საშემსრულებლო მანერა უფრო რბილი და მხედველობითი გახდა. ეს განსაკუთრებით კარგად გამოჩნდა 2000 წელს გადაღებულ კომედიურ ფილმში „სექსის შემდეგ". ამას მოჰყვა ფილმები „როგორ იქმნება ოჯახი" (2001), „ქვრივები" (2002), „მასთან ერთად" (2003) და „სხეულის ნაწილი" (2003). მართალია, ამ ფილმებში შილდსს მთავარი როლები არ უთამაშია, მაგრამ მაყურებლის თვალში მეტი სიმპათია მოიპოვა.

6 წლის განმავლობაში (2003-09) შილდსს არ ავიწყდებოდა მისთვის საყვარელ სერიალში „ორი ნახევარ ადამიანთან" ეთამაშა, სადაც პარტნიორობას უწევდნენ ჩარლი შინი და ჯონ კრაიერი. ამ ფილმში მაყურებლის სიმპათიას არა მარტო სერიალის იუმორი იწვევდა, არამედ სწორედ ცნობილი მსახიობები.

2004-07 წლებში შილდსი პარალელურად კიდევ ერთ სერიალ „ალყაში" თამაშობდა, თუმცა არც სრულმეტრაჟიან ფილმებში გადაღებას „ერიდებოდა" და 2004 წელს გამოჩნდა ფილმებში „ქმარი განვადებით" და „შავი ვარდის ნიშანი".

ამ ყველაფერს კი არცთუ იღბლიანი მუშაობა მოჰყვა როჯერ კრისტიანსენის მუსიკალურ-კომედიურ სერიალში „ჰანა მონტანა" (2006-09). ამ სერიალში შილდსი კრიტიკოსებმაც ცუდად შეაფასეს და ვერც მაყურებელი მოიხიბლა მისით.

სამაგიეროდ, რიუჰე კიტამურას მიერ გადაღებულმა საშინელებათა ჟანრის ფილმმა „შუაღამის ექსპრესმა" მაყურებელი ააღელვა. ფილმში შილდსს პარტნიორობას მანამდე ცნობილი ინგლისელი ფეხ-



ბურთელი ვინი ჯონსი უწევდა.

ამის შემდეგ შილდსი ეკრანებზე ხმაურიანად არ გამოჩენილა, თუმცა, როგორც თავად თვლის, მისი კარიერა ჯერ არ დამთავრებულა, რადგან საამისოდ ძალიან ახალგაზრდაა.

## პირადი ცხოვრება

შილდსისთვის თავისუფალი ცხოვრება მაშინ დაიწყო, როდესაც პრისტონის უნივერსიტეტში ჩააბარა.

— სწორედ იქ დავიწყე ფიქრი, — იხსენებდა შემდეგში მსახიობი.

ფიქრსა და აზროვნებაში შილდსი მამაკაცებთან ურთიერთობასაც თვლიდა. სექსს მოწყურებულმა გოგონამ თავისი ქალიშვილო-



ბის დაზღვევის საკითხი თავადვე გადაჭრა. თავისუფლებას მიუჩვეველმა და დედის მეურვეობას მოშორებულმა ბრუკმა თავი დაკარგა. შილდსის სასიყვარულო რომანები განიხილებოდა ყველგან. თუმცა, მას ყოველთვის ისეთი პარტნიორები ჰყავდა, რომ ეს გასაკვირიც არ იყო — ჯორჯ მაიკლი, დოდი ალ ფაედი, მაიკლ ჯექსონი, ლაიამ ნისონი.

შილდსი არ ერიდებოდა ჟურნალისტებთან თავისი სასიყვარულო ისტორიების მოყოლას, მაგრამ თავად არ იცოდა, რა უნდოდა. უფრო სწორად, იცოდა — „ნორმალური ოჯახი". თუმცა, თუ მისი პარტნიორების სიას გადახედავთ, ნორმალური ოჯახი რომელიმე მათგანთან ცოტა ძნელი შესაქმნელი იყო.

როდესაც შილდსს ნორმალური პარტნიორი გამოუჩნდა, დედამისი სწორედ მაშინ გაცოფდა:

— ის შენი შესაფერისი არ არის, — უთხრა ტერიმ, როდესაც გაიგო მისი გოგონასა და ამერიკელი ჩოგბურთელის, ანდრე აგასის ურთიერთობის შესახებ.

— მე უკვე 30 წელს ვარ გადაცილებული და თავად გავარკვევ, ვინ გახდება ჩემი ქმარი! — უკან არ დაიხია ბრუკმა.

თუმცა, ქორწინება არ გამოდგა ისეთი ბედნიერი, როგორც შილდსი ფიქრობდა — აგასი ვერ აღმოჩნდა მისი ოცნების მამაკაცი. ისინი სხვადასხვაგვარად უყურებდნენ ცხოვრებას და მათი აზრები ერთმანეთს არ ემთხვეოდა.

თავად აგასი კი თვლიდა, რომ ბრუკი მაინც დედამისის აზრებზე იყო დამოკიდებული, რომელიც აქტიურად ყოფდა ცხვირს ოჯახის საქმეებში. ბოლოს და ბოლოს, წყვილი გაყრაზე შეთანხმდა.

ნორმალურ ოჯახზე რეალური ფიქრი შილდსს პროდიუსერმა კრის ჰენჩმა დაუბრუნა. სწორედ ის იყო ერთადერთი ადამიანი, რომელმაც შილდსს დაანახვა, რომ მისი მთავარი მიზანი ბედნიერი ცოლობა და დედობა ყოფილა. 2003 წელს წყვილს გოგონა შეეძინა. მაშინ ძალიან ბევრი იწერებოდა შილდსის მშობიარობის შემდგომ დეპრესიაზე. ბრუკი ხშირად აღნიშნავდა, რომ მშობიარობის შემდეგ, გარკვეული დროის მანძილზე თავის შვილს ვერ იტანდა. შილდსს მაშინაც ფსიქოთერაპევტის რჩევები დასჭირდა. თუმცა, მალე ყველაფერი თავის ადგილზე დადგა და წყვილს უკვე მეორე გოგონაც ჰყავს.

## საინტერესო ფაქტები

1975 წელს 10 წლის შილდსი დედამისის აქტიური ჩარევით „პლეიბოი პრესის" ეროტიკულ ფოტოსესიაში გადაიღეს. შემდეგში ბევრს ეცადა მსახიობი, ჟურნალიდან ფოტოები და ნეგატივები გამოესყიდა, საქმე სასამართლომდეც კი მივიდა, მაგრამ შილდსმა პროცესი წააგო.

1980 წლის დასაწყისში შილდსი გახდა ყველაზე ახალგაზრდა მოდელი, რომელიც „ვოგის" გარეკანზე გამოჩნდა.

იმავე წლის ბოლოს იგივე სტატუსი ჯინსის, „კევინ კლაინის" რეკლამირებაში ერგო.

1981 წელს ჟურნალმა „თაიმმა" განაცხადა, რომ შილდსის დღიური შემოსავალი 10.000 დოლარია.

**მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა**

# აურელიო დე ლაურენტისი: „მინდა, „ნაპოლიმ“ „ბარსელონასავით“ ითამაშოს“

2004 წელს „ნაპოლის“ 70 მილიონი ევრო ვალი დაუგროვდა და კლუბი ბანკროტად გამოცხადდა, გუნდი კი სერია ც-მდე დაქვეითდა. ამ დროს კლუბი ცნობილმა კინოპროდიუსერმა აურელიო დე ლაურენტისმა შეიძინა და „ნაპოლის“ აღორძინებაც დაიწყო. სადღეისოდ სამხრეთ იტალიელები სკუდეტოს მოსაპოვებლად იბრძვიან, მათი პრეზიდენტი კი ინტერვიუში ბევრ საჭირბოროტო საკითხზე ამახვილებს ფეხბურთის მოყვარულთა ყურადღებას.

— ***„ნაპოლის“ სადღეისო მდგომარეობას როგორ შეაფასებთ?***

— ვალტერ მაცარისთან 2-წლიანი კონტრაქტი გვაქვს გაფორმებული და, მიუხედავად იმისა, რომ ხელშეკრულების ამოწურვამდე კიდევ ერთი წელია დარჩენილი, ჩვენს მთავარ მწვრთნელს თანამშრომლობის გახანგრძლივებას შევთავაზებ. თუკი იგი ახალი 2-წლიან კონტრაქტზე ხელის მოწერას დამთანხმდა, ერთობლივად 48 თვე ვიმუშავებთ. სინიორ ვალტერის მოღვაწეობით კმაყოფილი რომ არ ვიყო, მასთან ერთობლივად საქმიანობის გაგრძელების სურვილი ნამდვილად არ აღმეძვრებოდა. ზემოთქმულიდან გამომდინარე, ძნელი მისახვედრი არაა, კლუბში შექმნილი ვითარების შეფასებისას ბევრი დადებითი მომენტი შემიძლია გამოვყო, მომდევნო წლებში კი კიდევ უფრო დიდ ამოცანებს უნდა შევეჭიდოთ. ჩემი ოცნებაა, „ნაპოლიმ“ „ბარსელონას“ სტილში ითამაშოს. როდესაც მეკითხებიან, ვუმიზნებთ თუ არა სკუდეტოს ან ჩემპიონთა ლიგის მოგებას, თავშეკავებულ პასუხს ვცემ. მთავარია, გუნდის თამაში ეტაპობრივად გავაუმჯობესოთ, დანარჩენს კი დრო გვიჩვენებს. კლუბების მეპატრონეთა აბსოლუტური უმრავლესობა მაქსიმალური შედეგის სწრაფად მიღებაზეა ორიენტირებული, მე კი ნეაპოლში მყარი კლუბის საფუძველი უნდა შევქმნა, რომელიც ათწლეულების განმავლობაში იქნება კონკურენტუნარიანი გუნდი როგორც საშინაო, ასევე საერთაშორისო არენაზე.

— ***როგორც საუბრიდან გატყობთ, ვალტერ მაცარიზე არჩევნის გაკეთებას არ ნანობთ.***

— „ნაპოლი“ მძიმე კრიზისში მყოფი ჩავიბარე. იმხანად გუნდი „ც“ დივიზიონში დააქვეითეს და ქალაქის ყველაზე ოპტიმისტ გულშემატკივრებსაც კი ნაკლებად სწამდათ ნათელი პერსპექტივისა. უძლიერესთა შორის მოსახვედრად მიმავალ გზაზე რამდენიმე სეზონი დაგვჭირდა. ცხადია, მესამე დივიზიონიდან უპირველესში პირდაპირ ვერ ავხტებოდით. როდესაც სერია „ბ“-ში აღვზევდით, „ნაპოლის“ მენეჯერს ვთხოვე, ვალტერ მაცარის დაკავშირებოდა და ჩვენთან გადმოსვლა შეეთავაზებინა. მოგვიანებით კიდევ ერთხელ მივმართეთ მაცარის და კვლავ უარი მივიღეთ. ვალტერმა გარკვეული პირობები წამოგვიყენა, რომელთა იმხანად დაკმაყოფილება არ შეგვეძლო. ერთი კი გავიფიქრე, რომ ეს კაცი ფეხბურთში ფულის გასაკეთებლად მუშაობს, მაგრამ მოგვიანებით დავრწმუნდი ჩემი ფიქრის მცდარობაში. მაცარი მაშინ სულითა და გულით იყო ჩართული „სამპდორიას“ საკეთილდღეოდ და გენუიდან აბარგება არ სურდა. 2007-09 წლებში „ნაპოლიში“ ედუარდო რეია მუშაობდა და საკუთარი მისია პირნათლად შეასრულა. მის შემდეგ „სკუადრა აძურას“ ექსდამრიგებელი რობერტო დონადონი მოვიწვიეთ და გულახდილად უნდა ვთქვა, არჩევანში შევცდით. რაც იყო, იყო — ამაზე საუბარი აღარ მინდა. კლუბში გარკვეული საორგანიზაციო ცვლილებები მოვახდინეთ, რაც მაცარის მოსვლის პერიოდს დაემთხვა. სპორტულ დირექტორთან ერთად სკაუტთა მთელი ქსელი შევქმენით, რომელიც თინეიჯერ ნიჭიერ მოთამაშეებს პლანეტის მასშტაბით აკვირდება. სინიორ ვალტერი კი თავის უშუალო მოვალეობას თავს მშვენივრად ართმევს, რასაც სატურნირო ცხრილში ჩახედვაც დაადასტურებს.

— ***ედინსონ კავანის შეძენისას თუ ფიქრობდით, ურუგვაელი ფორვარდი „ნაპოლის“ ასე რომ გამოადგებოდა?***

— ბედმა გამიღიმა, როცა 23 წლის კავანის მივაგენი. ადრე უკვე 25-26 წლის □გამზადებულ□ ფეხბურთელებს ვყიდულობდი. ისინი თავიანთი შესაძლებლობების ჩვენების პიკზე მეტ-ნაკლებად უკვე გასული იყვნენ, სამომავლოდ კი აქცენტს 18-20 წლის მოთამაშეების შეძენაზე გავაკეთებთ. აკი მოგახსენეთ, პერსპექტიულ ფეხბურთელთა აღმოსაჩენად სკაუტთა მძლავრი სამსახური რომ ჩამოვაყალიბეთ. მის წარმომადგენლებს მოთამაშეთა მხოლოდ ფიზიკურ-ტექნიკური მდგომარეობის ინსპექტირება არ დაევალათ. ჩვენმა მზვერავებმა ყოველმხრივ უნდა შეისწავლონ მოთამაშე. კონტრაქტის შეთავაზებამდე გასარკვევია მათი შინაგანი კულტურა, რამდენად შეეფერება მათი მენტალობა ნეაპოლურ ხასიათს, შეძლებენ თუ არა მწვრთნელსა და თანაგუნდელებთან ნაყოფიერ თანამშრომლობას.

— ***კლუბების ხელმძღვანელებს მიშელ პლატინისთან გქონდათ შეხვედრა. როგორი შთაბეჭდილებით გამოხვედით სასაუბრო ოთახიდან უეფას თავკაცთან აუდიენციის შემდეგ?***

— პლატინი ბრწყინვალე ადამიანია, მაგრამ ფეხბურთის განვითარების მისეული ხედვა კარგა ხანია ისტორიას ჩაბარდა. არცაა გასაკვირი — გაიხსენეთ, როდის გადიოდა იგი მინდორზე „იუვენტუსის“ მაისურით. ხომ ხედავთ, დღეს როგორი ვითარებაა. პრაქტიკულად, ნებისმიერი კლუბის მეპატრონე ჩივის, რომ თავის „ჩადებულ“ ფულს უკან ვერ იღებს. სპორტული ბაზარი არამყარი და ცვალებადია. ჩემი აზრით, საფეხბურთო სამყარო დაბერდა და არქაული მიდგომებით ცხოვრობს.



— ***თქვენეული ხედვით ევროთასები რა მიმართულებით უნდა განვითარდეს?***

— პლატინის აზრით, სამომავლოდ „დიდი ხუთეულის“ (იტალია, ესპანეთი, ინგლისი, გერმანია, საფრანგეთი) გაერთიანებული ჩემპიონატი უნდა ჩატარდეს, ამ ტურნირში კი ეროვნულ პირველობებზე I-VIII ადგილებზე გასული გუნდები დავუშვათ. გამოდის, 5 სახელმწიფოს 40 გუნდი ჩაებმება პლატინის მიერ მოფიქრებულ გათამაშებაში. ამასთან, უეფას პრეზიდენტის თვალსაზრისით, პრაქტიკულად, მთელი საპრიზო ფონდი საუკეთესო კლუბებზე უნდა გადანაწილდეს, დანარჩენებს კი მიზერული შემოსავლები დარჩებათ. თუკი საშუალო ევროპული გუნდები დათანხმდებიან ამ პირობას, მაშინ კომპენსაციის მიზნით თანხა თავიანთ ეროვნულ ფედერაციებს უნდა მოსთხოვონ. გადავიდეთ საშინაო საქმეებზეც. ჩემეული ხედვით, ჩემპიონატის კალენდარი თავად კლუბებმა უნდა შეიმუშავონ. იტალიაში პირველობის 1-ელ ოქტომბრამდე დაწყება ყოვლად გაუმართლებელია. ჩვენ ბევრს ვსაუბრობთ ცარიელ ტრიბუნებზე. აგვისტოში აქტიურ ადამიანთა დიდი ნაწილი ზღვაზე ისვენებს და რა გასაკვირია, სტადიონებზე გულშემატკივართა ნაკლებობა რომაა. საფეხბურთო მენეჯერებმაც კარგად უნდა ვიცოდეთ, როგორ და როდის გავყიდოთ ჩვენი პროდუქტი. სტადიონები და კალენდარი არ გვივარგა, მაშ, რატომ ვწუწუნებთ ფეხბურთისადმი ინტერესის დაკარგვაზე?

— ***მოდით, სატურნირო ცხრილში თქვენს უშუალო კონკურენტზე ვისაუბროთ. „ინტერში“ შექმნილ სიტუაციას როგორ შეაფასებთ?***

— „ნერაძური“ მძიმე მდგომარეობაშია. როგორ გგონიათ, ადვილია, ყველაფერი მოიგო და შემდეგ ტიტულების დაცვა ნულიდან დაიწყო? მოთამაშეებმა ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალა უნდა მოიკრიბონ, ახალ მწვრთნელს შეეჩვიონ.

— ***ლეონარდო კარგი დამრიგებელია?***

— ამ ბრაზილიელ სპეციალისტს ნაკლებად ვიცნობ. ერთი შეხედვით, ლეონარდო თავაზიანი და დამყოლი ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებს და, როგორც შევატყვე, მათრახისა და თაფლაკვერის მონაცვლეობაც ეხერხება.



# ხავიერ ძანეტის ნედვედთან თამაში არ უყვარდა

უკანასკნელი 15 წლის განმავლობაში „ინტერში“ სიტუაცია არაერთხელ შეიცვალა. იყო სერიოზული კრიზისი, რომლის დროსაც გაუთავებლად იცვლებოდნენ მწვრთნელები და ფეხბურთელები, მაგრამ, მასიმო მორატის მიერ დახარჯული მილიონების მიუხედავად, გუნდი მაინც ვერ ახერხებდა წარმატების მიღწევას; იყო აღმასვლა, რომლის დროსაც „ნერაძურიმ“ მესამედ მოახერხა ჩემპიონთა ლიგის მოგება. ამ ხნის განმავლობაში „ინტერის“ ფორმა ორასზე მეტმა ფეხბურთელმა მოირგო, მათ შორის იყვნენ მსოფლიო დონის ვარსკვლავებიც, მაგრამ, ვინმეს რომ ჰკითხოთ, ვინ არის ბოლოდროინდელი „ინტერის“ სიმბოლო, ყველა დაუფიქრებლად გიპასუხებთ — ხავიერ ძანეტი. 37 წლის არგენტინელმა, მილანური გრანდთან ერთად, ჩემპიონთა ლიგა, საკლუბო მუნდიალი და უეფას თასი მოიგო, 5-ჯერ გახდა იტალიის ჩემპიონი და 4-4-ჯერ თასსა და სუპერთასს დაეუფლა. ძანეტის „ინტერის“ ფორმით მოედანზე 45.033 წუთი აქვს გატარებული, რაც 750 საათს, ანუ 31 დღეს შეადგენს. შაბათს იგი კიდევ ერთი მიღწევის ავტორი გახდა — „ბოლონიის“ წინააღმდეგ ძანეტიმ „ნერაძურის“ შემადგენლობაში 519-ე საჩემპიონატო მატჩი ჩაატარა და ამ მაჩვენებლით კლუბის კიდევ ერთი ლეგენდის, ჯუზეპე ბერგომის რეკორდი გაიმეორა. ყველაფერი კი 1995 წლის 27 აგვისტოს „ინტერი“-„ვიჩენცას“ დაპირისპირებით დაიწყო.

— ***ამბობენ, ფეხბურთელს პირველი მატჩი არასდროს ავიწყდებაო. მართალა ასეა?***

— რა თქმა უნდა, „სან სიროზე“ „ვიჩენცას“ წინააღმდეგ ჩატარებული შეხვედრა მუდამ მემახსოვრება. ტრიბუნებზე 60.000 გულშემატკივარი იყო შეკრებილი და ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს ყველა მე მაკვირდებოდა.

— ***თქვენთვის ყველაზე დაუვიწყარი მატჩი...***

— თარიღი ზუსტად არ მახსოვს. 2007 წელი იყო, როცა სიენაში ჩატარებული მატჩით „სკუდეტო“ უშუალოდ მოედანზე ბრძოლით მოვიპოვე (ერთი წლით ადრე „ინტერს“ „იუვენტუსისთვის“ ჩამორთმეული ჩემპიონობა მიაკუთვნეს).

— ***რომელ შეხვედრას დაივიწყებდით?***

— რა თქმა უნდა, 2002 წლის 5 მაისს „ლაციოს“ წინააღმდეგ ჩატარებულ მატჩს, როცა ბოლო ტურში 2:4 დავმარცხდით და თითქმის მოპოვებული ჩემპიონობა „იუვენტუსს“ დავუთმეთ.

— ***კაპიტნის სამკლაურის მორგება ყველაზე მეტად როდის გაგიჭირდათ?***

— 2006 წელს ფლორენციაში. ჯაჩინტო ფაკეტი 20 დღის გარდაცვლილი იყო და მე მოვითხოვე, სამკლაურზე დაეწერათ: „შენ იყავი ისეთი, როგორიც უნდა იყოს ადამიანი. ძალიან დაგვაკლდები. მშვიდობით, ჯაჩინტო!“

— ***ყველაზე მეტად ფეხებში რომელ მატჩში მოგხვდათ?***

— ეს რამდენიმე წლის წინ „იუვენტუსთან“ შეხვედრისას იყო. მაშინ ტურინელებს ძალიან ხისტი გუნდი ჰყავდათ, თუმცა, მეტოქისთვის პასუხის გაცემას არც მე მოვრიდებივარ.

— ***დაასახელეთ თქვენი და საერთოდ „ინტერის“ ყველაზე ლამაზი გოლები...***

— ჩემი გოლებიდან 1996 წელს „ვერონასთან“ გასვლით შეხვედრაში გატანილს მივიჩნევ, როცა დრიბლინგით რამდენიმე მოწინააღმდეგეს გავცდი და მასპინძელთა კიპერს ახლო „ცხრიანში“ გავუტანე. „ინტერის“ გოლებიდან კი იური ჯორკაეფის „მაკრატელას“ გამოვარჩევ — „რომას“ მან რაღაც არაამქვეყნიური გოლი გაუტანა.

— ***ყველაზე მეტად როდის გინდოდათ სიცილი და ტირილი?***

— როცა ტარიბო ვესტმა „ინტერის“ მაშინდელ თავკაცს, მირჩა ლუჩესკუს მაისური ესროლა, სიცილი ძლივს შევიკავე, ტირილი კი ყველაზე მეტად „ლაციოსთან“ თამაშისას მინდოდა, როცა რონალდომ ტრავმა მიიღო. დადუმებული „ოლიმპიკო“ რომ მახსენდება, დღესაც შიშის გრძნობა მეუფლება.

— ***სტადიონი, რომელიც თქვენ გიპყრობთ...***

— „სან პაოლო“, თუმცა, დაპყრობა ცოტა გადამეტებული ნათქვამია. „ნაპოლის“ წინააღმდეგ ჩატარებული შეხვედრები მუდამ განსაკუთრებულია.

— ***რომელიმე ფეხბურთელზე გიფიქრიათ: „ჯანდაბა, დღეს მე მის წინააღმდეგ მომიწევს თამაში“?***

— კი, ასეთი პაველ ნედვედი იყო. ჩვენ არაერთხელ მოგვიწია ფლანგზე ერთმანეთის პირისპირ ბრძოლა. მის წინააღმდეგ თამაშისას ოდნავი მოდუნება არ შეიძლებოდა. იგი მუდამ კონცენტრირებული და მიზანმიმართული იყო.

— ***კარიერის განმავლობაში უამრავ ფეხბურთელთან ერთად გითამაშიათ. მათგან ყველაზე დამაჯერებლად თავს ვისთან გრძნობდით?***

— რონალდო და ბაჯო აშკარად გამორჩეულები იყვნენ. მათ მხარდამხარ თამაში უდიდეს ძალას მმატებდა.

— ***პარტნიორებიდან ყველაზე გიჟი რომელი იყო?***

— ამ ნომინაციაში ტარიბო ვესტი დიდი უპირატესობით ლიდერობს. მასთან დაკავშირებულ ორ შემთხვევას გავიხსენებ. ერთხელ მარჩელო ლიპი მას უყვირის: „ტარიბო, თავდამსხმელებს აქტიურად ეთამაშე“. მწვრთნელმა ვესტს იგივე მეორედაც გაუმეორა, მესამედაც და როცა აფრიკელმა მცველმა კვლავ არ შეასრულა მისი დავალება, ლიპიმ ვარჯიში შეწყვიტა და ტარიბოს ეკითხება — რატომ არ ასრულებ ჩემს დავალებას? ვესტი კი პასუხობს: იმიტომ, რომ უფალმა მითხრა, თავდამსხმელების წინააღმდეგ აქტიურად არ ითამაშოო. იყო ასეთი შემთხვევაც: ერთხელ მან მე და ივან სამორანო სახლში, რელიგიურ ცერემონიალზე დაგვპატიჟა, გვითხრა, ჯერ ვილოცებთ და შემდეგ ვივახშმებთო. ვესტთან სტუმრად საღამოს შვიდ საათზე მივედით. გახდა 8 საათი — ვლოცულობთ, 9 საათი — ვლოცულობთ, 10 საათი — ვლოცულობთ... საბოლოოდ ვახშმობა შუაღამისას მოგვიწია.

— ***თქვენთვის ყველაზე არასასიამოვნო პარტნიორი...***

— ჩირიაკო სფორცა, თუმცა, მთლად არასასიამოვნოც არ ყოფილა. უბრალოდ, იგი არასდროს იცინოდა. მე ის გაღიმებულიც კი არ მინახავს.

— ***რომელ თანაგუნდელს ვერ შეეწყვეთ?***

— ბალოტას. ნებისმიერ საკითხზე ჩვენ მუდამ დიამეტრალურად განსხვავებული პოზიცია გვქონდა.

— ***მწვრთნელებიდან?***

— ჩემსა და ტარდელის შორის მხოლოდ საქმიანი ურთიერთობა იყო. სხვა არც ერთ მწვრთნელთან არ მქონია ასეთი ოფიციალური ურთიერთობა.

— ***არბიტრებიდან?***

— ბრასკი ერთადერთია, რომელმაც მოედნიდან გამაძევა. „პარმასთან“ სათასო მატჩისას მან წითელი ბარათი ბერგომისა და კოლონეზეს უჩვენა. მეც მივედი და ვუთხარი — ყოჩაღ, ოღონდ, უკვე საკმარისია. ამის თქმა იყო და ბერგომისა და კოლონეზეს მეც მიმაყოლა.

— ***თანაგუნდელებიდან ყველაზე მეტად ვინ გეხმარებოდათ?***

— როცა გუნდში ახალი მისული ვიყავი, ჯუზეპე ბერგომი და დანარჩენი პარტნიორებიც ყოველმხრივ გვერდში მედგნენ, მეხმარებოდნენ „ნერაძურის“ სამყაროს შესწავლასა და აქ ადგილის დამკვიდრებაში.

— ***„ინტერის“ დაკარგულ ტალანტად ვინ მიგაჩნიათ?***

— ალვარო რეკობა. მან თვითონაც არ იცოდა, რა ნიჭის პატრონი იყო. ცოტა მწვრთნელების ბრალი იყო, უმეტესწილად კი — თვითონ რეკობასი, რომ იგი უმაღლესი დონის ვარსკვლავი ვერ გახდა.

— ***ყველაზე კარგი ხუმრობა...***

— როცა აარონ ვინტერმა პოლ ინსს ძველი ბუცები დაუწვა. ინგლისელი ცოფებს ყრიდა, რამაც მთელი „ინტერი“ ძალიან გაახალისა.

— ***„ბოლონიის“ წინააღმდეგ „ინტერის“ ფორმით 519-ე საჩემპიონატო შეხვედრა ჩაატარეთ და კლუბის რეკორდსმენს, ჯუზეპე ბერგომის დაეწიეთ. როდის აპირებთ კარიერის დასრულებას? ეს იქნება მატჩი ნომერი?***

— არ ვიცი, ნამდვილად ვერ გეტყვით. ჯერჯერობით მხოლოდ ის ვიცი, რომ კარიერის ბოლო მატჩის ჩატარება „სან სიროზე“ მსურს. წარმომიდგენია მომენტი, როცა ჩემ თვალწინ ცხოვრების ოცმა წელმა უნდა გაირბინოს. რა თქმა უნდა, სჯობს, ეს მომენტი „სან სიროზე“ დადგეს.

**მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა**

# ევროპას საფრანგეთი დააკლდება

## ინგლისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 22.01 | ვულვზი-ლივერპული | 3.25 | 3.25 | 2.25 |
| 22.01 | არსენალი-უიგანი | 1.22 | 6.0 | 13.0 |
| 22.01 | ბლექპული-სანდერლ. | 2.5 | 3.3 | 2.75 |
| 22.01 | ევერტონი-ვესტ ჰემი | 1.5 | 4.2 | 6.0 |
| 22.01 | ფულემი-სტოკი | 2.15 | 3.2 | 3.6 |
| 22.01 | მანჩესტერი-ბირმინგემი | 1.22 | 6.0 | 13.0 |
| 22.01 | ნიუკასლი-ტოტენჰემი | 3.2 | 3.4 | 2.2 |
| 22.01 | ასტონ ვილა-სიტი | 3.5 | 3.4 | 2.1 |
| 23.01 | ბლექბ.-ვესტ ბრომვიჩი | 2.25 | 3.4 | 3.1 |
| 24.01 | ბოლტონი-ჩელსი | 5.5 | 4.0 | 1.6 |

### ვულვზი — ლივერპული

ვულვზი: ***ტრავმ***-ჯოდი გრადოკი, მაიკლ კიტლი; დისკვ-ჯორჯ ელოკობი

ლივერპული: ***ტრავმ***-ჯო კოული, ჯიმი კარაგერი; ***დისკვ***-სტივენ ჯერარდი

### არსენალი — უიგანი

არსენალი: ***ტრავმ***-სებასტიენ სკილაჩი, მანუელ ალმუნია, ტომას ვერმალენი, ემანუელ ფრიმპონგი

უიგანი: ***ტრავმ***-ტომ კლევერლი, ვიქტორ მოიესი, ჯეიმს მაკარტნი

### ბლექპული — სანდერლენდი

ბლექპული: ***ტრავმ***-მეტ გილკსი, მარლონ ჰარევუდი, კრის ბეშამი, ბილი კლარკი

სანდელენდი: ***ტრავმ***-დანი ველბეკი, დევის მეილერი, ლი კატერმოლი, ჯონ მენსა, მაიკლ ტერნერი, ფრეიზერ კემბელი

### ევერტონი — ვესტ ჰემი

ევერტონი: ***ტრავმ***-ლუი საა, როს ბარკლი

ვესტ ჰემი: ***ტრავმ***-ჰერიტა ილუნგა, ბენი მაკარტნი, ლარს იაკობსენი, მანუელ და კოსტა, პეტერ კურუჩი; ***დისკვ***-ვიქტორ ობინა

### ფულემი — სტოკი

ფულემი: ***ტრავმ***-ბობი ზამორა, ფილიპ სენდეროსი

სტოკი: ***ტრავმ***-მამადუსიდიბე, ეიდურ გუდიონსენი

### მანჩესტერი — ბირმინგემი

მანჩესტერი: ***ტრავმ***-ანტონიო ვალენსია; ***დისკვ***-რაფაელი

ბირმინგემი: ***ტრავმ***-სკოტ დანი, ჯეიმს მაკფადენი

### ნიუკასლი — ტოტენჰემი

ნიუკასლი: ***ტრავმ***-ალან სმიტი, რაიან ტეილორი, ენდრიუ კეროლი, ჰატენ ბენ არფა; ***დისკვ***-ისმაილ ტიოტე

ტოტენჰემი: ***ტრავმ***-ლედლი კინგი, ჯიმი ოჰარა, ჯონათან ვუდგეიტი

### ასტონ ვილა — სიტი

ასტონ ვილა: ***ტრავმ***-სტივენ აირლენდი, ნდრიუ ვაიმანი; დისკვ-ემილ ჰესკი

სიტი: ***ტრავმ***-მიკა რიჩარდსი, მარიო ბალოტელი

### ბლექბერნი — ვესტ ბრომვიჩი

ბლექბერნი: ***ტრავმ***-სტივენ ნძოძი (?), კეიტ ენდრიუსი (?), ვინსე გრელა (?), ფილ ჯოუნსი

ვესტ ბრომვიჩი: ***ტრავმ***-პაბლო იბანიესი, ისმაილ მილერი

### ბოლტონი — ჩელსი

ბოლტონი: ***ტრავმ***-ივან კლასნიჩი (?), ლოიდ სამუელი, შონ დევისი, ჯო ობრაიენი

ჩელსი: ***ტრავმ***-ფრენკ ლამპარდი, ალექსი, იური ჟირკოვი, იოსი ბენაიუნი

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.სიტი | 23 | 13 | 6 | 4 | 37:19 | 45 |
| 2.მანჩესტერი | 21 | 12 | 9 | 0 | 43:19 | 45 |
| 3.არსენალი | 22 | 13 | 4 | 5 | 45:22 | 43 |
| 4.ჩელსი | 22 | 11 | 5 | 6 | 38:19 | 38 |
| 5.ტოტენჰემი | 22 | 10 | 7 | 5 | 31:25 | 37 |
| 6.სანდერლენდი | 23 | 8 | 10 | 5 | 26:23 | 34 |
| 7.ბოლტონი | 23 | 7 | 9 | 7 | 34:31 | 30 |
| 8.სტოკი | 22 | 9 | 3 | 10 | 28:26 | 30 |
| 9.ნიუკასლი | 22 | 8 | 5 | 9 | 35:32 | 29 |
| 10.ბლექპული | 21 | 8 | 4 | 9 | 31:36 | 28 |
| 11.ბლექბერნი | 23 | 8 | 4 | 11 | 29:37 | 28 |
| 12.ევერტონი | 22 | 5 | 11 | 6 | 25:27 | 26 |
| 13.ლივერპული | 22 | 7 | 5 | 10 | 27:31 | 26 |
| 14.ვესტ ბრომ. | 22 | 7 | 4 | 11 | 29:41 | 25 |
| 15.ფულემი | 22 | 4 | 11 | 7 | 23:25 | 23 |
| 16.ბირმინგემი | 21 | 4 | 11 | 6 | 21:26 | 23 |
| 17.ასტონ ვილა | 22 | 5 | 7 | 10 | 24:39 | 22 |
| 18.უიგანი | 22 | 4 | 10 | 8 | 19:34 | 22 |
| 19.ვულვზი | 22 | 6 | 3 | 13 | 24:38 | 21 |
| 20.ვესტ ჰემი | 23 | 4 | 8 | 11 | 22:41 | 20 |




## იტალია

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 22.01 | პალერმო-ბრეშა | 1.44 | 4.2 | 7.5 |
| 22.01 | პარმა-კატანია | 1.9 | 3.15 | 4.5 |
| 22.01 | რომა-კალიარი | 1.53 | 3.75 | 7.0 |
| 23.01 | უდინეზე-ინტერი | 3.2 | 3.4 | 2.2 |
| 23.01 | კიევო-ჯენოა | 2.5 | 3.1 | 2.9 |
| 23.01 | ბარი-ნაპოლი | 4.0 | 3.2 | 2.0 |
| 23.01 | ბოლონია-ლაციო | 2.9 | 3.1 | 2.5 |
| 23.01 | ფიორენტინა-ლეჩე | 1.5 | 3.75 | 7.5 |
| 23.01 | სამპდორია-იუვენტუსი | 2.75 | 3.1 | 2.62 |
| 23.01 | მილანი-ჩეზენა | 1.25 | 5.25 | 13.0 |

### პალერმო — ბრეშა

პალერმო: ***ტრავმ***-სანტიაგო გარსია, დორინ გოიანი, მაურისიო პინილია, აბელ ერნანდესი

ბრეშა: ***ტრავმ***-კიტადინ ედერი, მატეო სერენი (?); ***დისკვ***-ფრანჩესკო ბეგა, ალესანდრო დიამანტი

### პარმა — კატანია

პარმა: ***ტრავმ***-მარკო პისანო; დისკვ-მასიმო პაჩი

კატანია: ***ტრავმ***-კრისტიან ლამა, მარიანო იზკო, ალესანდრო პოტენცა, კრისტიან ტერლიცი

### რომა — კალიარი

რომა: ***ტრავმ***-ადრიანო, დავიდ პიზარო; ***დისკვ***-ნიკოლა ბურდისო

კალიარი: ***ტრავმ***-ანდრეა ლაძარი (?), ფედერიკო მარჩეტი

### უდინეზე — ინტერი

უდინეზე: ***ტრავმ***-გაბრიელ ანგელა, დუშან ბასტა, დამიანო ფერონეტი

ინტერი: ***ტრავმ***-დიეგო მილიტო, ჟულიო სეზარი, უესლი სნეიდერი, ფილიპ კოუტინიო, ვალტერ სამუელი

### კიევო — ჯენოა

კიევო: ***ტრავმ***-ლუჩიანო

ჯენოა: ***ტრავმ***-დარიო დაინელი (?), ალბერტო პალოსკი, ლუკა ანტონელი

### ბარი — ნაპოლი

ბარი: ***ტრავმ***-არავინ

ნაპოლი: ***ტრავმ***-ლუიჯი ვიტალე, ჯანლუკა გრავა

### ბოლონია — ლაციო

ბოლონია: ***ტრავმ***-არავინ

ლაციო: ***ტრავმ***-ჯუზეპე სკული, ტომაზო როკი, ფრანჩესკო მატუზალემი; ***დისკვ***-შტეფან ლიტშტეინერი

### ფიორენტინა — ლეჩე

ფიორენტინა: ***ტრავმ***-ადრიან მუტუ, ხუან ვარგასი, სესარ ნატალი (?), სებასტიენ ფრეი, სტევან იოვეტიჩი

ლეჩე: ***ტრავმ***-ოფერე, ალბერტო გუალიატო; ***დისკვ***-ჯამელ მესბა

### სამპდორია — იუვენტუსი

სამპდორია: ***ტრავმ***-დანიელე კასტადელო (?), ლუჩიანო ძაური (?), ფრანკო სემიოლი

იუვენტუსი: ***ტრავმ***-ლუკა ტონი, ფაბიო კვალიარელა, ვინჩენცო იაკინტა, პაოლო დი ჩელიე, ლეანდრო რინაუდი; ***დისკვ***-ფელიპე მელო

### მილანი — ჩეზენა

მილანი: ***ტრავმ***-მარკო ამელია, კევინ პრინს ბოატენგი, ჯანლუკა ძამბროტა, ფილიპო ინძაგი

ჩეზენა: ***ტრავმ***-მაურისიო ლაურო, სტივ ვონ ბერგენი, იუტო ნაგამოტო; ***დისკვ***-ემანუელე ჯიაჩერინი

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.მილანი | 20 | 12 | 5 | 3 | 35:18 | 41 |
| 2.ნაპოლი | 20 | 11 | 4 | 5 | 30:20 | 37 |
| 3.ლაციო | 20 | 11 | 4 | 5 | 26:18 | 37 |
| 4.ინტერი | 19 | 10 | 5 | 4 | 32:19 | 35 |
| 5.რომა | 20 | 10 | 5 | 5 | 28:24 | 35 |
| 6.იუვენტუსი | 20 | 9 | 7 | 4 | 35:25 | 34 |
| 7.პალერმო | 20 | 9 | 4 | 7 | 33:25 | 31 |
| 8.უდინეზე | 20 | 9 | 3 | 8 | 31:27 | 30 |
| 9.კალიარი | 20 | 7 | 5 | 8 | 24:19 | 26 |
| 10.სამპდორია | 20 | 6 | 8 | 5 | 20:18 | 26 |
| 11.ფიორენტინა | 19 | 6 | 6 | 7 | 20:20 | 24 |
| 12.ჯენოა | 19 | 6 | 5 | 8 | 15:19 | 23 |
| 13.კიევო | 20 | 5 | 8 | 7 | 20:22 | 23 |
| 14.პარმა | 20 | 5 | 7 | 8 | 19:25 | 22 |
| 15.კატანია | 20 | 5 | 7 | 8 | 18:25 | 22 |
| 16.ბოლონია | 20 | 6 | 7 | 7 | 20:28 | 22 |
| 17.ჩეზენა | 20 | 5 | 4 | 11 | 15:25 | 19 |
| 18.ლეჩე | 20 | 5 | 4 | 11 | 19:37 | 19 |
| 19.ბრეშა | 20 | 5 | 3 | 12 | 17:26 | 18 |
| 20.ბარი | 20 | 3 | 5 | 12 | 13:30 | 14 |

***ბოლონიას დაკლებული აქვს 3 ქულა***

## ესპანეთი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 22.01 | სევილია-ლევანტე | 1.44 | 4.4 | 7.0 |
| 22.01 | ბარსელონა-რასინგი | 1.07 | 12.0 | 23.0 |
| 22.01 | ვალენსია-მალაგა | 1.5 | 4.2 | 6.5 |
| 23.01 | ალმერია-ოსასუნა | 2.25 | 3.2 | 3.4 |
| 23.01 | ხეტაფე-ესპანიოლი | 2.15 | 3.3 | 3.4 |
| 23.01 | ხიხონი-ატლეტიკო | 2.9 | 3.25 | 2.45 |
| 23.01 | სარაგოსა-დეპორტივო | 2.1 | 3.25 | 3.6 |
| 23.01 | რეალი-მალიორკა | 1.18 | 7.5 | 13.0 |
| 23.01 | ვილიარ.-სოსიედადი | 1.55 | 4.0 | 6.0 |
| 24.01 | ბილბაო-ერკულესი | 1.75 | 3.6 | 4.75 |

### სევილია — ლევანტე

სევილია: ***ტრავმ***-ფედერიკო ფაციო, ანდრეს პალოპი, ტიბერიო გუარენტე, სერხიო სანჩესი, არუნა კონე, ივიცა დრაგუტინოვიჩი; ***დისკვ***-ალექსისი

ლევანტე: ***ტრავმ***-მიგელ პერესი, ვისენტე დე ლა ფუენტა, იგნასიო გონსალესი

### ბარსელონა — რასინგი

ბარსელონა: ***ტრავმ***-ჟეფრენი, დანი ალცეში

რასინგი: ***ტრავმ***-ოსკარ სერანო, პაპა დიუპი, ფაბიო კოლტორტი, მანუელ როდრიგესი; ***დისკვ***-პედრო მუნიტესი

### ვალენსია — მალაგა

ვალენსია: ***ტრავმ***-დავიდ ნავარო, სესარი, დავიდ ალბელდა, მიგელ მოია

მალაგა: ***ტრავმ***-ედუ რამოსი, რუბენი, ედინიო, ივან ლოპესი, ხუანიტო, ალბერტ ლუკე

### ალმერია — ოსასუნა

ალმერია: ***ტრავმ***-არავინ

ოსასუნა: ***ტრავმ***-ვალტერ პანდიანი, ნაჩო მონრეალი, ჯავად ნეკოუმანი, რუპერი

### ხეტაფე — ესპანიოლი

ხეტაფე: ***ტრავმ***-პედრო რიოსი, ხავიერ არსმენდი, მარიო

ესპანიოლი: ***ტრავმ***-პაბლო ოსვალდო, დავიდ გარსია, ხავი ლოპესი, კორო, ივან დე ლა პენია

### ხიხონი — ატლეტიკო

ხიხონი: ***ტრავმ***-ალბერტო ბოტია, ალვარეს მარკოსი

ატლეტიკო: ***ტრავმ***-სერხიო აგუერო, მარიო სუარესი

### სარაგოსა — დეპორტივო

სარაგოსა: ***ტრავმ***-ედმილსონი, უჩე უკუჩეკვუ, ვიქტორ ლაგუარდია

დეპორტივო: ***ტრავმ***-რიკი, ანდრეს გუარდადო, მიჩელი

### რეალი — მალიორკა

რეალი: ***ტრავმ***-პეპე, ირჟი დუდეკი, გონსალო იგუაინი

მალიორკა: ***ტრავმ***-ლუის მარტი, ივან რამისი, ტომას პინა, სერგი ენრიხი, ტუნი; ***დისკვ***-ჯონათან დე გუზმანი, პაბლო ლოპესი

### ვილიარეალი — სოსიედადი

ვილიარეალი: ***ტრავმ***-ანგელ ლოპესი, სანტი კაზორლა, ნილმარი, კარლოს მარჩენა, მარკოს სენა

სოსიედადი: ***ტრავმ***-კარლოს მარტინესი, დიეგო იფრანი; დისკვ-დავიდ ზურუზუტა

### ბილბაო — ერკულესი

ბილბაო: ***ტრავმ***-იბაი გომესი, იონას რამალიო

ერკულესი: ***ტრავმ***-აბრაჰამ კრუზი, ოლივერ ტომერტი, ტიაგო გომესი, ფრანსისკო ფარინოსი

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 18 | 16 | 1 | 1 | 57-11 | 49 |
| 2.რეალი | 18 | 14 | 3 | 1 | 43-15 | 45 |
| 3.ვილიარ. | 18 | 12 | 3 | 3 | 36-16 | 39 |
| 4.ვალენსია | 18 | 10 | 4 | 4 | 28-20 | 34 |
| 5.ესპანიოლი | 18 | 10 | 1 | 7 | 21-25 | 31 |
| 6.ატლეტიკო | 18 | 9 | 3 | 6 | 30-19 | 30 |
| 7.ბილბაო | 18 | 9 | 1 | 8 | 28-30 | 28 |
| 8.ხეტაფე | 18 | 8 | 2 | 8 | 28-29 | 26 |
| 9.სოსიედადი | 18 | 8 | 1 | 9 | 27-28 | 25 |
| 10.მალიორკა | 18 | 7 | 3 | 8 | 19-23 | 24 |
| 11.სევილია | 18 | 7 | 2 | 9 | 23-29 | 23 |
| 12.დეპორტ. | 18 | 5 | 6 | 7 | 15-22 | 21 |
| 13.ერკულესი | 18 | 5 | 4 | 9 | 18-27 | 19 |
| 14.რასინგი | 18 | 5 | 4 | 9 | 14-25 | 19 |
| 15.ოსასუნა | 18 | 4 | 5 | 9 | 17-25 | 17 |
| 16.სარაგოსა | 18 | 3 | 7 | 8 | 17-28 | 16 |
| 17.მალაგა | 18 | 5 | 1 | 12 | 23-40 | 16 |
| 18.ლევანტე | 18 | 4 | 3 | 11 | 19-29 | 15 |
| 19.ალმერია | 18 | 2 | 8 | 8 | 16-28 | 14 |
| 20.ხიხონი | 18 | 3 | 6 | 9 | 15-26 | 15 |

## გერმანია

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 22.01 | ბაიერნი-კაიზერი | 1.2 | 6.5 | 13.0 |
| 22.01 | დორტმ.-შტუტგარტი | 1.5 | 4.33 | 6.0 |
| 22.01 | ფრაიბურგი-ნიურნ. | 2.2 | 3.3 | 3.25 |
| 22.01 | ჰანოვერი-შალკე | 3.0 | 3.4 | 2.3 |
| 22.01 | მაინცი-ვოლფსბურგი | 2.37 | 3.4 | 2.87 |
| 22.01 | კიოლნი-ვერდერი | 2.9 | 3.3 | 2.37 |
| 23.01 | გლდბახი-ლევერკუზენი | 4.0 | 3.75 | 1.83 |
| 23.01 | ჰოფენჰ.-ზანკტ პაული | 1.57 | 4.0 | 5.5 |

### ბაიერნი — კაიზერი

ბაიერნი: ***ტრავმ***-ფრანკ რიბერი, ედსონ ბრააფჰეიდი, ტონი კროოსი, ივიცა ოლიჩი

კაიზერი: ***ტრავმ***-სტივენ რივიჩი, ილიან მისანსკი, მარსელ კორეია, იან შიმუნეკი; ***დისკვ***-სრაჯან ლაკიჩი

### დორტმინდი — შტუტგარტი

დორტმუნდი: ***ტრავმ***-დამიენ ლეტალეკი, ფლორიან კრინგი, შინჯი კავაგა, სებასტიენ კელი, პატრიკ ოვომოიელა

შტუტგარტი: ***ტრავმ***-კაკაუ, ჩიპრიან მარიკა, მამადუ ბა, ჰალიდ ბულაჰრუზი, იოან აუდელი

### ფრაიბურგი — ნიურნბერგი

ფრაიბურგი: ***ტრავმ***-იოანეს ფლუმი, დემბა სისე, ჯონათან ჯაგერი, ალაინ ოლე ოლე, შტეფან რეიზინგერი, ომერ ტოპრაკი, სიმონ პუპლინი, პაველ კრმასი

ნიურნბერგი: ***ტრავმ***-პასკალ ბიელერი, ილკაი გუნდოგანი, მარეკ მინტალი, პერ ნილსონი, ალბერტ ბუნიაკუ

### ჰანოვერი — შალკე

ჰანოვერი: ***ტრავმ***-დამარკუ ბისლი, ტიმ ჰოფმანი, ვილი ევსეევი, ჰენრიკ ერნსტიკარლიტოს, ლეონ ანდრეასენი

შალკე: ***ტრავმ***-პედრაგ სტევანოვიჩი, ვასიალის პლიასტიკასი, ჰანს სარპეი, ტიმ ჰოოგლანდი, ლევან ყენია

### მაინცი — ვოლფსბურგი

მაინცი: ***ტრავმ***-მორტენ რასმუსენი, ეუგენ გოპკო, იან შიმაკი, ბო სვენსონი

ვოლფსბურგი: ***ტრავმ***-ანდრე ლენცი, ვლად მუნტეანუ, ჯულიან კლამტი, მაკოტო ჰასებე

### კიოლნი — ვერდერი

კიოლნი: ***ტრავმ***-პეტიტი, კრისტოფერ შორჩი, ვილი სანოუ, მატო ჯაჯალო, კონსტანტინოს ჯიანოულისი, ხოსე ვუნგუიდიცა, მარკ უტი

ვერდერი: ***ტრავმ***-დანიელ იენსენი, ტიმ ბოროვსკი, ნიკლას ანდერსენი, უირიცა ვრანიესი, უესლი, კრისტიან პანდერი, ნალდო; ***დისკვ***-სებასტიენ პროდლი

### გლადბახი — ლევერკუზენი

გლადბახი: ***ტრავმ***-ლოგან ბეილი, პოლ სტალტერი, ბერნარდ იანეჩეკი, კრისტიან დორდა; ***დისკვ***-მარსელო ბობადილა

ლევერკუზენი: ***ტრავმ***-ტრანკილიო ბარნეტა, ლარს ბენდერი, ტომას ბობელი; ***დისკვ***-მანუელ ფრიდრიხი

### ჰოფენჰაიმი — ზ.პაული

ჰოფენჰაიმი: ***ტრავმ***-კევინ გონრადი, პასკალ გროსი, რობინ ნიუპერტი, იენს გრალი, ჩინედუ ობასი

ზ.პაული: ***ტრავმ***-ფლორიან ლეჰნერი, მარიუს ებერსი

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.დორტმუნდი | 18 | 15 | 1 | 2 | 42:11 | 46 |
| 2.ჰანოვერი | 18 | 11 | 1 | 6 | 28:27 | 34 |
| 3.მაინცი | 18 | 11 | 0 | 7 | 30:20 | 33 |
| 4.ლევერკუზენი | 18 | 9 | 6 | 3 | 36:28 | 33 |
| 5.ბაიერნი | 18 | 8 | 6 | 4 | 32:21 | 30 |
| 6.ფრაიბურგი | 18 | 9 | 2 | 7 | 27:27 | 29 |
| 7.ჰამბურგი | 18 | 8 | 3 | 7 | 28:28 | 27 |
| 8.აინტრახტი | 18 | 8 | 2 | 8 | 24:24 | 26 |
| 9.ჰოფენჰაიმი | 18 | 6 | 7 | 5 | 33:24 | 25 |
| 10.კაიზერი | 18 | 6 | 4 | 8 | 28:28 | 22 |
| 11.შალკე | 18 | 6 | 4 | 8 | 25:25 | 22 |
| 12.ნიურნბერგი | 18 | 6 | 4 | 8 | 22:29 | 22 |
| 13.ვერდერი | 18 | 6 | 4 | 8 | 25:36 | 22 |
| 14.ვოლფსბ. | 18 | 4 | 8 | 6 | 25:26 | 20 |
| 15.ზ.პაული | 18 | 5 | 3 | 10 | 18:32 | 18 |
| 16.კიოლნი | 18 | 4 | 4 | 10 | 19:34 | 16 |
| 17.შტუტგარტი | 18 | 4 | 3 | 11 | 33:35 | 15 |
| 18.გლადბახი | 18 | 3 | 4 | 11 | 27:47 | 13 |

# დიეგო სიმეონე სიცილიაში ჩავიდა

იტალიურმა საფეხბურთო კლუბმა „კატანიამ" საზოგადოებას ახალი მწვრთნელის სახელი ამცნო — დიეგო სიმეონე. არგენტინელი სპეციალისტი, რომელმაც ამ თანამდებობაზე მარკო ჯანპაოლო შეცვალა, სიცილიურ კლუბთან 2012 წლის ივნისამდე ითანამშრომლებს.

სიმეონე საფეხბურთო სამყაროში კარგად არის ცნობილი — არგენტინის ნაკრების ყოფილ ნახევარმცველს კარიერის დასრულების შემდეგ ისეთ კლუბებში უმუშავია, როგორებიც „ესტუდიანტესი", „რივერ პლეიტი" და „სან ლორენცო" არიან. მეტიც, მისი ხელმძღვანელობით „ესტუდიანტესის" არგენტინის ჩემპიონატის, ხოლო „რივერ პლეიტი" კლაუსურას გამარჯვებული გახდა.

სიცილიურ კლუბში მისული სიმეონეს აზრით, მთავარია, გუნდი ფსიქოლოგიურ მზადყოფნაში დახვდეს. არგენტინელმა სპეციალისტმა ისიც დასძინა, რომ იტალიაში მუშაობა მისთვის დიდი სიამოვნება იქნება.

— იტალიაში მწვრთნელებზე ყოველთვის დიდი ზეწოლაა, მაგრამ სერია ა-ში მუშაობა მაინც სასიამოვნო ჩანს. აქ ნებისმიერ გუნდს შეუძლია გრანდისა თუ ფავორიტის დამარცხება. რაც შეეხება გუნდის სათამაშო სტილს, ასეთი იქნება — პრესინგი მეტოქის ნახევარზე და რაც შეიძლება მეტი კომპაქტური თამაში მოედანზე. „კატანია" 4-3-1-2, ანაც 4-2-3-1 სქემით ითამაშებს. თუმცა, მისი შეცვლა ყოველთვის შესაძლებელი იქნება. მთავარია, გუნდი იყოს ფსიქოლოგიურად კარგ განწყობაზე, — განაცხადა სიმეონემ.

# 17-წლამდე ნაკრები ურეკში მოემზადება

საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრებს მარტში ევროპის ჩემპიონატის ელიტ-რაუნდის მატჩები ელის. აქედან გამომდინარე, მთავარი მწვრთნელი კობა ჟორჟიკაშვილი უკვე იწყებს მომავალი ტურნირისთვის მზადებას. საამისოდ 17-წლამდელთა ნაკრები პირველ შეკრებას ზღვისპირა ქალაქ ურეკში გაივლის, სადაც გუშინ გაემგზავრა.

შეკრებაზე, სადაც ჟორჟიკაშვილის შეგრიდები 2 თებერვლამდე დარჩებიან, მწვრთნელმა 21 ფეხბურთელი იახლა:

ნიკა სანდოხაძე (დინამო), კონსტანტინე ღაღანიძე (ოლიმპიკი), ლაშა კვარაცხელია (ლოკომოტივი), გიორგი ფანცულაია, დაჩი ცნობილაძე, შოთა ბიწკინაშვილი, გაბრიელ თებიძე, ბაჩო მიქავა (ყველა ოლიმპი), გურამ სამუშია, ცოტნე სამუშია, ავთანდილ ენდელაძე (ყველა ბაია), თემურ მარკოზაშვილი (მერანი თბ), ნიკა კაჭარავა (დინამოს აკადემია), გიორგი სარჯველაძე, დავით მთვილიშვილი, სანდრო ჭიღვარია, შალვა ექვთიმიშვილი, ბუდუ ზივზივაძე (ყველა 35-ე სკოლა), ნიკა დიასამიძე (ბათუმი), სულხან კახიძე (ქობულეთი), გოგი გოგიჩაიშვილი (ტორპედო), ზურაბ ღირდალაძე (ზესტაფონი), გიორგი ბერია, ცოტნე მონიავა (ორივე მერანი მ).

შეკრების შემდეგ ფეხბურთელები თავინთ გუნდებს დაუბრუნდებიან, 21-25 თებერვალს კი ჩვენები ესპანელ თანატოლებთან 2 ამხანაგურ მატჩს გამართავენ, რომლის წინ ერთკვირიან შეკრებას უკვე თბილისში გაივლიან.

***მოამზადა მიხეილ ყორღოლიანმა***

# გიორგი ასანიძე მასწავლებლებს სკამზე წებოს უსხამდა



ნანა მიშელაშვილი

ოლიმპიური ჩემპიონი, დეპუტატი გიორგი ასანიძე ამბობს, რომ სპორტს ტრავმები თან ახლავს. ტრავმებისგან ვერც თავად გადარჩა, რის გამოც რამდენიმე ოპერაცია აქვს გაკეთებული. ბავშვური სიცელქეებიდან გიორგი ასანიძე რამდენიმე ფაქტს იხსენებს. ასანიძე არ მალავს, რომ შეშის ღუმელში კლასელებთან ერთად ამპულებიც შეუყრია, რომელიც გაკვეთილზე აფეთქებულა და მასწავლებლის სკამზე წებოც დაუსხამს.

„ახალი თაობა“ გიორგი ასანიძეს ესაუბრა:

***— ასანიძეები საიდან ხართ?***

— ზემო იმერეთიდან ვართ, ძირითადად საჩხერის რაიონიდან. გვარის წარმოშობა არის სოფელ ჩონთოდან. არის სხვადასხვა ვერსია, რომ ჩვენი გვარი არის აჭარიდან. ერთი ისტორიული ვერსიის მიხედვით, გვარი მე-16 საუკუნიდან არის, მეორე ვერსიის მიხედვით კი, ჩვენი გვარი მე-11 საუკუნეში არსებული გვარია, რომელიც ზემო იმერეთში წარმოიშვა.

***— საგვარეულო შეკრებებს თუ აწყობთ?***

— რა თქმა უნდა, რამდენიმე წელია ჩვენი გვარის წარმომადგენლები ვიკრიბებით.

***— ძირითადად სად იკრიბებით, თბილისში თუ იმერეთში?***

— თბილისშიც შევკრებილვართ და იმერეთშიც. უფრო ზაფხულის პერიოდში ვიკრიბებით. 14 ივლისს პატრიარქმა დალოცა ჩვენი გვარი და ვცდილობთ, რომ ამ დღეს დავამთხვიოთ ყველა ის შეკრება, რომელიც გვაქვს.

***— ასანიძეების გვარი დიდია?***

— ვერ ვიტყვი, რომ ძალიან დიდი გვარია. 3 ათასამდე ადამიანია ფიქსირებული, თუმცა, შესაძლოა, ცოტა მეტიც იყოს. ერთმა ჟურნალისტმა გამოიკვლია გვარის ისტორია, რომელშიც საუბარია თამარ მეფის მოღვაწეობაზე. ერთ-ერთი ვერსიის მიხედვით, თამარ მეფის მკურნალ ექიმად იყო ჩვენი გვარის წარმომადგენელი. ასეთი ისტორიაა, რომ თამარ მეფე მაღალი სიცხის გამო ცუდად იყო და ბუნებრივი წამლით უმკურნალა ჩვენი გვარის წარმომადგენელმა. ამის შემდეგ თამარ მეფემ მკურნალს სოფელი ჩონთო უბოძა.

***— გამოდის, რომ ამ ლეგენდის თუ ვერსიის მიხედვით, ასანიძეებს სოფელი თავად თამარ მეფემ გიბოძათ?***

— ეს ლეგენდაა თუ რეალობა, ძნელი სათქმელია, თუმცა, ასეთი ვერსია არსებობს. არის კიდევ ერთი ვერსია, რომ ნადირაძეების გვარის განშტოებაა ჩვენი გვარი. იგი ასან ნადირაძისგან წამოვიდა.

***— მკურნალობასთან შეხება ასანიძეებს ახლაც აქვთ?***

— ადრე, ალბათ, უფრო მეტი შეხება გვქონდა, სანამ მედიცინა ამ დონეზე განვითარდებოდა. მას შემდეგ, რაც მედიცინა განვითარდა, ჯობია, პროფესიონალმა ექიმმა დაგისვას დიაგნოზი. თუმცა, რაღა შემთხვევებში, ოჯახში არის ტრადიცია, რომ ბალახეული წამლებით მკურნალობენ.

***— პირადად თქვენ მარტივად შეგიძლიათ მიხვდეთ, ადამიანს ხელი ან ფეხი მოტეხილი აქვს თუ ნაღრძობი?***

— რა თქმა უნდა. ეს გამოცდილებით დამიგროვდა. ბევრი შემთხვევა მქონდა, ჩემი სპორტული საქმიანობიდან გამომდინარე.

***— ბავშვობაში ბევრი ტრავმა გაქვთ მიღებული?***

— კი.

***— ხელი მოტეხილი გქონიათ?***

— დიახ, 1988 წელს, იდაყვის ტრავმა მივიღე, რაც ყველაზე რთულად ითვლება, რადგან მისი რეაბილიტაცია ურთულესია. 4 ოპერაცია, რომელიც გავიკეთე, შედეგი პერიოდული გაუმჯობესება იყო, თორემ, ეს ტრავმა ძველებურად არის. ზოგადად, სპორტში ტრავმების მიღება ხშირად ხდება. ეს სპორტსმენისთვის განუყოფელი ნაწილია. ძალიან კარგია, თუ ტრავმები არ იქნება, თუმცა, იგი სპორტს თან ახლავს.

***— ბავშვობაში ფეხი მოტეხილი გქონიათ?***

— არა.

***— თავგატეხილი ყოფილხართ?***

— არა, ყოველ შემთხვევაში, არ მახსოვს, რომ თავზე რაიმე ტრავმა მიმეღოს. რაც შეეხება ფეხს, ფეხზე კუნთის ნაწილობრივი დაზიანებები მქონდა. ამას კუნთის გაგლეჯა ჰქვია. უკვე დიდ ასაკში, როდესაც საკმაოდ ბევრს ვარჯიშობ და სიმძიმეებს სწევ, ესა თუ ის კუნთი ზიანდება. მარცხენა ფეხის ბარძაყის კუნთის გაგლეჯა მქონდა. მკურნალობა დროსთან იყო დაკავშირებული. ეს იყო ოლიმპიადის წინა პერიოდი. ორი ოპერაცია მაქვს გადატანილი როგორც მარჯვენა, ისე მარცხენა ფეხზე.

***— ბავშვობაში წარბი ან ცხვირი გატეხილი არ გქონიათ?***

— არა, არც წარბი მქონია გატეხილი და არც ცხვირი. ბავშვობის პერიოდში შესაძლოა ხელი გაგიჭრია ან რაღაც გიტკენია, მაგრამ ეს იმდენად უმნიშვნელო იყო, რომ ყურადღებას არ აქცევ.

***— ხშირად ჩხუბობდით?***

— სიმართლე გითხრათ, ძალიან მიმტევებელი ვარ და ვიყავი, ყველანაირ კონფლიქტს ვერიდებოდი. ისე, ბავშვობაში ჩხუბი, მეტიჩრობა და გაუგებრობა ყოველთვის ხდება. ისეთი ჩხუბი ნამდვილად არ მახსენდება, რომ ჩემთვის ან სხვისთვის რაიმე ზიანი მიმეყენებინოს. თუმცა, სხვისი გულისთვის შესაძლოა ბევრი მიჩხუბია.

***— საერთოდ როგორი ბავშვი იყავით — მშვიდი, წყნარი, ზომიერი თუ ცელქი?***

— ჯიუტი ვიყავი, რაც ჩემს შვილებზეც აისახა.

***— სკოლა იმერეთში დაამთავრეთ?***

— დიახ, საჩხერეში დავამთავრე სკოლა.

***— სკოლაში მასწავლებლისთვის რაიმე დაგიშავებიათ?***

— გააჩნია, დაშავებაში რას გულისხმობთ. ძალიან ბევრჯერ გამიბრაზებია მასწავლებელი.

***— მასწავლებელს კლასიდან გაუგდიხართ?***

— რამდენიმე შემთხვევა იყო, როდესაც მასწავლებელს უთქვამს და კლასიდან გავსულვარ. ისე, ძალიან ბევრს ვაწვალებდით მასწავლებლებს.

***— რას აკეთებდით?***

— ვაბრაზებდით, თუმცა, ეს გაბრაზება ძირითადად მაინც იუმორში გადაგვქონდა. ბავშვურად ვიქცეოდით, ხან შეშის ღუმელში რაღაცებს ვყრიდით და ვაფეთქებდით, ხან გაკვეთილზე ვხმაურობდით.

***— რას ყრიდით ღუმელში, „დიმაუშკას“?***

— არა, „დიმაუშკა“ ჩემ დროს ნაკლებად იყო. ღუმელში ამპულას ჩავაგდებდით, გასკდებოდა და ხმაურს გამოიწვევდა. ხან წებოს დავუსხამდით მასწავლებელს სკამზე. ეს მხოლოდ ჩემი გადაწყვეტილება არ იყო, მთელი კლასის გადაწყვეტილება იყო. თუ ვხედავდით, რომ მასწავლებელი უმიზეზოდ გვჩაგრავდა, ვცდილობდით, ეს მასწავლებელი გაგვებრაზებინა.

***— მასწავლებელს სკამზე წებო რომ დაუსხით, დაეწება თუ დროულად მოასწრო ადგომა?***

— ერთხელ დაეწება სკამზე, ფაქტიურად, რომ ადგა, სკამი თან აჰყვა.

***— მერე, თქვენი მშობლები არ დაიბარეს ამის გამო?***

— არა.

***— როგორ გადარჩით?***

— მშობლები იმიტომ არ დაიბარეს, რომ თავად მასწავლებელმა დაუშვა შეცდომა და მიხვდა, რომ ის არ უნდა ეთქვა, რაც თქვა. ახლა არ ვიტყვი დეტალურად, რა მოხდა, თავად მასწავლებელი მიხვდა, რომ შეცდომა დაუშვა. ამის შემდეგ ეს მასწავლებელი ჩვენი კარგი მეგობარი იყო.

***— სკოლაში რაიმე მწერი არ მღრღნელი თუ მიგიყვანიათ კლასელების ან მასწავლებლის შესაშინებლად?***

— არა. ჩვენი დამრიგებელი ელზა გივიშვილი იყო. ის მარტო დამრიგებელი არ იყო, მას კლასი მამიდას ვეძახდით. ყველა საკითხზე შეგვეძლო, მასთან გვესაუბრა. ის კარგ დარიგებასა და რჩევებს გვაძლევდა.

***— სკოლაში რომელ საგანში გაქვთ ორიანი მიღებული?***

— მათემატიკაში. ძალიან მიყვარდა მათემატიკა, თუმცა, ორიანი მივიღე არა იმიტომ, რომ რაიმე არ ვიცოდი, არამედ, სიცელქის გამო.

***— მათემატიკის გარდა, კიდევ რომელ საგანში მიგიღიათ ორიანი?***

— რუსულში მივიღე ორიანი, კიდევ ქიმიაში. დარწმუნებული ვარ, სკოლაში ბავშვების 95%-ს ორიანი მიუღია.

***— ფიზკულტურაში, ფრიადის გარდა, დაბალი ნიშანი მიგიღიათ?***

— სირცხვილი იქნებოდა, ფიზკულტურაში ფრიადის გარდა სხვა ნიშანი რომ მიმეღო. მეხუთე კლასის შემდეგ სპორტზე დავდიოდი, მანამდეც სპორტული ცხოვრებით ვცხოვრობდი. ვცდილობდი, სპორტის ნებისმიერ სახეობაში განვითარებული ვყოფილიყავი. ფეხბურთში ძირითადად უფრო მეკარე ვიყავი.

***— კარგი მეკარე იყავით?***

— კი. ჩვენი სწავლის პერიოდში ჩათვლები იყო, ვთქვათ, ვინ რამდენ მეტრზე გადააგდებდა ყუმბარას, ასევე იყო სიმაღლეზე და სიგრძეზე ხტომა.

***— სიმღერის გაკვეთილები გიყვარდათ?***

— საერთოდ არ ვმღერი. არც ახლა მაქვს დიდი სურვილი, რომ სადმე ვიმღერო, თუმცა, გულში ვღიღინებ.

***— გამოდის, რომ სიმღერასთან მწყრალად ხართ?***

— არა, მწყრალად არა ვარ. მუსიკა ძალიან მიყვარს, თუმცა, სმენა არა მაქვს და ეს დისკომფორტს მიქმნის. მუსიკა მხოლოდ იმ ადამიანის არ არის, ვისაც სმენა აქვს. მუსიკა იმ ადამიანებისაც არის, ვისაც უყვარს.

***— ხატვის ნიჭი გაქვთ?***

— ხატვაზე მეტად ხაზვა მიყვარდა.

***— იმერლებისთვის დამახასიათებელი რა თვისებები გაქვთ?***

— იმერლებისთვის დამახასიათებელი ყველა თვისება მაქვს.

***— იმერული სიფიცხე გაქვთ?***

— დიახ, თუმცა, გაბრაზების გულში ჩადება არ ვიცი. გულში ჩავიდებ მხოლოდ იმ ადამიანების მტრობას, რომლებსაც ჩემი სამშობლო არ უყვართ. იმერლებისთვის სიფიცხე და სიჩქარე დამახასიათებელია.

***— პუნქტუალური, მოწესრიგებული ხართ თუ ხშირად აგვიანებთ?***

— არის საკითხები, რომლებიც პუნქტუალობას მოითხოვს, თუმცა, არის საკითხები, რომლებიც მოიცდის და რამდენიმე წუთის დაგვიანება დასაშვებია. შემიძლია თამამად ვთქვა, რომ პუნქტუალური ვარ. საერთოდ, ძალიან ძნელია საკუთარ თვისებებზე საუბარი. სხვა უფრო კარგად აფასებს შენს თვისებებს. ერთი რამ შემიძლია ვთქვა: არ მიყვარს ადამიანის დაჩაგვრა, არ მიყვარს ადამიანის მოტყუება.

***— სკოლის დროს რომელ ასაკში იყავით უფრო ცელქი და რომელ ასაკში წყნარი?***

— სპორტზე მისვლამდე ძალიან ცელქი ვიყავი, ანუ 12 წლამდე. როდესაც სპორტზე დავიწყე სიარული, შედარებით დავდინჯდი, თუმცა, მაინც ცელქი ვიყავი, ცხრა მთას გადავდიოდი.

***— სკოლიდან შატალოზე ძირითადად სად მიდიოდით?***

— ძალიან შორს არ მივდიოდით, ხან მდინარის პირას ჩავდიოდით, ხან სხვიტორში მივდიოდით. შატალოზე მაინცდამაინც ხშირად არ დავდიოდით. სკოლის პერიოდში შრომის გაკვეთილების დროს კოლმეურნეობის მიწა უნდა დაგვებარა ან დაგვეთოხნა. მაგ საქმეში მოვიკოჭლებდით, რადგან ბავშვებს გვეზარებოდა მუშაობა.

***— მასწავლებელს ყური აუწევია თქვენთვის?***

— არა.

***— თმა მოუწიწკნია?***

— კი. ეს პატარა ასაკში იყო, თუმცა, როდესაც წამოვიზარდეთ, შემდეგ ასეთ ფაქტს ადგილი არ ჰქონია.

***— სკოლის დროს ბიჭებს თმა ნულზე გადაგიღიათ?***

— კი, ერთხელ იყო ასეთი შემთხვევა, კლასში რვა ბიჭი ვიყავით და რვავემ თმა გადავიხოტრეთ.

***— რას დაუკავშირეთ თმის კოლექტიური გადახოტვრა?***

— რა ვიცი, ასე მოგვინდა და გადავიხოტრეთ.

***— ჯარში ნამყოფი ხართ?***

— ჯარი იმ პერიოდში მიწევდა, როდესაც საბჭოთა კავშირი დაიშალა. მაშინ ჯარში წასვლა რუსეთში მიწევდა, რაზეც კატეგორიული უარი ვთქვი. შემდეგ ინსტიტუტში ჩავაბარე, სადაც სამხედრო კათედრა იყო. პარალელურად ვირიცხებოდი თავდაცვის სამინისტროს სპორტულ ნაწილში, სადაც 10 წელი ვიმსახურე. ინსტიტუტში როდესაც კათედრას მოვრჩით, კურსებზე ვიყავი ქუთაისში და სიმონეთში, სამხედრო პოლიგონზე. დღეს კაპიტანი ვარ, წარდგენილი ვარ მაიორობაზე.

***— ცეცხლსასროლ იარაღში კარგად ერკვევით?***

— რა თქმა უნდა.

***— იარაღი გაქვთ?***

— კი.

***— ბევრი?***

— რამდენიც საჭიროა... რაც მაქვს, ყველა იარაღი ოფიციალურად მაქვს გაფორმებული.

***— ზოგიერთს უბრალოდ უყვარს, ზოგიერთი კოლექციით არის დაკავებული, თქვენ რომელ კატეგორიას ეკუთვნით?***

— კოლექციონერი ნამდვილად არა ვარ, მაგრამ იარაღი მაქვს.

***— ძვირადღირებული მარკის იარაღი გაქვთ?***

— ჩემთვის ძვირადღირებულია, ისე, შეიძლება ფასით მაღალი არ იყოს.

***— სანადირო იარაღები გაქვთ?***

— კი.

***— ნადირობა გიყვართ?***

— დიახ. თუმცა, ბოლო პერიოდში ვეღარ ვახერხებ. ადრე უფრო ხშირად დავდიოდი.

***— ძირითადად სად ნადირობდით?***

— ხან ბაკურიანში, ხან ბოლნისის მხარეს.

***— ღამისთევით მიდიოდით სანადიროდ?***

— რა თქმა უნდა.

***— მონადირეების უმეტესობას საკუთარ ნანადირევთან დაკავშირებით ტრაბახი უყვარს. თქვენ რა გაქვთ მონადირებული?***

— ნადირი არ მყავს მოკლული, ფრინველი — კი. ნადირობა მარტო ის კი არ არის, რომ რაღაც მოკლა, არამედ, ეს გარკვეულწილად გართობაც არის. გართობა და ემოციის დახარჯვა.

***— ფრინველებიდან რა გყავთ მოკლული?***

— მწყერი და სხვა ფრინველები.

***— კურდღელი მოგიკლავთ?***

— კურდღელი მოკლული — არა, დაკლული მყავს.

***— ბავშვობაში?***

— კი. კურდღელიც დამიკლავს და გოჭიც.

***— მერე, არ შეგეცოდათ?***

— კი, მეცოდებოდა.

***— ნადირობის დროს ხიფათს თუ გადაყრიხართ?***

— არა, მაგრამ ერთხელ ბოლნისის მხარეს ვიყავით სანადიროდ და დავინახეთ ძალიან ბევრი გარეული ღორი. ძალიან შორს გაგვიტყუეს. ღორებმა ძაღლები თან გაიყოლიეს, არადა, გვეგონა, რომ ძაღლები ღორებს გამოყრიდნენ, მაგრამ აღმოჩნდა, რომ პირიქით მოხდა. კარგა ხანი ძაღლებს დავეძებდით.

***— თევზაობა გიყვართ?***

— ჩემი ძმა კარგად თევზაობდა და მას დავყვებოდი სათევზაოდ. საკმაოდ ბევრი თევზი მყავს დაჭერილი.

***— ოჯახში გყავთ ცხოველები?***

— კი, ძაღლი მყავს ძალიან საყვარელი. გერმანული ჯიშის შავი ფერის „ავჩარკა“.

***— რა ჰქვია ძაღლს?***

— როკო. ჯერ რვა თვის არის, მაგრამ ძალიან დიდია. მეგობარმა მაჩუქა როკო.

***— ადვილი მოსავლელია?***

— საერთოდ, ძაღლის მოვლა ადვილი არ არის.

***— ბავშვებს უყვართ როკო?***

— კი. კახის ძალიან უყვარს. კახი და როკო ძალიან ბევრს ჭიდაობენ. ტყუპებს, სალის და საბას კი ეშინიათ მისი.

***— ბავშვებს ხომ არ კბენს?***

— არა. ისეთი ძაღლი რად მინდა, ბავშვებს თუ უკბენს? ისე კი ძალიან ჭკვიანი ძაღლია.

***— შვილები რომელიმე ფრინველის ან ცხოველის შეძენას თუ გთხოვენ?***

— კახის კუ ჰყავდა, რომელიც გაუშვა, თუთიყუშები ჰყავდა, რომლებიც დაეღუპა და ამის შემდეგ გული იმდენად დასწყდა, რომ თუთიყუშის ყიდვას აღარ გვთხოვს. ერთხელ კი გაუფრინდა თუთიყუში. მაგათ ხელში ახლა სახლში ზოოპარკს ვერ გავაკეთებ.

***— თქვენი შვილებიდან ხასიათით რომელი გგავთ?***

— გარკვეულწილად ოთხივე მგავს, თუმცა მაინც მარიამს გამოვარჩევ. საბა ჯერ პატარაა, მაგრამ ჩემი ხასიათი უვლინდება.

***— გარეგნულად რომელი შვილი გგავთ?***

— გარეგნულადაც მარი და საბა მგვანან.

***— რომელი შვილი უფრო ჯიუტია?***

— ოთხივე ჯიუტია. თუმცა დამჯერეებიც არიან. ისე, დედასთან უფრო თამამები არიან.

***— მკაცრი მამა ხართ?***

— არა. ვერ ვიტყვი, რომ მკაცრი მამა ვარ, პირიქით, ყველანაირად ვცდილობ, შვილებს ხელი შევუწყო, თუმცა, დედასთან უფრო ახლოს არიან.

***— ძირითადად ბავშვები რის ყიდვას გთხოვენ?***

— კახისა და საბას უფრო სათამაშოები და ტექნიკა აინტერესებთ. კახი 11 წლის ხდება და ხან კვადროციკლი უნდა, ხან — ველოსიპედი. მარი 14 წლის არის და უფრო ტანსაცმლისკენ არის მიდრეკილი, რადგან ქალობაში გადადის და იპრანჭება. სალი, მართალია, პატარაა, მაგრამ მასაც ემჩნევა, რომ პრანჭიაობა უყვარს. სრულიად რეალურია, რომ გოგონებს გაპრანჭვა უყვართ. კახიმ ახლა კისტის თოფი მაყიდვინა, თოვლის ბაბუას სთხოვა საახალწლოდ, თუმცა იცის, რომ თოვლის ბაბუა მე ვარ. როდესაც წამოიზრდება, შეიძლება მწყერზე სანადიროდაც წავიყვანო. კახი ძალიან ინტერესიანი და მონდომებული ბავშვია. საბა ჯერ 7 წლისაა, მაგრამ ძალიან დინჯია.

## ორშაბათი 24 იანვარი

06.30 დოკ. ფილმი "მსოფლიოს ქალაქები" 07.30 ჩვენი დილა 11.00 სამოთხის ვაშლები 12.00, 16.00, 20.00 მოამბე 12.30 ვ. სანაიას რეპორტაჟი 13.30 ქართული დოკუმენტალისტიკა 14.00 დოკ. ფილმი "ფილიპ ნუარე მოუხერხებელი ჯენტლმენი" 15.00 სერ. **"ტკბილი, მწარე ცხოვრება"** 17.00 პლანეტა ბასტი-ბუბუ 18.00 მეხსიერება 19.05 დოკ. ფილმი "უთინარი კვალი" 19.40 პეპეს ზღაპრები 21.00 სერ. **"ტკბილი, მწარე ცხოვრება"** 22.00 აუდიტორია 23.00 თოქ-შოუ "არენა" 00.30 მხ. ფილმი **"პატრიოტი"** (მ. გიბსონი) (სუბტ.) 03.30 მოამბე 03.50 ცხოვრება მშვენიერია

08.00 დოკ. ფილმი 09.00 მხ. ფილმი **"ჩვეულებრივი სასწაულები"** 11.00 ვ. სანაიას რეპორტაჟი 11.30 დოკ. ფილმი 12.30 ქართული დოკუმენტალისტიკა 13.30 ისტორია 14.00 რეგიონის დროით 14.45, 17.45, 23.00 ბრიფინგის დროით 16.00 დოკ. ფილმი 17.00 მეხსიერება 19.00 დოკ. ფილმი 20.00 მხ. ფილმი **"დივებს ხოცავენ, არა?"** 22.00 თავისუფალი ტრიბუნა 00.00 მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) 01.00 მხ. ფილმი **"პატრიოტი"**

07.30 დილა მშვიდობისა 10.00 სერ. **"გრძნობათა ტყვეობაში"** 10.00 სერ. **"მიმწყვდეული"** 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 03.20 კურიერი 12.30 სერ. **"შენ ჩემი სიცოცხლე ხარ"** 13.30 ბიზნეს-კურიერი 14.00 სერ. 15.30 "გუნცაძეები" 16.00 სერ. **"სიყვარულის საიდუმლო"** 16.50 სერ. **"მორენას ვნება"** 18.30 სერ. **"გაორება"** 18.50 სერ. **"დანიელა"** 19.50 სერ. **"სად არის ელისა"** 22.00 კონცერტი 00.00 საფეხბურთო ღამე 01.00 მხ. ფილმი **"საზღაური 2"** (18) (ს. ბაგსი) 03.00 პატრული

07.30 მუსიკა 08.00 ანიმაცია "არგაი" 09.00 სერ. **"ჩენტო ვეტრინე"** 10.00 გოგიჩას დილა 11.00 სერ. **"დაუნდობელი სამყარო"** 12.00 სერ. **"გაუხსნელი საქმე"** 13.00 "მზესუმზირა" (პირდ.) 14.30 მხ. ფილმი 16.30 გადაცემა "ტვ-ტესტი" 17.00 მხ. ფილმი 19.00 სერ. **"ვნებათა მიწა"** 20.00 სერ. **"დაუნდობელი სამყარო"** 21.00 სერ. **"სი ეს აი"** 22.00 მხ. ფილმი სუბტიტრით 00.00 სერ. **"გაუხსნელი საქმე"** 01.00 მხ. ფილმი

07.30 იმედის დილა 10.00 სერ. **"სილამაზის მსხვერპლი"** 11.00, 14.00, 17.00, 20.00, 03.40 ქრონიკა 11.40 ტვ-მარკეტი 11.50 სერ. **"ბოშები"** 13.00 სერ. **"ლოგას საიდუმლო"** 14.40 დღის შოუ 16.00 სერ. **"მონტეს ოჯახი"** 17.40 სერ. **"სიყვარულის ზღვა"** 18.45 სერ. **"ლოგას საიდუმლო"** 21.00 სერ. **"ქალბატონი"** 22.00 სერ. **"შუა ქალაქში"** 23.00 სერ. **"გოგონა გარეუბნიდან"** 00.00 სამსონაძეები 00.30 მხ.ფ. **"ტერმინატორი 3"** (ა. შვარცენეგერი) (სუბტ.) 02.40 მხ. ფილმი **"შეხვედრა ვამპირთან"** (15) (ბ. პიტი) (სუბტ.) 04.40 მხ. ფილმი **"ილაის წიგნი"** (15) (სუბტ.)

08.30, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 01.30 "დრო" 09.00 მუსიკა 09.30, 23.00 სერ. **"მონტალბანო"** 10.30 დოკ. ფილმი 11.50, 21.00 სერ. **"იდუმალი სტუმარი"** 12.50 ქართ. ფილმი **"ფესვები"** 14.50 ფერისცვალება 15.00, 18.00 დოკ. ფილმი 16.30 სერ. **"ამანდა ო"** 19.30 სერ. **"კურტიზანები"** 00.00 მხ. ფილმი

ერთსულოვნება

08.30 დილის პროგრამა "განთიადი" 10.00 პატრიარქის ქადაგება 10.35 კვირიაკე 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 24.00 საგალობელი 12.05, 15.05 საეკლესიო კალენდარი 12.15 მხ. ფილმი **"ფესვები"** 13.40 კონცერტი 15.10 სპექტაკლი 17.10 დოკ.ფ. "ველური ბუნება" 17.35 ახალი აღთქმის განმარტებანი 18.05 ჩვენ ვუკრავთ კლასიკას 18.30 ტელეზღაპარი 19.00, 22.00, 00.05 სიახლენი 19.15 მხ. ფილმი **"ოთარაანთ ქვრივი"** 21.05 კალენდარი 21.10 პატრიარქის ქადაგება 21.30 დოკ. ფილმი "ზარის დაბადება" 22.25 ერთსულოვანი ოჯახი 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 დოკ. ფ. "ქორონიკონს ქრისტეს აქეთ" მე-2 ს. 00.40 სუფთა დაფა

## სამშაბათი 25 იანვარი

06.30 მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) 07.30 ჩვენი დილა 11.00 სამოთხის ვაშლები 12.00, 16.00, 20.00 მოამბე 12.30 თოქ-შოუ "არენა" 14.00 ჩვენი ეზო 15.00 სერ. **"ტკბილი, მწარე ცხოვრება"** 17.00 პლანეტა ბასტი-ბუბუ 18.00 მეხსიერება 19.05 დოკ. ფილმი "სრული სიმართლე კვების შესახებ" 19.40 პეპეს ზღაპრები 21.00 სერ. **"ტკბილი, მწარე ცხოვრება"** 22.00, 01.25 დიალოგი დავით პაიჭაძესთან 23.00 მხ. ფილმი **"ძვლების შემგროვებელი"** (15) (დ. ვაშინგტონი) (სუბტ.) 01.05 მოამბე 02.25 აუდიტორია

08.00, 00.00 მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) 09.00, 12.00, 14.45, 17,45, 23.00 ბრიფინგის დროით 10.00, 22.00 თავისუფალი ტრიბუნა 11.00, 16.00, 19.00 დოკ. ფილმი 14.00 საუკუნის პორტრეტები 17.00 მეხსიერება 20.00 მხ. ფილმი **"ნიანგი დანდი"** 01.00 მხ. ფილმი **"ძვლების შემგროვებელი"** (15)

07.30 დილა მშვიდობისა 10.00 სერ. **"გრძნობათა ტყვეობაში"** 10.00 სერ. **"მიმწყვდეული"** 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 02.30 კურიერი 12.30 სერ. **"შენ ჩემი სიცოცხლე ხარ"** 13.30 ბიზნეს-კურიერი 14.00 ვანოს შოუ 15.30 "გუნცაძეები" 16.00 სერ. **"სიყვარულის საიდუმლო"** 16.50 სერ. **"მორენას ვნება"** 18.30 სერ. **"გაორება"** 18.50 სერ. **"დანიელა"** 19.50 სერ. **"სად არის ელისა"** 21.50 ეროვნული ლატარეა 22.00 ვის უნდა 20 ათასი 23.00 "ისი პარის" გათამაშება 00.00 მხ. ფილმი **"ავიდა"** (18) (ბ. დელეპენი) 02.00 პატრული

07.30 მუსიკა 08.00 ანიმაცია 09.00 სერ. **"ჩენტო ვეტრინე"** 10.00 გოგიჩას დილა 11.00 სერ. **"დაუნდობელი სამყარო"** 12.00 სერ. **"გაუხსნელი საქმე"** 13.00 "მზესუმზირა" (პირდ.) 14.30 იმედის ფსონი (პირდ.) 15.30 სერ. **"ორნახევარი კაცი"** 16.30 გადაცემა "ტვ-ტესტი" 17.00 მხ. ფილმი 19.00 სერ. **"ვნებათა მიწა"** 20.00 სერ. **"დაუნდობელი სამყარო"** 21.00 მხ. ფილმი სუბტიტრით 23.00 გადაცემა "მეექვსე გრძნობა" 00.00 სერ. **"გაუხსნელი საქმე"** 01.00 მხ. ფილმი

07.30 იმედის დილა 10.00 სერ. **"სილამაზის მსხვერპლი"** 11.00, 14.00, 17.00, 20.00 ქრონიკა 11.40 ტვ-მარკეტი 11.50 სერ. **"ბოშები"** 13.00 სერ. **"ლოგას საიდუმლო"** 14.40 დღის შოუ 16.00 სერ. **"მონტეს ოჯახი"** 17.40 სერ. **"სიყვარულის ზღვა"** 18.45 სერ. **"ლოგას საიდუმლო"** 21.00 სერ. **"ქალბატონი"** 22.00 სერ. **"შუა ქალაქში"** 23.00 სერ. **"გოგონა გარეუბნიდან"** 00.00 სამსონაძეები 00.30 მხ. ფილმი **"კონტროლი"** (12) (რ. ლიოტა) (სუბტ.) 02.35 მხ. ფილმი **"კეთილი ჯონი"** (ჩ. ტატუმი) (სუბტ.) 04.20 მხ. ფილმი **"ნადირობა"** (18) (სუბტ.)

08.30, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 01.30 "დრო" 09.00 მუსიკა 09.30, 23.00 სერ. **"მონტალბანო"** 10.30 დოკ. ფილმი 11.50, 21.00 სერ. **"იდუმალი სტუმარი"** 12.50, 19.30 სერ. **"კურტიზანები"** 15.00, 18.00 დოკ. ფილმი 16.30 სერ. **"ამანდა ო"** 00.00 მხ. ფილმი

ერთსულოვნება

08.30 დილის პროგრამა "განთიადი" 10.00, 19.00, 22.00, 00.05 სიახლენი 11.25 დოკ. ფილმი "ქორონიკონს ქრისტეს აქეთ" მე-2 ს. 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.05 საგალობელი 12.05, 15.05 საეკლესიო კალენდარი 12.10 მხ. ფილმი **"ოთარაანთ ქვრივი"** 13.15 კონცერტი 15.10 მხ. ფილმი **"თხუნელა"** 16.30 მულტფილმი 18.05 ჩვენ ვუკრავთ კლასიკას 19.20 მხ. ფილმი **"შეხვედრა მთაში"** 20.40 ძილი ნებისა 21.10 პატრიარქის ქადაგება 21.20 სადვთისმეტყველო საუბრები 22.25 მგზავრები წუთისოფლისა 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 დროის ჩანაწერები 00.40 შარავანდედი

## ოთხშაბათი 26 იანვარი

06.30 მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) 07.30 ჩვენი დილა 11.00 სამოთხის ვაშლები 12.00, 16.00, 20.00 მოამბე 12.30 აუდიტორია 14.00 დიალოგი დ. პაიჭაძესთან 15.00 სერ. **"ტკბილი, მწარე ცხოვრება"** 17.00 პლანეტა ბასტი-ბუბუ 18.00 მეხსიერება 19.05 დოკ. ფილმი "სრული სიმართლე კვების შესახებ" 19.40 პეპეს ზღაპრები 21.00 სერ. **"ტკბილი, მწარე ცხოვრება"** 22.00 ისტორია 23.00 მხ. ფილმი **"გადამჭრელი ზომები"** (12) (მ. კიტონი) (სუბტ.) 00.45 მოამბე 01.05 ისტორია

08.00, 00.00 მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) 09.00, 12.00, 14.45, 17,45, 23.00 ბრიფინგის დროით 10.00, 22.00 თავისუფალი ტრიბუნა 11.00, 16.00, 19.00 დოკ. ფილმი 14.00 საუკუნის პორტრეტები 17.00 მეხსიერება 20.00 მხ. ფილმი **"მზის ამოსვლამდე"** 01.00 მხ. ფილმი **"ავტოფოკუსი"** (18)

07.30 დილა მშვიდობისა 10.00 სერ. **"გრძნობათა ტყვეობაში"** 10.00 სერ. **"მიმწყვდეული"** 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 02.30 კურიერი 12.30 სერ. **"შენ ჩემი სიცოცხლე ხარ"** 13.30 ბიზნეს-კურიერი 14.00 კომედი შოუ 15.30 "გუნცაძეები" 16.00 სერ. **"სიყვარულის საიდუმლო"** 16.50 სერ. **"მორენას ვნება"** 18.30 სერ. **"გაორება"** 18.50 სერ. **"დანიელა"** 19.50 სერ. **"სად არის ელისა"** 22.00 კონცერტი "იავნანა" (მზიური) 00.00 მხ. ფ. **"შიშველი იარაღი 3"** (18) (ლ. ნილსენი) 02.00 პატრული

07.30 მუსიკა 08.00 ანიმაცია 09.00 სერ. **"ჩენტო ვეტრინე"** 10.00 გოგიჩას დილა 11.00 სერ. **"დაუნდობელი სამყარო"** 12.00 სერ. **"გაუხსნელი საქმე"** 13.00 "მზესუმზირა" (პირდ.) 14.30 მეექვსე გრძნობა 15.30 გადაცემა "ტვ-ტესტი" 16.20 მხ. ფილმი 19.00 სერ. **"ვნებათა მიწა"** 20.00 სერ. **"დაუნდობელი სამყარო"** 21.00 სერ. **"სი ეს აი"** 22.00 მხ. ფილმი სუბტიტრით 00.00 სერ. **"გაუხსნელი საქმე"** 01.00 მხ. ფილმი

07.30 იმედის დილა 10.00 სერ. **"სილამაზის მსხვერპლი"** 11.00, 14.00, 17.00, 20.00 ქრონიკა 11.40 ტვ-მარკეტი 11.50 სერ. **"ბოშები"** 13.00 სერ. **"ლოგას საიდუმლო"** 14.40 დღის შოუ 16.00 სერ. **"მონტეს ოჯახი"** 17.40 სერ. **"სიყვარულის ზღვა"** 18.45 სერ. **"ლოგას საიდუმლო"** 21.00 სერ. **"ქალბატონი"** 22.00 სერ. **"შუა ქალაქში"** 23.00 სერ. **"გოგონა გარეუბნიდან"** 00.00 სამსონაძეები 00.30 მხ. ფილმი **"სამართლიანობისთვის მებრძოლი"** (12) (ს. სიგალი) (სუბტ.) 02.30 მხ. ფილმი **"ჩემი ძმაკაცის შეუვარებული"** (12) (ჯ. ბიგსი) (სუბტ.) 04.15 მხ. ფილმი **"უკანასკნელი ლეგიონი"** (კ. ფერტი) (სუბტ.)

08.30, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 01.30 "დრო" 09.00 მუსიკა 09.30, 23.00 სერ. **"მონტალბანო"** 10.30 დოკ. ფილმი 11.50, 21.00 სერ. **"იდუმალი სტუმარი"** 12.50, 19.30 სერ. **"კურტიზანები"** 15.00, 18.00 დოკ. ფილმი 16.30 სერ. **"ამანდა ო"** 22.00 სცენა 00.00 მხ. ფილმი

ერთსულოვნება

08.30 დილის პროგრამა "განთიადი" 09.00 ნათლისღება (ტრანსლაცია სამების ტაძრიდან) 12.10 მხ. ფილმი **"შეხვედრა მთაში"** 13.25 კონცერტი 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 15.00, 18.00, 21.00, 00.00 საგალობელი 15.05, 21.05 საეკლესიო კალენდარი 15.10 მხ. ფ. **"აკაკის აკვანი"** 16.35 კვირიაკე 17.35 ძველი აღთქმის განმარტებანი 18.05 ჩვენ ვუკრავთ კლასიკას 19.20 მხ. ფილმი **"გაზაფხული გადის"** 20.40 ძილი ნებისა 21.10 პატრიარქის ქადაგება 21.20 გზა, რომლითაც ვიარე 22.00, 00.05 სიახლენი 22.25 ქართული ალბომი 23.00 საღამოს ლოცვა 23.15, 00.35 სუფთა დაფა 01.00 გადაცემა "კარაბადინი"

## ხუთშაბათი 27 იანვარი

06.30 მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) 07.30 ჩვენი დილა 11.00 სამოთხის ვაშლები 12.00, 16.00, 20.00 მოამბე 12.30 ისტორია 13.30 ჩვენი ფერმა 14.00 ცხოვრება მშვენიერია 15.00 სერ. **"ტკბილი, მწარე ცხოვრება"** 17.00 პლანეტა ბასტი-ბუბუ 18.00 მეხსიერება 19.05 დოკ. ფილმი "ტვინი" 19.40 პეპეს ზღაპრები 21.00 სერ. **"ტკბილი, მწარე ცხოვრება"** 22.00 დიალოგი დ. პაიჭაძესთან 23.00 სერ. **"ფარი"** (12) 00.00 ავტოპილოტი 01.00 მხ. ფ. **"ტაქსის მძღოლი"** (18) (რ. დე ნირო)

08.00, 00.00 მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) 09.00, 12.00, 14.45, 17,45, 23.00 ბრიფინგის დროით 10.00, 22.00 თავისუფალი ტრიბუნა 11.00, 16.00, 19.00 დოკ. ფილმი 14.00 საუკუნის პორტრეტები 17.00 მეხსიერება 20.00 მხ. ფილმი **"გადამჭრელი ზომები"** 01.00 მხ. ფილმი **"უკანასკნელი სამურაი"** (15)

07.30 დილა მშვიდობისა 10.00 სერ. **"გრძნობათა ტყვეობაში"** 10.00 სერ. **"მიმწყვდეული"** 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 02.30 კურიერი 12.30 სერ. **"შენ ჩემი სიცოცხლე ხარ"** 13.30 ბიზნეს-კურიერი 14.00 სერ. 15.30 გუნცაძეები 16.00 სერ. **"სიყვარულის საიდუმლო"** 16.50 სერ. **"მორენას ვნება"** 18.30 სერ. **"გაორება"** 18.50 სერ. **"დანიელა"** 19.50 სერ. **"სად არის ელისა"** 22.00 პროფილი 23.30 ტოტო 00.00 მხ.ფ. **"ძმები"** (18) (დ. ვუ) 02.00 პატრული

07.30 მუსიკა 08.00 ანიმაცია 09.00 სერ. **"ჩენტო ვეტრინე"** 10.00 გოგიჩას დილა 11.00 სერ. **"დაუნდობელი სამყარო"** 12.00 სერ. **"გაუხსნელი საქმე"** 13.00 "მზესუმზირა" (პირდ.) 14.45 მხ. ფილმი 16.45 მხ. ფილმი 19.00 სერ. **"ვნებათა მიწა"** 20.00 სერ. **"დაუნდობელი სამყარო"** 21.00 სერ. **"სი ეს აი"** 22.00 მხ. ფილმი (სუბტ.) 00.00 სერ. **"გაუხსნელი საქმე"** 01.00 მხ. ფილმი

07.30 იმედის დილა 10.00 სერ. **"სილამაზის მსხვერპლი"** 11.00, 14.00, 17.00, 20.00 ქრონიკა 11.40 ტვ-მარკეტი 11.50 სერ. **"ბოშები"** 13.00 სერ. **"ლოგას საიდუმლო"** 14.40 დღის შოუ 16.00 სერ. **"მონტეს ოჯახი"** 17.40 სერ. **"სიყვარულის ზღვა"** 18.45 სერ. **"ლოგას საიდუმლო"** 21.00 სერ. **"ქალბატონი"** 22.00 სერ. **"შუა ქალაქში"** 23.00 სერ. **"გოგონა გარეუბნიდან"** 00.00 სამსონაძეები 00.30 მხ.ფ. **"ნამდვილი მაკკოი"** (კ. ბესინჯერი) (სუბტ.) 02.35 მხ. ფილმი **"ჩვეულებრივი ქორწინება"** (ა. ბოლდუინი) (სუბტ.) 04.30 მხ. ფილმი **"ოთხი ოთახი"** (15) (სუბტ.)

08.30, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 01.30 "დრო" 09.00 მუსიკა 09.30, 23.00 სერ. **"მონტალბანო"** 10.30 დოკ. ფილმი 11.50, 21.00 სერ. **"იდუმალი სტუმარი"** 12.50, 19.30 სერ. **"კურტიზანები"** 14.50 სცენა 15.00, 18.00 დოკ. ფილმი 16.30 სერ. **"ამანდა ო"** 19.30 სერ. **"ცნობილი ოჯახები"** 23.00 სერ. **"სტალინის ცოლი"** 00.00 მხ. ფილმი

ერთსულოვნება

08.30 დილის პროგრამა "განთიადი" 10.00, 19.00, 22.00, 00.05 სიახლენი 10.35 გადაცემა "კარაბადინი" 11.00 სუფთა დაფა 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 საგალობელი 12.05, 15.05 საეკლესიო კალენდარი 12.20 მხ. ფილმი **"გაზაფხული გადის"** 13.30 კონცერტი 15.10 მხ. ფილმი **"ქვიშანი დარჩებიან"** 16.20 დოკ. ფილმი "ველური ბუნება" 16.45 დოკ. ფილმი 18.30 სადვთისმეტყველო საუბრები 19.20 მხ. ფილმი **"ალყა"** 21.10 პატრიარქის ქადაგება 21.25 დოკ. ფ. "წმინდა ნინო" 22.25, 23.15 ბიზნეს მარათონი 23.00 საღამოს ლოცვა 00.00 საახალწლო მილოცვა 00.35 პორტრეტი ერთსულოვნების გალერეიდან

## პარასკევი 28 იანვარი

06.30 მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) 07.30 ჩვენი დილა 11.00 სამოთხის ვაშლები 12.00, 16.00, 20.00, 03.20 მოამბე 12.30 ავტოპილოტი 13.30 ვაშინგტონი დღეს 14.00 დიალოგი დ. პაიჭაძესთან 15.00 სერ. **"ტკბილი, მწარე ცხოვრება"** 17.00 პლანეტა ბასტი-ბუბუ 18.00 მეხსიერება 19.05 დოკ. ფილმი "ტვინი" 19.40 პეპეს ზღაპრები 21.00 სერ. **"ტკბილი, მწარე ცხოვრება"** 22.00 ქართული დოკუმენტალისტიკა 23.00 სერ. **"ფარი"** (12) 00.00 წითელი ზონა 01.00 მხ. ფილმი **"პრეზიდენტის ამალა"** (რ. რედფორდი)

08.00, 00.00 მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) 09.00, 12.00, 14.45, 17,45, 23.00 ბრიფინგის დროით 10.00, 22.00 თავისუფალი ტრიბუნა 11.00, 16.00, 19.00 დოკ. ფილმი 14.00 საუკუნის პორტრეტები 17.00 მეხსიერება 20.00 მხ. ფილმი **"სელენა"** 01.00 მხ. ფილმი **"ტაქსის მძღოლი"** (18)

07.30 დილა მშვიდობისა 10.00 სერ. **"გრძნობათა ტყვეობაში"** 10.00 სერ. **"მიმწყვდეული"** 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 02.30 კურიერი 12.30 სერ. **"შენ ჩემი სიცოცხლე ხარ"** 13.30 ბიზნეს-კურიერი 14.00 პროფილი 16.50 სერ. **"მორენას ვნება"** 18.30 სერ. **"გაორება"** 18.50 სერ. **"დანიელა"** 19.50 სერ. **"სად არის ელისა"** 21.00 კურიერი 21.50 ეროვნული ლატარეა 22.00 ვანოს შოუ 23.00 სერ. **"ჰაუსი"** 00.00 მხ. ფილმი **"სენსაცია"** (18) (ს. იოჰანსონი) 02.00 პატრული

07.30 მუსიკა 08.00 ანიმაცია 09.00 სერ. **"ჩენტო ვეტრინე"** 10.00 გოგიჩას დილა 11.00 სერ. **"დაუნდობელი სამყარო"** 12.00 სერ. **"ორნახევარი კაცი"** 12.30 გადაცემა "ტვ-ტესტი" 13.00 "მზესუმზირა" (პირდ.) 14.45 მხ. ფილმი 16.45 მხ. ფილმი 19.00 სერ. **"ვნებათა მიწა"** 20.00 სერ. **"დაუნდობელი სამყარო"** 21.00 გადაცემა "105 წუთი" (პირდ.) 22.50 მხ. ფილმი (სუბტ.) 01.00 მხ. ფილმი

07.30 იმედის დილა 10.00 სერ. **"სილამაზის მსხვერპლი"** 11.00, 14.00, 17.00, 20.00 ქრონიკა 11.40 ტვ-მარკეტი 11.50 სერ. **"ბოშები"** 13.00 სერ. **"ლოგას საიდუმლო"** 14.40 დღის შოუ 16.00 სერ. **"მონტეს ოჯახი"** 17.40 სერ. **"სიყვარულის ზღვა"** 18.45 სერ. **"ლოგას საიდუმლო"** 21.00 სერ. **"ქალბატონი"** 22.00 სერ. **"შუა ქალაქში"** 23.00 სერ. **"გოგონა გარეუბნიდან"** 00.00 სამსონაძეები 00.30 მხ. ფილმი **"ევროპელი ჟიგოლო"** (12) (რ. შნაიდერი) (სუბტ.) 02.15 მხ. ფილმი **"მინდა გახსოვდე"** (12) (რ. პატინსონი) (სუბტ.) 04.05 მხ.ფ. **"პრინცესა მუხუდოს მარცვალზე"** (სუბტ.)

09.00, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 01.30 "დრო" 09.30, 23.00 სერ. **"სტალინის ცოლი"** 10.30 დოკ. ფილმი 11.50, 21.00 სერ. **"იდუმალი სტუმარი"** 12.50, 19.30 სერ. **"ცნობილი ოჯახები"** 15.00, 18.00 დოკ. ფილმი 16.30 სერ. **"ამანდა ო"** 19.00 მუსიკა 00.00 მხ. ფილმი

ერთსულოვნება

08.30 დილის პროგრამა "განთიადი" 10.00, 19.00, 22.00, 00.15 სიახლენი 10.35 ბიზნეს-მარათონი 11.30 გზა, რომლითაც ვიარე 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.05 საგალობელი 12.05, 15.05 საეკლესიო კალენდარი 12.20 მხ. ფილმი **"ალყა"** 13.30 კონცერტი 15.10 მხ. ფილმი **"ჩემი მეგობარი ნოდარი"** 16.35 დოკ. ფილმი 18.05 ჩვენ ვუკრავთ კლასიკას 19.15 მხ. ფილმი **"პიერი მილიციის თანამშრომელი"** 21.10 პატრიარქის ქადაგება 21.30 მოგზაურობა სამშობლოში 22.25 ჩვენი ფონდი 22.40 დოკ. ფილმი "წმინდა არჩილ მეფე" 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 დოკ. ფილმი "გელინო" მე-2 ნ. 00.40 კვირიაკე

**პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის" ნებართვით**

## შაბათი 29 იანვარი

07.00 მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) 08.00 პლანეტა ბასტი-ბუბუ 10.00 მხ. ფილმი **"კოსმოსური ჯემი"** 11.30 "ბავშვობანა" 12.00, 16.00, 20.00, 03.30 მოამბე 12.15 მხ. ფილმი **"ნიანგი დენდი 2"** 13.40 სპექტაკლი **"ძველი ვოდევილები"** 16.15 ქართული დოკუმენტალისტიკა 17.00 **ძიუდო**. თბილისის საერთ. ტურნირი 19.30 დამზადებულია საქართველოში 20.00 მოამბე 21.00 ვ. სანაიას რეპორტაჟი 22.00 ქართ. სერ. **"კ-17"** 23.00 სერ. **"ფარი"** (12) 00.00 მხ. ფილმი **"მონა ლიზას ღიმილი"** (ჯ. რობერტსი) 03.30 მხ. ფილმი **"პრეზიდენტის ამალა"**

08.00 მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) 09.00 ბრიფინგის დროით 10.00 თავისუფალი ტრიბუნა 11.00 ბრიფინგის დროით 17.00 ბრიფინგის დროით 17.30 ჩვენი სამართალი 18.00 დოკ. ფილმი 19.00 რეგიონის დროით 19.30 საუკუნის პორტრეტები 20.00 მხ. ფილმი **"ნიანგი დანდი 2"** 21.35 კონცერტი: ნ. ერგემლიძე 23.00 წითელი ზონა 00.00 მხ. ფილმი **"პრეზიდენტის ამალა"**

08.00 კურიერი 08.30 მულტსერ. "ნარუტო" 09.00 საბ. სერ. "სინდბადი" 10.00 სერ. **"ლეგენდა მაძიებელზე"** 11.00 ეკი-ვოკი (გან.) 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 02.00 კურიერი 12.30 ვარსკვლავური ცხოვრება 13.00 მხ. ფილმი **"რუგანტინო"** 15.30 ქართ. ფ. **"გაჭედილები"** 17.30 ავტომარიაჟი 18.30 სიცილის ზონა 18.50 სერ. **"დანიელა"** 19.50 სერ. **"სად არის ელისა"** 21.00 პ. ს. კურიერი 22.00 სერ. **"სასოწარკვეთილი დიასახლისები"** 23.00 სერ. **"ჰაუსი"** 00.00 მხ. ფ. **"შინაგანი იმპერია"** (18) (ჯ. აირონსი) 02.30 მხ. ფილმი **"ჩემი იასამნისფერი ღამეები"**

08.00 მხ. ფილმი 10.00 ანიმაცია "ტომი და ჯერი" 11.00 საბ. სერ. **"ოდისეა"** 11.30 ანიმაცია 12.00 სერ. **"ვერონიკა მარსი"** 13.00 "იმედის ფსონი" პირდაპირი 14.00 სერ. **"ელიზა"** 15.00 მხ. ფილმი 17.00 გადაცემა "მეექვსე გრძნობა" 18.00 მხ. ფილმი 20.00 სერ. **"ტაქსის მძღოლი"** 21.00 სერ. **"სი ეს აი"** 22.00 მხ. ფილმი (სუბტ.) 00.00 მხ. ფილმი

08.00, 09.00 ქრონიკა 08.15 ან. ფილმი "ალადინი" 09.15 მხ. ფილმი **"მეექვსე ელემენტი"** 11.00, 14.00, 17.00, 20.00 ქრონიკა 11.10 სერ. **"მონსტრებთან მებრძოლები"** 12.00 სერ. **"რობინზონ კრუზოს საოცარი თავგადასავალი"** მე-5ს. 13.00 სერ. **"ლოგას საიდუმლო"** 14.30 ბოიარის ციხესიმაგრე 15.00 თბილისი ლაივი 16.00 სერ. **"მონტეს ოჯახი"** 17.40 სერ. **"სიყვარულის ზღვა"** 18.45 სერ. **"ლოგას საიდუმლო"** 20.30 სპეც. რეპორტაჟი 22.00 სერ. **"შუა ქალაქში"** 23.00 სერ. **"გოგონა გარეუბნიდან"** 00.00 მხ. ფილმი **"ლამაზი მერის ამბავი"** (12) (კ. დიასი) (სუბტ.) 02.20 მხ. ფილმი **"პირდაპირი მოქმედება"** (12) (სუბტ.) 04.00 მხ. ფილმი **"მტრის საწოლში"** (12) (სუბტ.)

09.00, 17.30, 20.30, 22.30 "დრო" 09.30, 23.00 სერ. **"სტალინის ცოლი"** 10.00 დილის ტალღა 12.00 ფერისცვალება 12.30, 21.00 სერ. **"იდუმალი სტუმარი"** 13.15, 19.30 სერ. **"ცნობილი ოჯახები"** 14.30 დროის ვექტორი 15.00, 18.00 დოკ. ფილმი 16.30 სერ. **"ამანდა,ო"** 00.00 მხ. ფილმი **"ღირსების ადამიანები"**

ერთსულოვნება

08.20 მულტფილმი 08.55, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 09.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 საგალობელი 09.05, 12.05, 15.05 საეკლესიო კალენდარი 09.10 განთიადი (კოლაჟი) 10.00, 19.00, 22.00, 00.05 სიახლენი 10.35 კვირიაკე 12.20 მხ. ფ. **"პიერი მილიციის თანამშრომელი"** 13.30 კონცერტი 15.10 ოპერა 18.05 სატ. არქივიდან 19.15 ქართული ალბომი 19.30 მხ. ფილმი **"წისქვილი ქალაქის გარეუბანში"** 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.20 გამოყენებითი ხელოვნება 21.30 სამედიცინო გადაცემა "კარაბადინი" 22.35 ჩემი ქალაქი 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 პორტრეტი "ერთსულოვნების" გალერეიდან 00.25 მხ. ფილმი **"ოქროს ოჯახი"** 1-2 ს.

## კვირა 30 იანვარი

07.30 დოკ. ფილმი "მსოფლიოს ქალაქები" 08.00 პლანეტა ბასტი-ბუბუ 10.00 მხ. ფილმი **"შინა პატიმრობა"** 12.00, 16.00, 20.00, 03.10 მოამბე 12.15 მხ. ფილმი **"აგენტი კოდი ბენქსი 2"** 14.00 ჩვენი ფერმა 14.30 ძველი აფიშა - "ექვსი შინაბერა და ერთი მამაკაცი" 15.30 ჩვენი სამართალი 16.15 ჩვენი ეზო 17.00 **ძიუდო**. თბილისის საერთ. ტურნირი 19.20 კონცერტი — დ. ოძელაშვილი 20.00 აქცენტები 21.00 ცხოვრება მშვენიერია 22.00 ქართ. სერ. **"კ-17"** 23.00 სერ. **"ფარი"** (12) 00.00 ღამის საუბრები 01.00 მხ. ფილმი **"კრიზისის დრო"** (12) 03.35 აქცენტები

08.00 დოკ. ფილმი 09.00 ბრიფინგის დროით 10.00 თავისუფალი ტრიბუნა 15.00 სპექტაკლი **"დარისპანის გასაჭირი"** 17.00 ისტორია 18.00 დოკ. ფილმი 19.00 საუკუნის პორტრეტები 20.00 ვ. სანაიას რეპორტაჟი 21.00 ე. შენგელაია: "ცხოვრებაც, ჯილდოც, სასჯელიც" 21.30 ქართული დოკუმენტალისტიკა 22.00 კონცერტი: თ. ჭოხონელიძე 23.30 მხ. ფილმი **"მონა ლიზას ღიმილი"**

08.00 "კურიერი პ.ს." დაიჯესტი 08.30 მულტსერ. "ნარუტო" 09.00 საბ. სერ. "სინდბადი" 10.00 სერ. **"ლეგენდა მაძიებელზე"** 11.00 საბავშვო ამბები 11.30 მულტფილმი "მხიარული ფერმა" 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 02.00 კურიერი 12.30 ვაკანსია 13.00 მხ. ფილმი **"საუკეთესო საუკეთესოთა შორის"** 15.20 სერ. **"სიამაყე"** 17.25 ავტომარიაჟი 18.30 სიცილის ზონა 19.00 ეკი-ვოკი 19.50 სერ. **"სად არის ელისა"** 21.00 კომედი-შოუ 22.00 სერ. **"სასოწარკვეთილი დიასახლისები"** 23.00 სერ. **"ჰაუსი"** 00.00 მხ. ფ. **"ეროვნული საგანძური"** (18) (ნ. ქეიჯი) 02.20 მხ. ფილმი **"ცეკვით მოჯადოებულნი"**

08.00 მხ. ფილმი 10.00 ანიმაცია "ტომი და ჯერი" 11.00 გადაცემა "ტვ-ტესტი" 11.30 ანიმაცია 12.00 სერ. **"ვერონიკა მარსი"** 13.00 "იმედის ფსონი" პირდაპირი 14.00 სერ. **"ელიზა"** 15.00 მხ. ფილმი 17.00 მულტფილმი "განძთა კუნძული" 18.00 მხ. ფილმი 20.00 სერ. **"ტაქსის მძღოლი"** 21.00 სერ. **"სი ეს აი"** 22.00 მხ. ფილმი (სუბტ.) 00.00 მხ. ფილმი 02.00 მხ. ფილმი

08.00, 09.00 ქრონიკა 08.15 ან. ფილმი "ალადინი" 09.15 ან. ფილმი "ბარბი" 11.00, 14.00, 17.00, 20.00 ქრონიკა 11.15 თამაზ კვაჭანტირაძის სასიტყვეთი 12.00 სერ. **"რობინზონ კრუზოს საოცარი თავგადასავალი"** 13.00 სერ. **"დათარსული კვირა"** 14.30 სპეცრეპორტაჟი 15.00 მხ. ფილმი **"მხიარული რომანი"** 17.30 ბოიარის ციხესიმაგრე 17.45 ეტალონი 19.05 სამსონაძეები 20.00 იმედის გმირები 20.20 ინტუიცია 22.00 სერ. **"შუა ქალაქში"** 23.00 სერ. **"გოგონა გარეუბნიდან"** 00.00 თბილისი ლაივი 01.00 მხ. ფილმი **"ამერიკელი ცოლი"** (ჯ. ბილი) (სუბტ.) 03.00 მხ. ფილმი **"ქორწინების დღე"** (12) (დ. ბესინგი) 04.25 მხ. ფილმი **"ღვთის გამოგზავნილი"** (15) (გ. კინეარი) (სუბტ.)

09.00, 14.30, 17.30, 20.30, 22.30 "დრო" 09.30, 23.00 სერ. **"სტალინის ცოლი"** 10.00 დილის ტალღა 12.00, 21.00 სერ. **"იდუმალი სტუმარი"** 13.00 დოკ. ფილმი "ფეხბურთის ისტორია" 15.00, 18.00 დოკ. ფილმი 16.30 სერ. **"ამანდა,ო"** 19.00 ქართ. ფ. **"ბაში აჩუკი"** 00.00 მხ. ფილმი **"თარგმანში დაკარგულნი"**

ერთსულოვნება

08.30 მულტფილმი 08.55, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 09.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00 საგალობელი 09.05, 12.05, 15.05 საეკლესიო კალენდარი 09.10 განთიადი (კოლაჟი) 10.00, 19.00, 22.00 სიახლენი 10.35 ჩემი ქალაქი 11.15 ტაძრები 11.30 პორტრეტი "ერთსულოვნების" გალერეიდან 12.20 მხ. ფილმი **"წისქვილი ქალაქის განაპირას"** 13.50 ქართ. მულტფილმები 14.30 გადაცემა "კარაბადინი" 15.10 პატრიარქის ქადაგება 15.35 მგზავრები წუთისოფლისა 16.00 სუფთა დაფა 17.10 სადვთისმეტყველო საუბრები 18.00 პატრიარქის ქადაგება 18.25 დროის ჩანაწერები 19.00 გზა, რომლითაც ვიარე 19.30 მხ. ფ. **"მეოცე საუკუნის ქართული ქრონიკა"** 21.10 პატრიარქის ქადაგება 21.30 კვირიაკე 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 გაცოცხლებული წარსული 24.00 პატრიარქის ქადაგება 00.40 მხ. ფილმი **"ოქროს ოჯახი"** 3-4 ს.

# ქმარი „მტაცებელმა“ ქალმა წაართვა

**ნეტავ რას გრძნობს ქალი, რომელიც მამაკაცს ოჯახს უნგრევს და სხვის უბედურებაზე საკუთარი ბედნიერების აგებას ცდილობს? ამის შესახებ ალბათ იმ ქალებს უნდა ვკითხოთ, ვინც ამას სჩადის. ჩვენი რესპონდენტი კი ის ქალბატონია, რომელსაც ქმარი წაართვეს და ახლა ყოველდღიური შეურაცხყოფების ატანაც უწევს მტაცებელი ქალისაგან.**



მანანა:

— სამი თვეა ჩემი ქმარი სახლიდან წავიდა. სამი თვეა ჩემი შვილის დამშვიდებას ვცდილობ. ყველაფერს ვაკეთებ იმისთვის, რომ ჩემმა შვილმა ყოველ საღამოს წყნარად დაიძინოს და მამა არ გაახსენდეს.

ნოდარის ბავშვობიდან ვიცნობ. თავიდან ჩვეულებრივი მეზობლები ვიყავით, მაგრამ დროთა განმავლობაში ძალიან დავახლოვდით, დავმეგობრდით და როგორ შეგვიყვარდა ერთმანეთი, არც კი ვიცი. სკოლა დავამთავრეთ თუ არა, მაშინვე დავქორწინდით. ჩემს მშობლებს ჩემი ადრე გათხოვება არ უნდოდათ, ამიტომ გავიპარე და მამაჩემი გავანაწყენე კიდეც. დედაც გამინაწყენდა, მაგრამ მაინც ქალია, ჩემზე ზრუნავდა და უფრო მალე შემირიგდა. დედაჩემი არაჩვეულებრივი ქალია, სულ ვამბობ, რომ მასზე კარგი და ახლო მეგობარი არ გამაჩნია და არც არასოდეს მეყოლება. ყველაფერში მიგებს და ჩემს გვერდით არის.

— ***ქმარმა რატომ მიგატოვათ?***

— ზუსტად იმის თქმა შემიძლია, რომ ჩემი ქმარი „მტაცებელმა“ ქალმა წამართვა.

— ***მას იცნობთ?***

— სულ ორჯერ მყავს ნანახი. ჩემი ქმრის თანამშრომელია. ადრე მეგობრები რომ შევიკრიბებოდით და ასეთი ტიპის ქალებზე ვსაუბრობდით, სულ მეცინებოდა და მაინც ქალის მხარეს ვიჭერდი, თუ კაცმაც არ იაქტიურა, მარტო ქალი რას გახდება-მეთქი, მაგრამ ახლა მჯერა, რომ თუ ქალმა მოინდომა, მას წინ ვერაფერი დაუდგება.

ეს ქალი ჩემს ქმარს უფროსმა მიამაგრა, მის მოვალეობებში გაარკვიეო. ნოდარის არ დაუმალავს, რომ ახალი თანამშრომელი მიიღეს, რომელიც საქმის აზრზე არ იყო და მთელი დღე ტვინს უბურღავდა სხვადასხვა წვრილმანებში გარკვევის თხოვნით. თავიდან ამაზე კარგად ვიცინოდი, ასეთი უცოდინარი თუ იყო, სამსახურში როგორ მიიღეს-მეთქი, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ის ქალბატონი ჩემი ქმრის უფროსის ნათესავი ყოფილა. ნოდარი დროთა განმავლობაში რაღაც სამსახურის ამბავს კი მოყვებოდა ხოლმე, მაგრამ იმ ქალს საერთოდ აღარ ახსენებდა. ყველაფერი ვასწავლე და დავისვენეო. თურმე ის ქალი ჩემს ქმარს გამუდმებით თავს დასტრიალებდა და ათასგვარი ხერხებით ცდილობდა მის ცდუნებას.

— ***თქვენს ქმარს ამართლებთ?***

— არა, ნოდარის არანაირად არ ვამართლებ. ჩვენ არ ვართ იმ ასაკში, რომ ჩემს ქმარს უფრო ახალგაზრდა ქალისკენ გაურბოდეს თვალი, ჯერ ორივე ახალგაზრდები ვართ და სექსუალურ ცხოვრებაში პრობლემები არ გვაქვს.

ის ქალი ჩემი ქმრის სამსახურის კორპორატიულ წვეულებაზე ვნახე. ჩვეულებრივი ქალია, არაფერი განსაკუთრებული. მაღალი ქალია, ლამაზი არ არის, მაგრამ რაღაც შარმი აქვს. ჩემმა ქმარმა ყველა თანამშრომელი გამაცნო, მათ შორის ის ქალიც. ძალიან თავაზიანი იყო, გულთბილად მესაუბრებოდა და ოჯახის ამბებს მეკითხებოდა. არ დამიმალავს, რომ ბავშვი გვყავს, რომელიც ორი წლისაა. მითხრა, თუ არ შეგაწუხებთ, მინდა ერთხულ გესტუმროთო. უარი არ მითქვამს, მაშინ ვერც კი წარმოვიდგენდი, რომ მას სულ სხვა რამ ედო გულში და უკვე თავის მომავალს აწყობდა.

ის ჩვენთან სახლში სულ ორჯერ იყო სტუმრად. მისი ბოლო სტუმრობის შემდეგ შევატყვე, რომ ჩემი ქმარი ძალიან შეიცვალა. სამსახურიდან რომ მოდიოდა, მაშინვე იძინებდა, საერთოდ აღარ მელაპარაკებოდა, თუ რამეს ვეტყოდი, დაღლილობას იმიზეზებდა და მეც თავს ვანებებდი. ასე ცხოვრებამ რომ დამღალა, ვუთხარი, ასე რატომ მექცევი-მეთქი. გამიბრაზდა, ვირივით ვმუშაობ, თქვენთვის ვიდგამ წელებზე ფეხს და ასე უმადურად რატომ მექცევიო. მაშინ ვიჩხუბეთ პირველად და სერიოზულად. იმის შემდეგ, ჩვენი ურთიერთობა გაცივდა, ვგრძნობდი, რომ ჩვენს ოჯახურ ცხოვრებას ბზარი გაუჩნდა, მაგრამ ყველაფერს მის გადაღლას ვაბრალებდი და ვცდილობდი ზედმეტად არ შემეწუხებინა. ჩემმა ყურადღების მოდუნებამ კი ის მომიტანა, რომ ქმარი სახლიდან გამექცა.

საბოლოოდ ეტყობა, ნოდარიმ ბევრი იფიქრა და არჩევანი გააკეთა — ის ჩვენგან წავიდა. ყოველგვარი სკანდალებისა და ისტერიკების გარეშე. ერთ საღამოს სახლში მოვიდა, ცოტა ნასვამი იყო. მითხრა, შენთან სერიოზული საქმე მაქვს, ბავშვს რომ დააძინებ, მერე დაგელაპარაკებიო. ქალი ვარ და გულმა რაღაც რეჩხი მიყო, მაგრამ ის ნამდვილად არ მიფიქრია, რომ ჩემი ქმარი პირში მეტყოდა, შენგან უნდა წავიდე, სხვა შემიყვარდაო.

— ***ასე გითხრათ?***

— კი, ზუსტად ასე მითხრა. ბევრი ვიფიქრე და საბოლოოდ მივედი დასკვნამდე, რომ აღარ მიყვარხარ და შენგან უნდა წავიდეო. ხმა ვერ ამოვიღე. მეგონა მომესმა, მაგრამ როცა კიდევ ერთხელ გამიმეორა თავისი გადაწყვეტილების შესახებ, მხოლოდ ის ვუთხარი, იმ ქალთან მიდიხარ-მეთქი და უნამუსოდ პირში მითხრა, კიო. რა უნდა მექნა? ძალით ხომ არ დავაბამდი სახლში? ნაძალადევი არც ოჯახის მწამს და არც სიყვარულის.

— ***მას შემდეგ ნოდარი თქვენთან არ მოსულა?***

— არა. მიუხედავად იმისა, რომ მის სახლში ვცხოვრობთ, იმის შემდეგ ერთხელაც არ მოსულა. ჩემს თავს არ დავეძებ, ვერ წარმომიდგენია, შვილის გარეშე როგორ ცხოვრობს. ლუკა ხომ მისთვის ცხოვრების აზრი იყო. თავიდან ძალიან გამიჭირდა. ყოველ ღამეს ტირილში ვათენებდი, არ მინდოდა იმის დაჯერება, რომ ჩემმა სიყვარულმა კრახი განიცადა და ყველაფერი ვიღაც ქალის გამო დასრულდა, მაგრამ თანდათან ამასაც შევეჩვიე.

ერთადერთი, რაც გულს მიკლავს, ის არის, რომ ჩემი შვილი ყოველი დაძინების წინ ტირის და მამას ითხოვს. ამ დროს მამამისი იმ ქალბატონთან არის. ბევრს ვცდილობ, რომ ბავშვმა არ ინერვიულოს, მაგრამ არაფერი გამომდის — პატარას მამა უნდა და მორჩა... ერთი პერიოდი ვიფიქრე, დავურეკავ ნოდარს, ვეტყვი, რომ ბავშვი იტანჯება და იქნებ დაძინების წინ მაინც მოვიდეს სახლში-მეთქი, მაგრამ ბევრი ფიქრის შემდეგ გადავიფიქრე. არ მინდა ჩემმა ყოფილმა ქმარმა იფიქროს, რომ თავს ვაცოდებ და ჩემთან დაბრუნებას ვაიძულებ. არ მინდა იფიქროს, რომ ბავშვით ვმანიპულირებ.

ყველაზე გასაგიჟებელი კი ის არის, რომ ის ქალი თითქმის ყოველდღე მირეკავს და უსინდისოდ მეუბნება, ხომ წაგართვი ქმარი, იყავი ახლა მარტო, მე შენზე სასურველი და კარგი ვარო. ამის მოსმენა ჩემთვის ნამდვილი სიკვდილის ტოლფასია. ძალიან მტკივა გული. ყოველდღე ამ ყველაფრის მოსმენა ჩემთვის ძალიან ძნელი ასატანია. ისეთ მესიჯებს მწერს, გული მისკდება. ვხვდები, რომ ეს ქალი „მტაცებელი“ ქალების კატეგორიას განეკუთვნება. როგორც გავიგე, ჩემი ქმარი მისი პირველი „მსხვერპლი“ არ არის. მანამდე კიდევ ორჯერ ყოფილა „გათხოვილი“.

თავიდან მეგონა, რომ ჩემს ქმარს ალბათ მართლა შეუყვარდა ის ქალი-მეთქი, მაგრამ ახლა მჯერა, რომ ეს ყველაფერი იმ ქალბატონმა სპეციალურად გააკეთა. ის ასე ცხოვრობს — ოჯახებს ანგრევს, ცოლებს ქმრებს ართმევს და ასეთი მტაცებლური ცხოვრებით კმაყოფილდება.

**თიკო ნინიაშვილი**

# ფრანგული ფილმების ფესტივალი ინტერნეტ-ქსელში გაიმართება

**ეკა ირემაშვილი**

„უნიფრანსი“ საფრანგეთის ეროვნულ კინოცენტრთან და საფრანგეთის საგარეო და ევროპულ საქმეთა სამინისტროსთან თანამშრომლობით პირველად ატარებს ინტერნეტში ფრანგული ფილმების ფესტივალის პირველ გამოშვებას, რომელიც 29 იანვრის ჩათვლით გაგრძელდება.

„მაიფრენჩფილმფესტივალ.კომ“ არის ახალი კონცეფცია, ფრანგული კინოს სიყვარულის გაზიარების ახალი საშუალება მთელი მსოფლიოს ინტერნეტის მომხმარებლებთან ერთად. პირველად სრულიად არამატერიალური ფესტივალი მისცემს ყველას საშუალებას, ხმა მისცეს თავის რჩეულ ფილმს.

29 იანვრამდე ინტერნეტის მომხმარებლები, მთელი მსოფლიოს კინომოყვარულები შეძლებენ ფესტივალის ყველა ფილმის ნახვას ინტერნეტით. კონკურსში მონაწილეობას მიიღებს ახალგაზრდა ფრანგი რეჟისორების ათი სრულმეტრაჟიანი და ათი მოკლემეტრაჟიანი ფილმი. ყველას აქვს საშუალება, ხმა მისცეს თავის რჩეულ ფილმს და დატოვოს კომენტარები ფესტივალის ვებგვერდზე. ფესტივალი ხელმისაწვდომია ათ ენაზე. ვებგვერდისა და ფილმების ნახვა შეიძლება გერმანულ, ინგლისურ, არაბულ, ესპანურ, ფრანგულ, იტალიურ, იაპონურ, პორტუგალიურ და რუსულ ენებზე.

ფესტივალის „მაიფრენჩფილმფესტივალ.კომ“ ვებგვერდის გახსნისთანავე მნახველებს საშუალება ექნებათ, უფასოდ ნახონ ფილმების საანონსო ვიდეორგოლები, ისევე, როგორც რეჟისორებთან და მსახიობებთან აღებული ექსკლუზიური ინტერვიუები. ექვსი პრიზი გადაეცემა დაჯილდოებულ ფილმებს — სამი — სრულმეტრაჟიანს, სამი — მოკლემეტრაჟიანს, მათ შორის — ინტერნეტის მომხმარებლების პრიზი, უცხოელი ბლოგერების პრიზი და საერთაშორისო პრესის პრიზი.

გამარჯვებული სრულმეტრაჟიანი ფილმები კი ნაჩვენები იქნება „ეარფრანსის“ ყველა თვითმფრინავის ბორტზე 2011 წლის 1 აპრილიდან 6-9 თვის განმავლობაში.

# ონკოლოგიურ დაავადებათა სამკურნალოდ ახალი ჰიპერთერმული მეთოდი დაინერგება

საქართველოში უახლოეს პერიოდში ონკოლოგიურ დაავადებათა სამკურნალოდ ახალი ჰიპერთერმული მეთოდი დაინერგება.

აღნიშნულთან დაკავშირებით სასტუმრო „შერატონ მეტეხი პალასში“ საერთაშორისო სამეცნიერო პრაქტიკული კონფერენცია გაიმართა, რომელიც პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე, მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პირველი ვიცე-პრეზიდენტის ფრიდონ თოდუას და შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ორგანიზებით მოეწყო.

როგორც კონფერენციაზე ფრიდონ თოდუამ განაცხადა, ჰიპერთერმული მეთოდით მკურნალობა მაღალი ტემპერატურით სიმსივნურ ურჯედებზე მკურნალობას გულისხმობს. მისივე თქმით, აღნიშნული მეთოდი აქტიურად გამოიყენება ამერიკის და ევროპის წამყვან კლინიკებში.

კონფერენციის მიზნებზე საუბრისას კი, თოდუამ აღნიშნა, რომ ამგვარად ქართველი ონკოლოგები დასავლელი კოლეგების გამოცდილებას გაეცნობიან, რაც ონკოლოგიურ დაავადებათა სამკურნალოდ ჰიპერთერმული მეთოდის დანერგვას უფრო გაადვილებს.

საერთაშორისო კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა ანდრია ურუშაძემ, პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე რუსუდან კერვალიშვილმა, პარლამენტის ჯანდაცვის კომიტეტის ხელმძღვანელმა ოთარ თოიძემ და ქართველმა და ევროპელმა სპეციალისტებმა მიიღეს.

**ინტერპრესნიუსი**


## განცხადებები

● იყიდება საკარმიდამო მიწის ნაკვეთები, 2000 და 2500 კვ.მ. ხეხილით, სასმელი და სარწყავი წყლით, ფასი 1 კვ.მ. 3 დოლარი. თბილისიდან 30 კილომეტრში, მცხეთის რაიონის სოფ. ვაზიანში (მუხრანთან ახლოს) ტელ: 890 53-02-41; 53-15-87.

● იყიდება სს „ეკოსპეცმშენის“ ქუთაისის ფილიალი „სპეცმშენი“. მისამართი: ქ.ქუთაისი, გუგუნავას 2ა. სს „ეკოსპეცმშენის“ დირექციის მისამართი თბილისში: ნუცუბიძის 56. ტელ: 868-10-54-37.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისაგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ნევროზი, აგრესია, შიშები, ღვიძლისა და თირკმლის ფუნქციის აღდგენა, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით უკუჩვენების გარეშე, იმუნიტეტის გაძლიერება 100% შედეგებით (ანონიმურობა დაცულია). ტელ: 858-96-89-15 ან 34-02-38 ექიმი მეგი.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, ტკივილი შარდვისას, ორგანიზმის გაწმენდა დაინფიცირებისგან, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით 100%-იანი შედეგებით. ტელ: 34-02-38; 858-968-915 ექიმი ქ-ნი მეგი.

● სიმაღლეში სწრაფი და ეფექტური ზრდა თვეში 3-5 სმ-ის მომატებით, 25 წლამდე, კურსის გამეორება შეიძლება სასურველ შედეგამდე, გახდომა თვეში 7-დან 20 კგ-მდე, უვნებლად, მიღებული შედეგის შენარჩუნებით, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით, იმუნიტეტის გაძლიერებით, 100%-იანი გარანტიით. ტელ: 34-02-38; 895-293-299; 890-293-299. ექიმი ქ-ნი ინგა.

● მამაკაცებისთვის! იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი) მოგვარება მცენარეული პროდუქციით. შედეგი 100%-იანია. ტელ: 34-02-38; 899-25-44-14; 890-25-44-14 ექიმი, ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 899-25-44-14; 899-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● ლომთათიძე — პოლიკნიკის დირექტორი მკურნალობს: ფრჩხილების სოკოს, კანის დაავადებებს, ფურუნკულს, ტროპიკულ წყლულს, თმის ცვენას, ბუასილს უოპერაციოდ, ეგზემას, ფსორიაზს, მარილების დაგროვებას, პროსტატიტს, A,B,C ჰეპატიტს, მეჭეჭებს, პაპილომებს, ხორცმეტებს, ფეხების ოფლიანობას, თვალების გარშემო ცხიმგროვას. მის: ალმაშენებლის №93, ტელ:96-38-27; 893-39-04-87 ირინა. კონსულტაცია უფასოა.

**ნათელმხილველი მანანა**
**იგებს წარსულს, აწმყოს, მომავალს, adგენს უიღბლობის მიზეზს, ათავისუფლებს ავი თვალისა და ჯადოსაგან, ამზადებს თილისმებს ბარაქაზე, ბედის გახსნაზე, წარმატებაზე, ჯადოსა და თვალისგან დამცველს, შეუძლია დანგრეული ოჯახების აღდგენა და ნევროზის განკურნება. მიღება წინასწარი შეთანხმებით.**
**მის: მეტრო „ავლაბართან“, მახათის შესახვევი N6.**
**ტელ: 897-29-27-50.**



ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი

მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის რესტავრაცია.
შეიტანეთ თქვენი წვლილი საღვთო საქმეში.

დარეკეთ!

მაგთი, ჯეოსელი, ბილაინი 700 607

ახალი ქსელები 700 608

გაერთიანებული ტელეკომი 608 608



ანგარიშზე თანხის ჩასარიცხად
შეგიძლიათ გამოიყენოთ
სწრაფი გადახდის აპარატები

(იხ. მენიუში: სხვადასხვა – საქველმოქმედო – ხობის მონასტერი).

ერთად ვიზრუნოთ ტაძარზე.

*საქმე №2/7576-10 წ.*

**განჩინება**
**საქართველოს სახელით**
**საჯარო შეტყობინების შესახებ**

**12 იანვარი, 2011 წელი ქ.თბილისი**

**თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია მოსამართლე თამაზ ურთმელიძე განხილვის ფორმა — ზეპირი მოსმენის გარეშე**

**მოსარჩელე** — სს „ბანკი რესპუბლიკა“
**წარმომადგენელი** — ფიქრია ზირაქიშვილი
**მოპასუხე** — შალვა ბეჟაშვილი, ქეთევან ზაქარიაძე, ნოდარ ფალავანდიშვილი
**დავის საგანი** — საკრედიტო ხელშეკრულების შეწყვეტილად აღიარება, დავალიანების გადახდა და იპოთეკით დატვირთული ქონების რეალიზაცია.

## გამოარკვია:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის წარმოებაშია სამოქალაქო საქმე №2/7576-10წ. სს „ბანკი რესპუბლიკას“ სარჩელისა გამო მოპასუხეების შალვა ბეჟაშვილის, ქეთევან ზაქარიაძისა და ნოდარ ფალავანდიშვილის მიმართ საკრედიტო ხელშეკრულების შეწყვეტილად აღიარების, დავალიანების გადახდისა და იპოთეკით დატვირთული ქონების რეალიზაციის თაობაზე.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, თუ მხარის ადგილსამყოფელი უცნობია და მისთვის სასამართლო უწყების ჩაბარება სხვაგვარად ვერ ხერხდება, სასამართლო უფლებამოსილია გამოიტანოს განჩინება სასამართლო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ. საჯარო შეტყობინება ხორციელდება იმ გაზეთის საშუალებით, რომელიც მასობრივაა გავრცელებდული მხარის საცხოვრებელი ადგილის შესაბამის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში. ამავე მუხლის თანახმად, მხარე უფლებამოსილია, სასამართლო განჩინების საფუძველზე, თავისი ხარჯებით განახორციელოს საჯარო შეტყობინება ინფორმაციის სხვა საშუალებებით და სასამართლო უწყება მხარისათვის ჩაბარებულად ითვლება გაზეთში გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს.

სასამართლომ მიიჩნია, რომ ვინაიდან მოპასუხეებს — ქეთევან ზაქარიაძესა და ნოდარ ფალავანდიშვილს სარჩელში მითითებულ მისამართზე გაგზავნილი სარჩელი და თანდართული მასალები ვერ ჩაბარდათ და ამასთან მათი ადგილსამყოფელი უცნობია, მათ სარჩელის და თანდართული მასალების თაობაზე უნდა ეცნობოთ საჯარო შეტყობინებით.

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-7, 78-ე, 284-285-ე მუხლებით და

## დაადგინა:

1. მოპასუხეებს — ქეთევან ზაქარიაძესა და ნოდარ ფალავანდიშვილს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია წინამდებარე პუბლიკაციით ატყობინებს შემდეგს:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის წარმოებაშია სამოქალაქო საქმე №2/7576-10წ. სს „ბანკი რესპუბლიკას“ სარჩელისა გამო მოპასუხეების შალვა ბეჟაშვილის, ქეთევან ზაქარიაძისა და ნოდარ ფალავანდიშვილის მიმართ საკრედიტო ხელშეკრულების შეწყვეტილად აღიარების, დავალიანების გადახდისა და იპოთეკით დატვირთული ქონების რეალიზაციის თაობაზე.

__სარჩელის მოთხოვნებია:__

1.1 მოპასუხეებს — შალვა ბეჟაშვილსა და ქეთევან ზაქარიაძეს მოსარჩელის სასარგებლოდ სოლიდარულად დაეკისროთ 58 443.12 აშშ დოლარისა და სასამართლო და სასამართლოს გარეშე გაწეული ხარჯის 3 235,70 ლარისა და 314.27 ლარის გადახდა. ასევე დავალიანების დაფარვის მიზნით სარეალიზაციოდ მიექცეს ნოდარ ფალავანდიშვილის საკუთრებაში არსებული იპოთეკით დატვირთული უძრავი ქონება.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 201-ე მუხლის შესაბამისად, მოპასუხე ვალდებულია წერილობით შეადგინოს პასუხი (შესაგებელი) სარჩელისა და მასში დასმულ საკითხებზე და სარჩელზე დართული დოკუმენტების შესახებ მოსაზრებებთან ერთად წარუდგინოთ ისინი სასამართლოს მიღებიდან 07 დღის ვადაში. მოპასუხის მიერ წერილობით პასუხში მითითებული უნდა იყოს:

1. სასამართლოს დასახელება, რომელშიც შეაქვს პასუხი;

მოპასუხის, მისი წარმომადგენლის (თუ პასუხი შეაქვს წარმომადგენელს), მოწმის, სხდომაზე მოსაწვევი სხვა პირის სახელი, გვარი (სახელწოდება), ძირითადი მისამართი (ფაქტობრივი ადგილსამყოფელი), აგრეთვე არსებობის შემთხვევაში ალტერნატიული მისამართი, ტელეფონი, მათ შორის, მობილური, ელექტრონული ფოსტა, ფაქსი; პასუხში შესაძლებელია მითითებული იქნას საკონტაქტო პირის მონაცემები;

ცნობს თუ არა სარჩელს და რა ნაწილში;

თუ მოპასუხე სარჩელს არ ცნობს, რა კონკრეტულ ფაქტებსა და გარემოებებს ემყარება მისი პასუხი სარჩელის წინააღმდეგ;

მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებს მოპასუხის მიერ მითითებულ გარემოებებს;

რა საპროცესო საშუალებებით აპირებს მოპასუხე სარჩელისაგან თავის დაცვას, კერძოდ, ხომ არ აპირებს შეგებებული სარჩელის აღძვრას, ხომ არ უარყოფს სარჩელის დასაშვებობას;

არსებობის შემთხვევაში მოპასუხის შუამდგომლობები;

ხომ არ ექნება აცილება სასამართლოს ან მოსამართლის მიმართ;

ვინ შეიძლება ჩაებას პროცესში თანამონაწილედ ან მესამე პირად;

რომელი მოწმე უნდა იქნას გამოძახებული სასამართლო სხდომაზე;

სხვა სახის შუამდგომლობები;

პასუხისათვის დართული დოკუმენტების ნუსხა;

მოპასუხის მოსაზრება საქმის ზეპირი განხილვის მოსაზრების თაობაზე;

მოპასუხის წერილობით პასუხს უნდა დაერთოს წარმომადგენლის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი, თუ შესაგებელი სასმართლოში შეაქვს წარმომადგენელს.

პასუხში სრულყოფილად და თანმიმდევრობით უნდა აისახოს პასუხის მოსაზრებები სარჩელში მითითებულ თითოეულ ფაქტობრივ გარემოებასა და მტკიცებულებასთან დაკავშირებით. თუ მოპასუხე არ ეთანხმება სარჩელში მოყვანილ რომელიმე გარემოებას, იგი ვალდებულია მიუთითოს ამის მიზეზი და დაასაბუთოს შესაბამისი არგუმენტაციით. მოპასუხე ვალდებულია, პასუხს დაურთოს მასში მითითებული ყველა მტკიცებულება.

თუ მოპასუხეს საპატიო მიზეზით არ შეუძლია პასუხთან ერთად მტკიცებულებათა წარდგენა, იგი ვალდებულია, ამის შესახებ მიუთითოს პასუხში. წინააღმდეგ შემთხვევაში, მოპასუხეს ერთმევა უფლება, შემდგომში წარადგინოს მტკიცებულებები. მოპასუხე უფლებამოსილია, მტკიცებულებათა წარდგენისათვის მოითხოვოს გონივრული ვადა.

მოპასუხე ვალდებულია თავისი პასუხი (შესაგებელი) სარჩელსა და მასში დასმულ საკითხებზე, აგრეთვე თავისი მოსაზრებები სარჩელისათვის დართული დოკუმენტების შესახებ წარუდგინოს სასამართლოს სარჩელისა და თანდართული დოკუმენტების ასლების მიღებიდან სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში. შესაგებელი უნდა პასუხობდეს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 177-ე მუხლის მეორე ნაწილით დადგენილ მოთხოვნებს.

სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში შესაგებლის არასაპატიო მიზეზით წარუდგენლობის შემთხვევაში მოსამართლეს გამოაქვს დაუსწრებელი გადაწყვეტილება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 26-ე თავით დადგენილი წესით.

მოპასუხეს შეუძლია პასუხის შეტანისას განაცხადოს, რომ თანახმაა წერილობითი მასალები მიიღოს ელექტრონული ფოსტით. ასეთ შემთხვევაში სასამართლო, როგორც წესი, მოპასუხეს მასალებს უგზავნის ელექტრონული ფოსტით.

პასუხს ხელს აწერს მოპასუხე ან მისი უფლებამოსილი წარმომადგენელი.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 232[1]-ე მუხლის შესაბამისად, მოპასუხის მიერ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 201-ე მუხლის მე-2 ნაწილით დადგენილ ვადაში პასუხის (შესაგებლის) წარუდგენლობისას, თუ ეს გამოწვეულია არასაპატიო მიზეზით, მოსამართლეს ზეპირი მოსმენის გარეშე გამოაქვს დაუსწრებელი გადაწყვეტილება. ამასთანავე, მოსამართლე დააკმაყოფილებს სარჩელს, თუ სარჩელში მითითებული გარემოებები იურიდიულად ამართლებს სასარჩელო მოთხოვნას; წინააღმდეგ შემთხვევაში სასამართლო ნიშნავს მთავარ სხდომას, რის შესახებაც ეცნობება მხარეებს ამ კოდექსის 70-78-ე მუხლებით დადგენილი წესით. სხდომის ჩატარების შემთხვევაში მოპასუხისაგან მტკიცებულებათა მიღება არ ხდება და სასამართლო მოისმენს მოპასუხის მხოლოდ სამართლებრივ მოსაზრებებს სასარჩელო მოთხოვნასთან დაკავშირებით.

2. განემარტოს მხარეს, რომ სარჩელი და თანდართული დოკუმენტები მოპასუხისათვის ჩაბარებულად ითვლება საჯარო შეტყობინების გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს;

3. განჩინება გამოქვეყნდეს გაზეთში „ახალი თაობა“, რაც დაევალოს მოსარჩელე სს „ბანკი რესპუბლიკას“.

4. განჩინება კერძო საჩივრით არ საჩივრდება.

*მოსამართლე თ.ურთმელიძე*

# საქართველოში ურანის კონტრაბანდისთვის დაკავებული რუსეთის მოქალაქე გაათავისუფლეს

საქართველოში გამდიდრებული ურანის შემოტანის მცდელობაში ბრალდებული რუსეთის მოქალაქე ოლეგ ხინცაგოვი პატიმრობიდან გაათავისუფლეს. „ეხო კავკაზა„-ს ცნობით, ხუთწლიანი პატიმრობის შემდეგ, იგი სამშობლოში დაბრუნდა.

მას 8 წელი ჰქონდა მისჯილი. თუმცა 2007 წელს პრეზიდენტის ამნისტია შეეხო და სასჯელი გაუნახევრდა.

ყოფილი პატიმარი თავს უდანაშაულოდ ცნობს. როგორც თავად ყვება, პატიმრობიდან 6 იანვარს გაათავისუფლეს, თუმცა იმის გამო, რომ ციხე მხოლოდ ერთი მაისურით დატოვა და პირადობის დამადასტურებელი არანაირი დოკუმენტი არ გააჩნდა, აქამდე სამშობლოში დაბრუნება ვერ შეძლო. მისი თქმით, იძულებული იყო საქართველოში დარჩენილიყო, ვიდრე რუსეთის საკონსულომ მას ქვეყნის დასატოვებლად საჭირო ახალი დოკუმენტები არ გაუფორმა. ეხო კავკაზა-ს ჟურნალისტს ხინცაგოვი 2006 წელს განვითარებული მოვლენების საკუთარ ვერსიას უყვება.

მისი განცხადებით, საქართველოში ის ლარსის საბაჟო-გამშვები პუნქტის გავლით შევიდა, რასაც მის პასპორტში არსებული ბეჭედიც ადასტურებს.

გადმოსვლისას სასაზღვრო სამსახურის რადიოლოგიურ ეკრანზე შემოწმება გავიარე და ამ ეკრანებმა არაფერი აჩვენა. მე მქონდა ტიპოგრაფიული საღებავი, რომელიც ქართული მხარის თხოვნით მომქონდა. არც მიფიქრია, რომ რაიმე მოხდებოდა. თუმცა, ყველაფერი გაცილებით ადრე დაგეგმილი აღმოჩნდა, მე უკვე მელოდნენ. 31 იანვარს მე გადავლახე საქართველოს საზღვარი და ღამით ჩავედი თბილისში. 1 იანვარს კი, ბინა, რომელშიც ვცხოვრობდი, სპეცრაზმმა გატეხა. პირველივე წუთებიდან დაიწყეს ყვირილი შენ ურანი შემოიტანე. ის რაც მქონდა, ამოიღეს და ურანად გაასაღეს. სინამდვილეში კი, ეს იყო 73 გრამი ნაცრისფერი ტიპოგრაფიული საღებავი. ადგილობრივმა ექსპერტმა 85 გრამი შეისწავლა, ამერიკელმა ექსპერტმა 115 გრამი, რუსეთში კი, მგონი 35 გრამი გამოგზავნეს. თუ ამ ციფრებს შევკრებთ, ეს უზარმაზარი წონა გამოვა, ჩემგან კი მხოლოდ 73 გრამი ამოიღეს. თქვეს, რომ აშშ-ში ექსპერტმა 90%-ით გამდიდრებული ურანი შეისწავლა. თუკი ეს მე მქონდა, აუცილებლად რადიაციას მივიღებდი, — აცხადებს ინტერვიუში ხინცაგოვი.

მისივე თქმით, სასამართლო პროცესის დროს, მის ქართველ ადვოკატებზე გავლენა მოახდინეს, რუსი ადვოკატები კი ქართულმა მხარემ არ დაუშვა.

ოლეგ ხინცაგოვი თავს დამნაშავედ არ ცნობს და საქართველოს ხელისუფლებას სტრასბურგში, ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში უჩივის.

ყოფილი პატიმარი უახლოეს წლებში საქართველოში დაბრუნებას აღარ აპირებს.

**ინტერპრესნიუსი**

# სამგლოვიარო განცხადებები



შვილები სვეტლანა, იურა, შვილიშვილები დიმიტრი, მაია, აპალონი, გივიკო, ხათუნა, რძლები მადონა, ცირა, სიძეები დურმიშხან კვირტია, კახა აბსავა, ძმა კოლია, ძმისშვილები ახმეტა, არჩილი, ბუთხუზი, დათო, დარიკო, კალისტრატე, მაია, დისშვილი ნუგზარ როგავა, თენგიზ გვაზავა იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**აპალონ კალისტრატეს ძე ბერაია**

პანაშვიდი: 21, 22 იანვარს;
დაკრძალვა: 23 იანვარს, 14 საათზე;
მისამართი: კრწანისის ქუჩა №16, კორპუსი VI, ბინა 12,

---

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო იუწყება, რომ გარდაიცვალა აფხაზეთის საზოგადოების აქტიური წევრი, სოფლის მეურნეობის დამსახურებული მუშაკი, წლების მანძილზე აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს პასუხისმგებელი მუშაკი, მეორე მსოფლიო ომის ვეტერანი

**აპოლონ ბერაია**

და თანაუგრძნობს გარდაცვლილის ოჯახს.

---

საქართველოს თვითდასაქმებულთა, ვაჭრობისა და ინდივიდუალური წარმოების სფეროში მომუშავეთა პროფესიული კავშირი თანაგრძნობას უცხადებს კავშირის თავმჯდომარეს, ბატონ ზაზა აგლაძეს მამის

**ზაურ აგლაძის**

გარდაცვალების გამო.

# კროსვორდი ბ



**შვეულად:** 1. პროვინცია კანადაში; 2. ლეონარდო და ვინჩის შედევრი; 3. ბუნებრივი ნაკრძალი ქვემო ქართლში; 4. გერმანული პარფიუმერული ფირმა; 5. სასტამბო ასოთამწყობი მანქანა; 7. თევზის ძვალი; 11. ყინულის ძველი ქართული სახელწოდება; 15. მარგანეცის საბადო ჭიათურის მახლობლად; 16. ამერიკული ტანკსაწინააღმდეგო რეაქტიული ჭურვის სასროლი ინდივიდუალური იარაღი; 17. მდინარის მონაკვეთი ორ მეზობელ კაშხალს შორის; 18. მიწის ფართობის საზომი ერთეული ძველად საქართველოში; 20. იტალიური წარმოშობის ცნობილი ამერიკელი საოპერო მომღერალი მამაკაცი, ტენორი; 22. წარწერა საბანკო ჩეკზე სხვა პირისათვის გადაცემის შესახებ.

**თარაზულად:** 6. მე-18 საუკუნის აზერბაიჯანელი პოეტი, სახელმწიფო მოღვაწე; 8. თაღლითის ძველი ქართული სახელწოდება; 9. ამერიკული ნავთობკომპანია; 10. დაპყრობილ ქვეყნებში ხარკის ამკრეფი მონღოლთა ხანის წარმომადგენელი; 12. ქართველი მწერალი, რომან „გმირთა ვარამის“ ავტორი; 13. ქიმიური ელემენტი, აირი; 14. შვედი მილიარდერი, კომპანია „იკეას“ მფლობელი; 19. ცრუ, ვერაგი, მოღალატე ადამიანი; 21. ოპტიკური მოვლენა ატმოსფეროში; 23. მოქალაქეთა საგადასახადო თანრიგი ძველ რომში, ენიჭებოდა ქონების რაოდენობის მიხედვით; 24. თაღლითური გზით წარმოებული საქმე; 25. ახალი ათონის ძველი სახელწოდება; 26. ლამაზად, მოხდენილად ჩაცმა-დახურვის მოყვარული მამაკაცის ძველი ქართული სახელწოდება.

**შეადგინა თ.კოპალეიშვილმა**

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ფონიჭალა; 2. პოდიუმი; 3. ნიყვი; 4. ბიბლისი; 5. ბარამბო; 10. ვიბრაცია; 11. ვაშინგტონი; 12. ბეირუთი; 15. ბივშტექსი; 17. ფორმულა; 20. ტოკაი.

**თარაზულად:** 6. ქორეოგრაფია; 7. ჭიამაია; 8. როიტერი; 9. საირმე; 13. თორი; 14. საბვეი; 18. კროსვორდი; 19. კოლიე; 21. ტოლჩა; 22. ბიზონი; 23. რამიშვილი; 24. რაისშინა.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. გვირილა; 2. მასტიფი; 3. პლზენი; 4. კონგო; 5. მუკუზანი; 7. ყრუ; 11. ტარანი; 15. ქიაჩელი; 16. მარუხი; 17. ჰერტა; 18. ფშავი; 20. კენია; 22. ჯუსი.

**თარაზულად:** 6. ვარაყი; 8. მაყვალი; 9. დონეცკი; 10. რეკრუტი; 12. ყანწი; 13. ოპიზა; 14. ღვარცოფი; 19. გდანსკი; 21. მესიჯი; 23. შაირი; 24. ატლასი; 25. პლატინა; 26. რისლინგი.

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


**საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 2010 წლის 22 იანვარს ლარის მიმართ უცხოური ვალუტის შემდეგი კურსი დააფიქსირა:**

აშშ დოლარი — 1,81
ევრო — 2,4110
ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,8946
რუსული რუბლი — 0,0526

**ამინდის პროგნოზი 22 იანვრისთვის**

**აღმოსავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, ტემპერატურა დღისით — 4-6, ღამით — -2-1
**დასავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 8-15, ღამით — 2-8
**სამხრეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, ტემპერატურა დღისით — -5-2, ღამით — -1§ -1







## ქართული ფლორის საოცრება „სალხინო" უებარი წამალია

„სალხინო" ეკოლოგიურად სუფთა მცენარეული ნედლეულისაგან მიღებული წამალია.

პრეპარატ „სალხინოს" ახასიათებს ანტიბაქტერიული, ანტისეპტიკური, სპაზმოლიზური, ტკივილგამაყუჩებელი, შარდმდენი მოქმედება. ხსნის შეშუპებებს, არეგულირებს სხეულის ტემპერატურას.

წამალი გამოიყენება მასტიტების, მასტოპათიების, ჭრილობების, კანისა და ლორწოვანის ჩირქოვანი და ანთებითი პროცესების დროს. პირის ღრუს სასუნთქი და საშარდე სისტემის ჩირქოვანი ანთებითი დაავადებების, ბრონქიტის, რინიტის, გინგივიტის, პაროდონტიტის, პიელონეფრიტის, კოლპიტის, ენდომეტრიოზის, პროსტატიტის, ცისტიტის, შარდის შეუკავებლობის, ქოლეცისტიტის, კოლიტის, ბუასილის მკურნალობისა და პროფილაქტიკისათვის, კუჭ-ნაწლავის ტრაქტის მოქმედების მოსაწესრიგებლად, რბილი ქსოვილების ჩირქოვანი ანთებითი პროცესების სამკურნალოდ.

გამოყენების წინ გაეცანით ინსტრუქციას.

„სალხინოს" შესახებ ვრცლად ინფორმაცია მოთავსებულია ვებ-გვერდზე www.salkhino.ge წამალი იკითხეთ აფთიაქებში.

მის.: ალმაშენებლის 146. ტელ.: 14-41-58.


# თემურ ქეცბაიამ სასომხეთოდ 21 ფეხბურთელს უხმო

საქართველოს ნაკრები 9 თებერვალს სომხებს ამხანაგურად გაეჯიბრება. თემურ ქეცბაიამ 2011 წლის პირველი საერთაშორისო ამხანაგური მატჩისათვის ნაკრებში 21 ფეხბურთელი გამოიძახა.

მეკარეები: გიორგი ლორია (დინამო), ნუკრი რევიშვილი (ანჟი, რუსეთი);

მცველები: კახა კალაძე (ჯენოა, იტალია), ლევან კაკუბავა (დინამო), ზურაბ ხიზანიშვილი (რედინგი, ინგლისი), გურამ კაშია (ვიტესი, ჰოლანდია), აკაკი ხუბუტია (გაზ□მეთანი, რუმინეთი), ალექსანდრე ამისულაშვილი (კაისერსფორი, თურქეთი), ლაშა სალუქვაძე (რუბინი, რუსეთი);

ნახევარმცველები: გოგიტა გოგუა (ვოლგა, რუსეთი), მურთაზ დაუშვილი (ზესტაფონი), ჯაბა კანკავა (დნიპრო, უკრაინა), დავით კვირკველია (პანიონისი, საბერძნეთი), გიორგი მერებაშვილი (ვოივოდინა, სერბეთი), ჯანო ანანიძე (სპარტაკი, რუსეთი), სანდრო გურული (კარპატი, უკრაინა), ლევან კობიაშვილი ლევანი (ჰერტა, გერმანია);

თავდამსხმელები: ალექსანდრე იაშვილი (კარლსრუე, გერმანია), დავით სირაძე (ნალჩიკი, რუსეთი), ლადო დვალიშვილი (მაკაბი, ისრაელი), მათე ვაწაძე (ვოლგა, რუსეთი).

საქართველოს ეროვნული ნაკრები კუნძულ კვიპროსზე 6 თებერვალს გაემგზავრება. სრულად ნაკრები 7 თებერვალს შეიკრიბება. სომხეთის ეროვნული ნაკრების წინააღმდეგ მატჩს ჩვენები 9 თებერვალს ქალაქ ლიმასოლში თბილისის დროით 17 საათზე ცენტრალურ სტადიონ „ციროიზე" ჩაატარებენ.



# ასტროპროგნოზი

ყველამ გაითვალისწინეთ!

**22 იანვარი — წარმატებული დღეა.**

**ვერძი** — ეს დღე საკუთარ თავს დაუთმეთ, სხვები მოიცდიან. **კურო** — ის საქმე აკეთეთ, რაც კარგად გამოგდით. **ტყუპები** — არ აჩქარდეთ, მშვიდად აკეთეთ, თქვენი საქმე. **კირჩხიბი** — ახალი საქმე გაამართლებს, იაქტიურეთ. **ლომი** — გზიდან ვილაც ჩამოდის და თქვენთვის რაღაც ჩამოაქვს. **ქალწული** — რისკი არ არის გამართლებული, მშვიდად იმოქმედეთ. **სასწორი** — წარსულიდან ვილაც ბრუნდება და თქვენთვის რაღაც სათქმელს იტოვებს. **მშვილდოსანი** — ფულს შოულობთ, პრობლემები არ გაქვთ. **მშვილდოსანი** — მოაწყვეთ განტვირთვის დღე, მიიღეთ ხილი და ბოსტნეული. **თხის რქა** — ყური მიუგდეთ ინტუიციას, ის არ გიღალატებთ. **მერწყული** — შემოქმედებითი დღეა, უფროსობა გწყალობთ. **თევზები** — გელით სიურპრიზი, გახარებული ხართ.

**23 იანვარი — ეს დღე მშვიდად გაატარეთ.**

**ვერძი** — დაისვენეთ მყუდრო გარემოში, დღეს ნუ გადაიღლებით. **კურო** — სიყვარულში გიმართლებთ, გელით საჩუქარი. **ტყუპები** — არ აყვეთ სხვებს, საკუთარ თავს მიხედეთ. **კირჩხიბი** — ახალი სამსახური მოგეწონებათ, ფულიც გექნებათ. **ლომი** — მშვენიერი დღეა. **ქალწული** — საღამოს რომანტიკული შეხვედრა კარგ ხასიათზე დაგაყენებთ. **სასწორი** — არ გარისკოთ, დღეს არ ღირს. **მორიელი** — მშვიდად იმოქმედეთ, ზედმეტი აქტიურობა არ ღირს. **მშვილდოსანი** — მოაწყვეთ განტვირთვის დღე, მიიღეთ ხილი და ბოსტნეული. **თხის რქა** — ფულს შოულობთ, პრობლემები არ გაქვთ. **მერწყული** — არ გარისკოთ, ფრთხილად იმოქმედეთ. **თევზები** — ყური მიუგდეთ ინტუიციას, ის არ გიღალატებთ.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!



# შერონ სტოუნი კრიტიკის ქარცეცხლში გაეხვია

ულამაზესი შერონ სტოუნი ამ ბოლო დროს თავს აღარ უვლის. ის მთლიანად ბავშვზეა გადართული. მსახიობმა პატარა ბიჭუნა აიყვანა და მთელ დროს მას უთმობს. ბოროტი ენები ვარსკვლავს აკრიტიკებენ და ამბობენ, რომ ცუდად გამოიყურება, ბებიას ჰგავს, რომელსაც ბავშვი სასეირნოდ დაჰყავს. შერონი ადრე თავად აკრიტიკებდა მოუვლელ ქალებს. რაც უნდა იყოს, ის კვლავ ლამაზია; ამერიკაში არ ვიცი, მაგრამ ჩვენში მღვდელი ჭილოფშიაც იცნობა.

# რვაფეხა პაულს ძეგლი დაუდგეს



ობერჰაუზენის ოკეანარიუმში რვაფეხა პაულს ძეგლი დაუდგეს. მისი სიმაღლე 2 მეტრია. რვაფეხა დიდ, ფერად, საფეხბურთო ბურთზეა შემომჯდარი. ბურთში მოთავსებულია კამერა, კამერაში — ხელნაკეთი ოქროს ურნა, ურნაში — პაულის ფერფლი. პაულის პოპულარობა იმდენად დიდი იყო, რომ ესპანურმა ქალაქმა, კარბალინიომ, ის საპატიო მოქალაქედ გამოაცხადა.

**ათბ-ნიუსი**

# ტესტი

## უყვარხართ თუ არა ადამიანებს



**ტესტის შეკითხვებს დადებითი ან უარყოფითი პასუხები გაეცით**

1. უნდა გახსოვდეთ, რომ თქვენს საქციელს მუდმივად აფასებენ.
2. ადამიანი დამოუკიდებელი უნდა იყოს.
3. ყველაფერს სჯობია, ღირსება შეინარჩუნო, მაშინაც კი, როდესაც მისი დაკარგვის ცდუნება არსებობს.
4. თუ ადამიანი სხვის საუბარში შეცდომებს ამჩნევს, უნდა შეუსწოროს.
5. როდესაც უცნობ ადამიანს ხვდებით, საკმაოდ ენამახვილი და მიმზიდველი უნდა იყოთ, რათა მასზე ზეგავლენა მოახდინოთ.
6. ყოველთვის ფხიზლად უნდა იყოთ, რათა ადამიანებმა არ გაგამასხარაონ.
7. ადამიანი ყოველთვის უნდა ცდილობდეს, რომ მისი ქცევა კამპანიის განწყობილებას შეესაბამებოდეს.
8. როდესაც ადამიანი გაგაცნეს და მისი სახელი ვერ გაიგონეთ, უნდა სთხოვოთ, გაიმეოროს.
9. სხვაზე დამოკიდებულებას სჯობია, როდესაც სხვები არიან თქვენზე დამოკიდებული.
10. როდესაც კამპანიაში ყვებიან ანეკდოტს, რომელიც უკვე იცით, უნდა შეაჩეროთ მთხრობელი.

**პასუხები**

**დადებითი პასუხების რაოდენობის მიხედვით (გარდა მე-9 და მე-10 შეკითხვებისა):**

**0-3 ქულა:** მხოლოდ ახლობლებს უყვარხართ, რადგან მხოლოდ მათთან ხართ გულახდილი და თავისუფალი. დიდ კამპანიაში თავს უხერხულად გრძნობთ, საკუთარ თავში იკეტებით. შეამოწმეთ, იქნებ კეთილი და გულისხმიერი ხალხი გახვევიათ გარშემო.

**4-6 ქულა:** ოდნავ არასწორი წარმოდგენა გაქვთ იმის შესახებ, თუ რატომ უნდა უყვარდეთ ადამიანებს. თუ მომავალშიც გააგრძელებთ ადამიანებისათვის თქვენი აზრის თავსმოხვევას, არავინ დარჩება, ვინც კეთილი თვალით გადმოგხედავთ.

**7-10 ქულა:** ადამიანებს უყვარხართ და არცთუ უსაფუძვლოდ. თქვენ კეთილი, ბუნებრივი და კომუნიკაბელური ხართ. არ ცდილობთ დაამტკიცოთ თქვენი განსაკუთრებულობა. თანაგრძნობის უნარი შესაბამისად ფასდება. თქვენს სიყვარულს ადამიანები სიყვარულითვე პასუხობენ.



# კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. უბანი თბილისში; 2. მარცვლეული მცენარე; 3. სპირტიანი სასმელი; 4. თავისუფალ გლეხთა კატეგორია ფეოდალურ საქართველოში; 5. არქიტექტურულად გაფორმებული შენობის მთავარი შესასვლელი; 10. ნავთობის საბადო კახეთში; 11. დიდი ზომის სიმებიანი მუსიკალური ინსტრუმენტი; 12. შეუსაბამობა, უაზრობა; 15. მსოფლმხედველობა, რომლითაც გამსჭვალულია ადამიანის სიყვარულითა და პატივისცემით; 16. თავისუფალი მოქალაქე ძველ რომში, რომელსაც არავითარი პოლიტიკური უფლებები არ ჰქონდა; 17. სითხის გამოსახდელი მინის ლაბორატორიული ჭურჭელი; 20. ჟირაფის ერთ-ერთი სახეობა.

**თარაზულად:** 6. ქალაქის თავი გერმანიაში; 7. ზღვების, ტბებისა და ოკეანეების ფსკერზე ბინადარი ორგანიზმების საერთო სახელწოდება; 8. ლატვიელი ესტრადის მომღერალი ქალი; 9. ქერცლიფრთიანთა ოჯახის მწერი; 13. თაფლგამოცლილი ფიჭა; 14. ქათმისებრთა ოჯახის გარეული ფრინველი; 18. ძველებური ქართული ლექსის ერთ-ერთი ფორმა; 19. ფრანგული მინერალური წყალი; 21. წრეხაზის ნაწილი; 22. რეგიონი კახეთში; 23. ყველაზე ღრმა ტბა აფრიკაში; 24. გაგრის ძველბერძნული სახელწოდება.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

# იუმორი



— საოცარია, ფეხსაცმელებში რომ მელვიძება, საშინლად მტკივა თავი...

* * *

— მაშ ასე, უნდა მიიღოთ ვიტამინები, ა, ბე1, ბე2, ბე6,
— დაიჭრა.
— ბე12.
— ჩაიძირა...

* * *

პაციენტი კვდება. ექიმი მის გამხნევებას ცდილობს.
— პულსი ნორმალური გაქვთ, გული და ფილტვები წესრიგშია. სიცხემ დაგიწიათ.
— ძალიან კარგი, — წაიჩურჩულა პაციენტმა, — მაშ, ჯანმრთელი მოვკვდები...

* * *

— ჭკვიანი ადამიანი საკუთარ თავს ჭკვიანს არ უწოდებს — სულელები ხომ საკუთარ თავს სულელს არ უწოდებენ...

* * *

— ინტერნეტი ძალიან ჰგავს რეალურ ცხოვრებას. შიშველ გოგოებთან გავიარე და ორი ვირუსი ავიკიდე...